პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 მაისი **შაბათი** 2010

№ 124 (13 112) ფასი 60 თეთრი



**მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 13 დღე**

SOUTH AFRICA 2010 FIFA WORLD CUP



# პერესმა ჟოზე დაიხსნა

## კონტრაქტი ორშაბათს!

ჟოზე მოურინიო „რეალის“ მწვრთნელი რომ ხდება, ეს აქამდეც ცნობილი იყო. გასარკვევი რჩებოდა კომპენსაციის საკითხი - რამდენი უნდა გადაეხადა სამეფო კლუბს „ინტერისთვის“, მწვრთნელთან კონტრაქტის გაწყვეტის საფასურად. „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი სპეციალურად ჩაფრინდა მილანში, სადაც ინტერელ კოლეგა მასიმო მორატის შეხვდა. მორატიმ 16 მილიონ ევროს ფეხი არ მოუცვალა. პერესი იძულებული გახდა, დათანხმებულიყო. თუმცა მორატი ერთ კომპრომისზე მაინც წავიდა. გადაწყდა, რომ „ინტერი“ ამ 16 მილიონს ორ ნაწილად მიიღებს - ჯერ 10 მილიონს, დანარჩენ 6-ს კი ეტაპობრივად.
მოკლედ, მოურინიო „ინტერისგან“ გათავისუფლდა და ორშაბათს უკვე ოფიციალურად გახდება „რეალის“ მთავარი მწვრთნელი. დიახ, სწორედ ორშაბათს, შუაევროპული დროით 13 საათზე, მადრიდში გაიმართება პრეზენტაცია, რომლის დროსაც სეუ ჟოზე სამეფო კლუბთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს და სანაცვლოდ წლიურად 10 მილიონ ევროს მიიღებს.

ლევან ჯანეზაშვილი

# ქუთაისში დიდი ფეხბურთი ახალი სტადიონით ბრუნდება

## ვისოლმა ტორპედო დაადასტურა

გუშინ ქუთაისში „ტორპედოს“ განახლებული სტადიონი გაიხსნა. საზეიმო ცერემონიალის ფარგლებში ადგილობრივი „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი გაიმართა, რომელიც დედაქალაქელებმა 4:2 მოიგეს. თამაშს ესწრებოდა კომპანია „ვისოლის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სოსო ფხაკაძე. „ლელოსთან“ საუბარში მან დაადასტურა, რომ „ვისოლი“ ქუთაისის „ტორპედოს“ სპონსორი იქნება და რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ფხაკაძემ ისიც აღნიშნა, რომ ეს „ტორპედოს“ ბოლო მარცხი იყო და ამიერიდან მდიდარი ტრადიციების მქონე კლუბს მხოლოდ წარმატებები ექნება.

მერაბ მამულაშვილი
ქუთაისიდან



ვეტერანთა მატჩი ქუთაისში.
უტევს თემურ ქეცბაია

# განსხვავებული შვეიცარიაც დიდი ძალაა



## ვუქომაგოთ გაბელიას ბიჭებს!

ოთარ გაბელია

>> გვერდი 2

პიერლუიჯი ტამი

## იტალიური მედია

# UN GRANDE MARKOISHVILI



>> გვერდი 14

ვიქტორ სანიკიძის (მარცხნივ) ორმაგმა დუბლმა მანუჩარ მარკოიშვილის კანტუ ვერ შეაჩერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

U 21 | საქართველო-შვეიცარია. საკვალიფიკაციო მატჩი

# განახევრებული შვეიცარიაც დიდი ძალაა

## მიხეილ ყაველაშვილის რეცეპტი: მოვიგებთ, თუ ცენტრს მოვუგებთ


პიერლუიჯი ტამი

შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრები თბილისს გუშინ გამთენიისას ეწვია და სასტუმრო „რედისონში" დაბინავდა. რამდენიმე დღის წინ თურქეთთან შინ განცდილმა მარცხმა **პიერლუიჯი ტამის** გუნდს უმნიშვნელოვანესი ქულების გარდა, ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელიც დააკარგვინა. ოთხი მოთამაშე შვეიცარიელებს თბილისში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ჩამოჰყვათ. ესენი არიან თურქეთთან მატჩში გაძევებული თავდამსხმელი **მარიო გავრანოვიჩი**, მცველი **ჯონათან როსინი** და ნახევარმცველები, **ფაბიან ლუშტენბერგერი** და **ფაბიან ფრაი**. ამ სამმა თურქეთთან შეხვედრაში გაფრთხილებები მიიღო, რომელიც მათთვის მიმდინარე შესარჩევ ციკლში მეორე აღმოჩნდა. კიდევ უფრო ადრე ის იყო ცნობილი, რომ შვეიცარიის ახალგაზრდულ ნაკრებს **ერენ დერდიოკი** და **შერდან შაქირი** გამოაკლდნენ, რომლებიც ეროვნული ნაკრების თავკაც **ოტმარ ჰიტცფელდს** მსოფლიო ჩემპიონატზე მიჰყავს.

მოკლედ, შვეიცარიელთა საკადრო პრობლემები საქართველოს ნაკრების შანსია. მართალია, ოპტიმალური შემადგენლობით ვერც ოთარ გაბელიას გუნდი ითამაშებს, მაგრამ სტადიონზე მისული ქართველი ქომაგის აქტიური მხარდაჭერით გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. მით უფრო, რომ თურქებმა დაგვანახვეს, უძლეველი არც შვეიცარია ყოფილა. თუ ხვალ გავიმარჯვეთ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასავლელად ბრძოლას დღევანდელზე გაცილებით დიდი შანსებით განვაგრძობთ.

შვეიცარიელები დღეს ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებენ, გუშინ საღამოს კი „მიხეილ მესხს" მიაშურეს, სადაც მათმა წვრთნამ თითქმის ორი საათი გასტანა. პირველ რიგში, თვალში საცემი იყო ჩვენი მეტოქის კარგი ფიზიკური მომზადება. ეს ორი საათი ტამის ფეხბურთელებმა დაუღალავად იმოძრავეს. თითქმის ყველა მათგანი ათლეტური აღნაგობისაა და ამასთანავე, მათ შორის ტექნიკურებიც მრავლად არიან.

ჩვენი ჯგუფის ერთპიროვნულმა ლიდერებმა „გახურებას" სულ რამდენიმე წუთი მოანდომეს, დანარჩენი დროის განმავლობაში კი ბურთთან ერთად იმუშავეს. ყველაზე დიდი დრო შვეიცარიელებმა ნახევარ მოედანზე ორმხრივ თამაშს დაუთმეს, რის შემდეგაც კარში დარტყმებშიც ივარჯიშეს. ბუნებრივია, ღია ვარჯიშზე საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე არავინ ახმაურებს, მაგრამ ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხვალინდელ მოწინააღმდეგეს განსაკუთრებული მინუსი არა აქვს.

ერთი საყურადღებო დეტალიც: არც პიერლუიჯი ტამი და არც მისი ასისტენტები ვარჯიშისას მაინცდამაინც არ აქტიურობდნენ, მათმა შეგირდებმა მწვრთნელების მითითებების გარეშეც მშვენივრად იცოდნენ, როდის რა უნდა გაეკეთებინათ.

■ ■ ■

*არც გუნდის თავკაცს და არც ფეხბურთელებს კომენტარებზე უარი არ უთქვამთ. ტამიმ საქართველოს ნაკრები შეაქო და თქვა, რომ რთული მატჩის მოლოდინშია.*

- საქართველოს ნაკრების ყველა ბოლოდროინდელი მატჩი ნანახი მაქვს და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ საქმე საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან გვაქვს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება თქვენმა გუნდმა, რაღა თქმა უნდა, ზესტაფონში გამართულ შეხვედრაში დატოვა, სადაც თურქეთის ნაკრები გაანადგურა. იმ მატჩს ჩვენი მზვერავი დაესწრო და ქართველი ფეხბურთელების შესახებ დეტალური ინფორმაცია ჩამომიტანა. შევეცდები, ეს ცნობები საჩვენოდ გამოვიყენო. ამას გარდა, საქართველოს ნაკრები კარგად გამოიყურებოდა ირლანდიასთან ორივე შეხვედრაში, იმის მიუხედავად, რომ ორივეჯერ ფრეს დასჯერდა.

**- შვეიცარიისა და საქართველოს ნაკრების პირველ მატჩს როგორ გაიხსენებთ?**

- ქართველებმა იქაც დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, მაგრამ ჩვენი გამარჯვება მაინც ლოგიკური იყო.

**- რამდენიმე დღის წინ თქვენი გუნდის თურქეთთან მარცხი რამ გამოიწვია?**

- თითქმის მთელმა შეხვედრამ ჩვენი უპირატესობით ჩაიარა, მაგრამ გოლის გატანა ვერაფრით მოვახერხეთ. ამის გარეშე კი რასაკვირველია, ვერ გაიმარჯვებ. სამაგიეროდ, მეტოქემ შეძლო საკუთარი შანსის გამოყენება. ერთი გოლი მეკარისა და მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით მივიღეთ. მოკლედ, საშინლად არ გაგვიმართლა, თუმცა ამით თურქების კარგ თამაშს არ ვაკნინებ.

**- ჯგუფში შექმნილ მდგომარეობაზე რას იტყვით?**

- მეტისმეტად ძლიერი და რთული ჯგუფი გამოდგა, სადაც ყველას შეუძლია წარმატებით თამაში. ჯერჯერობით, მხოლოდ ის გამოიკვეთა, რომ ირლანდია გამოკვეთილი აუტსაიდერია, დანარჩენებს კი ჯერ კიდევ აქვთ ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი. მათ შორის საქართველოსაც, რომელსაც საკუთარ მოედანზე ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია გამარჯვებისთვის ბრძოლა.

**- დისკვალიფიცირებული ფეხბურთელების სრულფასოვნად შეცვლა არ გაგიჭირდებათ?**

- ეს იოლი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი გვაქვს და ვიმედოვნებ, დასჯილი მოთამაშეების არყოფნა ძალიან არ დაგვეტყობა. ერთი ეგაა, სეზონი ახალი დასრულებულია და ფეხბურთელები გადაღლილები არიან, მაგრამ ეს თანაბრად ეხება როგორც შვეიცარიის, ასევე საქართველოს ნაკრებს.

■ ■ ■

გავესაუბრეთ შვეიცარიის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, ნახევარმცველ **როლფ ფელტჩერს**, რომელიც რამდენიმე დღის წინ ციურიხის „გრასჰოპერიდან" იტალიურ „პარმაში" გადავიდა.

- ვიცი, რომ ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ ვითამაშებთ და ამისთვის განსაკუთრებული მონდომებით ვემზადებით. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობიდან ივანიშვილი გამიგია, რომელიც შვეიცარიის ქვედა ლიგაში თამაშობს. ჩვენი უპირატესობა ისაა, რომ თითქმის ყველა ფეხბურთელი უმაღლესი ლიგის გუნდების ძირითადი ფეხბურთელია. თუმცა ისიც კარგად მახსოვს, როგორი წინააღმდეგობა გაგვიწიეს ქართველებმა შვეიცარიაში.

■ ■ ■

შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშს **მიხეილ ყაველაშვილიც** ესწრებოდა. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ ახლო წარსულში ცნობილმა ქართველმა თავდამსხმელმა საფეხბურთო კარიერა სწორედ შვეიცარიაში დაასრულა და ამჟამად იქ ცხოვრობს.

- უდავოა, რომ რთული მატჩი გველის, მაგრამ უშანსოდ ნამდვილად არ ვართ. თუკი მოედნის ცენტრში უპირატესობის მოპოვება შევძელით, გამარჯვების შანსი აუცილებლად გვექნება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბი შვეიცარიაში განცდილი მარცხისგან სათანადო დასკვნებს გამოიტანს. ჩემი მხრივ, მზად ვარ, ოთარ გაბელიას შვეიცარიის ნაკრების შესახებ დეტალური ინფორმაცია მივაწოდო. დავესწარი შვეიცარია-თურქეთის მატჩს და მასპინძლები უდავო უპირატესობას ფლობდნენ. აქედან გამომდინარე, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ მარცხის მიუხედავად, შვეიცარია ჯგუფის საუკეთესო გუნდად რჩება, თუმცა ვიმეორებ, გამარჯვება მასთანაც შეგვიძლია.

■ ■ ■

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინაც საგურამოს ბაზაზე ივარჯიშა, დღეს საღამოს კი ორივე გუნდი წვრთნას ეროვნულ სტადიონზე ჩაატარებს. შეგახსენებთ, მატჩი ხვალ ეროვნულ სტადიონზე 19 საათზე დაიწყება და მასზე დასწრება უფასო იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**


მიხეილ ყაველაშვილი

ინფრასტრუქტურა


ქუთაისის ახალგახსნილ სტადიონზე თემურ ქეცბაიამაც (ბურთით) ითამაშა

# ქუთაისში დიდი ფეხბურთი ახალი სტადიონით ბრუნდება

დიდი ხანია, ქუთაისში ასეთი ზეიმი არ ყოფილა. რიონისპირა ქალაქში დილიდანვე სამზადისი იყო - სადაც არ უნდა წასულიყავი, ყველგან ახალ სტადიონსა და „ტორპედოს" პერსპექტივებზე ლაპარაკობდნენ. ცხადია, გულშემატკივრები მონატრებული ლეგენდების ხილვასაც ეშურებოდნენ...

გივი კილაძის სახელობის რეკონსტრუირებული არენის პრეზენტაცია 19:30 საათზე იყო დაგეგმილი. სტადიონის ტრიბუნები გახსნამდე ერთი საათით ადრე გადაიჭედა. სტადიონის ირგვლივ, თითქმის ერთი კილომეტრის რადიუსში, მანქანის დასაყენებელ ადგილს ვერ იპოვიდით...

განახლებულ არენაზე ქართულმა საფეხბურთო ელიტამ მოიყარა თავი. აღდგენილი სტადიონი **მიხეილ სააკაშვილს** უნდა გაეხსნა. ცოტა ხანში პრეზიდენტიც გამოჩნდა. მან ქუთაისის ცენტრალური სტადიონი გახსნილად გამოაცხადა და „ტორპედოს" წარმატებები უსურვა. *„თქვენ კარგად გახსოვთ, როგორი განადგურებული იყო ეს არენა. დღეს კი თქვენ წინაშე ევროსტანდარტების შესაფერისი თანამედროვე სტადიონია. ქუთაისში დიდი ფეხბურთი ბრუნდება. „ტორპედოს" ვუსურვებ, რომ ამიერიდან უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის კი არა, ჩემპიონობისა და ევროთასებზე წარმატებისთვის ებრძოლოს"*, - თქვა პრეზიდენტმა.

გახსნის ცერემონიალის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა **გია ფირცხალავამ** პირველი ლიგის ჩემპიონი „ტორპედო 2008" ოქროს მედლებითა და თასით დააჯილდოვეს. გულშემატკივართა ოვაციების თანხლებით ტორპედოელებმა სტადიონს საპატიო წრე დაარტყეს და მალე მოედანზე თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ვეტერანებიც გამოჩნდნენ. „დინამოს" ასეთი შემადგენლობა ჰყავდა: **რამაზ ურუშაძე, ვახტანგ ქორიძე, გოჩა ჩიქოვანი, გელა კეტაშვილი, სოსო ჭედია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, ოთარ კორღალიძე, თემურ ქეცბაია, ლევან ნოდია, დავით მუჯირი, მიხეილ ჯიშკარიანი, მურთაზ შელია, ვაჟა ჟვანია, ბადრი კვარაცხელია, გიორგი ჩიხრაძე, კახი გოგიჩაიშვილი**. მწვრთნელი **სერგო კუტივაძე** გახლდათ. „ტორპედოს" სახელით კი გამოვიდნენ: **იური კვერნაძე, იუზა ლოსაბერიძე, გიორგი გვაძაბია, გიორგი გიგატაძე, გელა ნიქარიშვილი, მამუკა ხუნდაძე, კახა კვეტენაძე, სოსო ფრუიძე, გიორგი სუხიაშვილი, მერაბ მეგრელაძე, როლანდ ფესტვენიძე, ვასილ შენგელია, იასონ ბზიკაძე, დავით რუხაძე, მამუკა მანაგაძე, გიორგი გოგიაშვილი, ზურაბ იონანიძე, დავით ჯანაშია, არჩილ ჩხაბერიძე**. მწვრთნელები - **გურამ ნიშნიანიძე, ჯემალ ხერხაძე, შოთა ოქროპირიძე**.

შეხვედრა, რომელსაც თან ახლდა **ჯამლეტ ხუხაშვილის** კომენტარები, საკმაოდ „არავეტერანულ" ტემპში წარიმართა და „დინამოს" გამარჯვებით 4:2 დასრულდა. მატჩის შემდეგ იქვე ფეიერვერკიც გაჩაღდა.

**გია ფირცხალავა:** *„დღეს ნამდვილი დღესასწაული იყო. ისეთი აზარტი, რაც დღეს ქუთაისელ გულშემატკივრებში იყო, კარგა ხანია არ მინახავს. გარკვეული პერიოდი, „ტორპედოს" უმაღლეს ლიგაში ადგილი დაკარგული ჰქონდა, წლეულს კი ძლიერთა შორის დაბრუნდა, ამას სტადიონის რეკონსტრუქციაც დაემთხვა და დარწმუნებული ვარ, დღეიდან ქუთაისი თავის მდიდარ ტრადიციებს დაიბრუნებს".*

**მერაბ მეგრელაძე:** *„ლამაზი თამაში იყო. გავიხსენეთ ახალგაზრდობა. შედეგის მიუხედავად, ორივე გუნდი მოგებული ვართ, რადგანაც ამდენი გულშემატკივარის წინაშე კიდევ ერთხელ მოგვიწია მოედანზე გასვლამ. ახალგაზრდობის წლები გამახსენდა, მართლაც სასიამოვნო განცდაა"...*

**დავით ნამგალაური:** *„ქუთაისში ფეხბურთის განვითარებისთვის პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. ძალიან კარგად დაემთხვა, რომ „ტორპედომ" თავისი ძალებით უმაღლეს ლიგაში მოახერხა დაბრუნება და უკვე ახალ სტადიონზე, ახალი მფლობელის ხელში ეცდება, დიდ წარმატებებს მიაღწიოს ეროვნულ ჩემპიონატში. დღეს მართლაც დიდი ზეიმი იყო. მოედანზე არაერთი წარმატებული და ლეგენდარული ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი ვიხილეთ, მათ შორის, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი თემურ ქეცბაია, რომელმაც თავისი ბრწყინვალე თამაშით გაალამაზა ეს მატჩი. დარწმუნებული ვარ, რომ დღეიდან ეს ულამაზესი არენა კიდევ არაერთ დასამახსოვრებელ და საინტერესო შეხვედრას უმასპინძლებს".*

**მურთაზ ხურცილავა:** *„მინდა ყველას მივულოცო ეს დღე. ეს არის ქართული ფეხბურთის ზეიმი. ვუსურვებ ქუთაისს, „ტორპედოს" ყველა მატჩზე სწორედ ამ რაოდენობის გულშემატკივარი ჰყოლოდეს. ეს იქნება ქართული ფეხბურთის გამარჯვება. მიხარია, რომ ვუყურებ სავსე ტრიბუნებს. ქუთაისი ღირსია, რომ ძლიერი გუნდი ჰყავდეს".*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ჭედია

გზაგასაყარზე...

# გიორგი ჭედია

# წყენა და ბოღმა მოედნის გარეთ არასდროს გამყოლია

## ჭედიას ტრაბზონსფორი აკვირდება

**გიორგი ჭედიამ** კარიერაში პირველი ტიტული მოიგო - ზუგდიდის „ბაიას" ყოფილი ფორვარდი „ოლიმპს" მეორე წრეში დაემატა და მის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა. საერთოდაც, გიორგიმ წელს საკმაოდ მოუმატა და ბევრად უფრო სასარგებლო ფეხბურთელი გახდა, ვიდრე აქამდე იყო.

გიორგი ახალგაზრდულ ნაკრებშიც გახლდათ მიწვეული, შვეიცარიასთან მატჩამდე შეკრებაზეც გამოცხადდა, მაგრამ საბოლოოდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ნაკრების დატოვება მოუხდა.

**- ასეთი რა პრობლემა გქონდათ, შეკრება რომ დატოვეთ?**

- ჰაიმორიტი მქონდა და სუნთქვა მიჭირდა. ჩემპიონატის მსვლელობის დროსაც მაწუხებდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე და ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ მდგომარეობა გამირთულდა. გული დამწყდა... არადა, რამდენ ხანს ველოდი ამ თამაშს. ბოლოს ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი და ბუნებრივია, იმედი მქონდა, რომ შეიძლებოდა ნაკრებს გამოვდგომოდი. ბიჭებს წარმატება მინდა ვუსურვო. ამ თამაშს უამრავი სელექციონერი დაესწრება და ამის გამოც მსურდა თამაში. ყველა ფეხბურთელის ოცნება ხომ ესაა - ვინმემ შენიშნოს და ძლიერ ლიგაში წაიყვანოს. ჩემთვის ისიც მნიშვნელოვანი იქნებოდა, რამდენიმე წუთიც რომ მეთამაშა.

**- ...და „ტრაბზონსფორისთვის" მოგეწონებინა თავი?**

- დასამალი არ არის, თურქების დაინტერესება ჩემთვის ცნობილია, მაგრამ პირადად ჩემთან არავინ მოსულა და არ დამლაპარაკებია.

**- საერთოდ, მენეჯერები მორიდებულობით არ გამოირჩევიან და ძნელია იმის თქმა, თითქოს შეთავაზებას ვერ გიბედავენ. ალბათ, ჯერ გაკვირდებიან...**

- რა თქმა უნდა. „ტრაბზონი" სერიოზული კლუბია და ერთი-ორი შეხედვით ფეხბურთელს არ აიყვანენ. ჯერ მის ფეხბურთელობას სწავლობენ, მერე ხასიათებს და ასე შემდეგ... „ტრაბზონის" სელექციონერმა „დინამოსა" და კიდევ ერთ გუნდთან თამაშში მნახა... როგორც ვიცი, მისი მოწონება დავიმსახურე. მარტო „ტრაბზონი" არაა, სხვა ვარიანტებიც მაქვს და ვნახოთ. ჯერ 100-პროცენტიანი არაფერია.

**- ალბათ, უცხოეთში საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელს ასე იოლად არ ენდობიან...**

- სამწუხაროდ, ასეა. ჩვენი ფეხბურთის რეიტინგი დაეცა და ამით ყველაზე მეტად ფეხბურთელები დავზარალდით. თუმცა საქართველოს ჩემპიონატში ხელწამოსაკრავი ფეხბურთელები არ არიან, ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა - ტექნიკურები, მოაზროვნენი, სწრაფები, პერსპექტიულები... შეუქმნან მათაც ევროპული დონის პირობები და მერე ვნახავთ, როგორ გამოჩნდებიან. ან თუნდაც, უცხოეთში რომ ჩაიყვანონ, შეიძლება უცებ მოუმატონ და დღევანდელზე ბევრად უკეთ გამოჩდნენ. რამდენიმე თვე კარგ პირობებში რომ გაატარო, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

**- გამოდის, რომ „ოლიმპში" დარჩენა აღარ გინდათ?**

- როგორ არ მინდა?! ჯერ ერთი, კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ ბუნებრივია, უცხოეთში წასვლაზე ვფიქრობ და თუ მიმიწვევენ, მაშინ „ოლიმპთან" დალაპარაკება მომიწევს.

**- „ოლიმპმა" აშკარად შეგცვალათ - ადრე, უბრალოდ, კარგად დარბოდით, ახლა კი ფეხბურთის თამაში დაიწყეთ...**

- (იცინის) ჩემპიონი გუნდი მაღალი კლასის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და თავის გამოჩენის მეტ შანსს გაძლევს. ვგრძნობ, რომ ტაქტიკურადაც მოვუმატე, ტექნიკურადაც და საერთოდ - ყველა კომპონენტში.

**- თამაშის დროს ზოგჯერ მეტისმეტად ფიცხი ხართ...**

- დიახ, ფიცხი ნაღდად ვარ. ვის რა უნდა დავუთმო? ჩემი მოწინააღმდეგეც ჩემნაირი ფეხბურთელია და იმიტომ ვთამაშობთ, რომ ერთმანეთს ვაჯობოთ.

**- უმაღლეს ლიგაში რეგიონალლიგის გუნდიდან მოხვდით...**

- ხობის „კოლხეთში" ვთამაშობდი, როცა ქუთაისის „ტორპედოს" მაშინდელმა პრეზიდენტმა გია ხურციძემ მათთან გადასვლა შემომთავაზა. ათლეტური ახლაც არ ვარ და მით უმეტეს, მაშინ მთლად ბავშვივით ვიყავი - ფიზიკურად სუსტი. მოკლედ, ეს ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა და დაუფიქრებლად დავთანხმდი. „ტორპედოს"იმ დროს რეზო ძოძუაშვილი ავარჯიშებდა. ის მენდო და ამან ჩემს კარიერაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია. იცით, დამწყები ფეხბურთელისთვის ძოძუაშვილი რამხელა ავტორიტეტი იყო? ეს კაცი მეუბნებოდა, რომ ფეხბურთის თამაში შემეძლო და როგორ არ ვითამაშებდი?!

**- ბევრისგან გვსმენია, ჭედიას სკოლა არ გაუვლიაო. მართლა ასე იყო?**

- მსოფლიო დონის საფეხბურთო სკოლაში არ მივარჯიშია, მაგრამ სკოლა როგორ არ გამივლია. 6 წლიდან ხობში ფრიდონ გოცირიძესთან ვვარჯიშობდი. ეტყობა, მერე და მერე ისე მოვუმატე, ლევან ნოდიამ რეგიონალლიგის ხობის „კოლხეთში" გადამიყვანა. მე ამ ხალხის მადლიერი ვარ, რადგან ბევრი შემძინეს და სწორედ მათი ნდობის დამსახურებაა, საბოლოოდ უმაღლეს ლიგასა და ქუთაისის „ტორპედოში" რომ მოვხვდი.

**- რუსთავის „ოლიმპში" მოვუმატეო, თქვით. კონკრეტულად თქვენთვის რა შეიცვალა?**

- მეტი მოთხოვნები, მეტი სტიმულია. არ მინდოდა, უფრო დაბალი დონის კლუბში მოხვედრა. სირთულეების დაძლევას ბავშვობიდან შევეჩვიე და რუსთავშიც ასეთი განწყობით მივედი. მეტი მოთხოვნების და ძლიერი კლუბის არასდროს შემშინებია. ჩემთვის „ოლიმპში" კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა - აქამდე სულ თავდასხმაში ვთამაშობდი, ახლა პოზიცია შემიცვალეს და ფლანგის ფეხბურთელი გავხდი. აქედან სულ სხვაგვარად ავთამაშდი.

**- ესე იგი, თქვენი პოზიცია მოგიძებნეს...**

- ფლანგზე თამაში ძალიან მომეწონა. თავიდან კი გამიჭირდა, უცხო პოზიცია იყო და შესაჩვევად დრო მჭირდებოდა, მაგრამ მწვრთნელის დახმარებით ეს სირთულე დავძლიე. ახლა თამაში შემიძლია მარცხენა ფლანგზეც და მარჯვენაზეც.

**- დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ მონდომებით და, რაც მთავარია - ხარისხიანად, მხოლოდ პრინციპულ შეხვედრებს ატარებთ, აუტსაიდერებთან კი ამას ვერ ვიტყვით...**

- როცა ჩემპიონობისთვის მებრძოლ კლუბში თამაშობ და ხვდები „დინამოს", „ზესტაფონსა" და „ვიტ ჯორჯიას", ბუნებრივია, სხვაგვარი სტიმული გიჩნდება. თანაც, ტრაბახში არ ჩამომართვათ და, მშიშარა არ ვარ, წეღანაც გითხარით - ფეხბურთელის როგორ უნდა შემეშინდეს, ისიც ხომ ჩემნაირი ადამიანია?!

**- მებრძოლი ხასიათი ერთია და, მოწინააღმდეგეებთან ხშირად კინკლაობთ...**

- ეს ფეხბურთის ნაწილია, გამიზნულად არავის ვეჩხუბები. ფეხბურთი ხომ ძალიან აზარტული სპორტია. მე პირადად ცუდს არასდროს არავის ვკადრებ და თუ ვინმესთან მიკინკლავია, უსიამოვნება იქვე დასრულებულა. ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელების დიდი ნაწილი ან მეგობარია ჩემი, ან კარგად ვიცნობ და პატივს ვცემ. ისე ცხოვრებაში ძალიან აზარტული ვარ და ეს მოედანზეც მეტყობა. თუმცა წყენა და ბოღმა მოედნის გარეთ არასდროს გამყოლია.

# გიორგი გაბედავა

# ეტყობა, უკრაინაში საჩემო ფეხბურთია...

## იჯარა დასრულდა, ვარიანტები გამოჩნდა, რომელ კლუბში ითამაშებს გაბედავა?



გიორგი გაბედავა

უკრაინის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გიორგი გაბედავა საქართველოში დაბრუნდა. 21 წლის ფორვარდს მარიუპოლის „ილიჩევეცში" პირველი სეზონი ჰქონდა. ჯერ კიდევ უცნობია, ისევ ამ კლუბში ითამაშებს გაბედავა თუ კარიერას სხვაგან გააგრძელებს.

უკრაინულ კლუბში გიორგიმ 13 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. გუნდის მთავარი მწვრთნელი ილია ბლიზნიუკი გაზეთ „კომანდასთან" ინტერვიუში ამბობს, რომ ახალი სეზონიდან აქცენტს რუსულენოვან ლეგიონერებზე გააკეთებს და... მათ შორის, საქართველოც ახსენა. ერთი შეხედვით, უ[illegible] ვივარაუდოთ, რომ ბლიზნიუკმა გაბედავა იგულისხმა. თუმცა მან ისიც გარკვევით თქვა - იჯარით მოსული ფეხბურთელებიდან „ილიჩევეცში" ჯერ მხოლოდ კონსტანტინ იაროშჩენკო რჩება, დანარჩენების საკითხი გასარკვევიაო. შეგახსენებთ, რომ გაბედავა „გაგრადან" „ილიჩევეცში" სწორედ იჯარითაა გადასული.

ინტერნეტპორტალ ფუტბოლ. უა-ს ჟურნალისტი მაქს პენი წერს: "ზამთარში დაიმატეს ახალგაზრდა ქართველი გიორგი გაბედავა, მაგრამ არასტაბილურობის გამო კასიანის სრულფასოვანი შემცვლელი ვერ გახდა. ზოგიერთი მატჩი მან მაღალ დონეზეც ჩაატარა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ საერთო შთაბეჭდილება საუკეთესოა".

გაბედავა დღეს ჩვენი რესპონდენტია და უკრაინაში გატარებულ პერიოდზე გვესაუბრება...

**- სეზონის დასრულების შემდეგ უნდა გარკვეულიყო, დარჩებოდით თუ არა კლუბში. უკვე შეგიძლიათ, რაიმე სიახლე გვითხრათ?**

- ჯერ არაფერი ვიცი. 1 ივნისამდე დასვენება გვაქვს და მერე გადაწყდება.

**- წესით, კლუბმა უკვე უნდა იცოდეს, სურს თუ არა თქვენი დატოვება. როგორია წინასწარი შთაბეჭდილება?**

- რა თქმა უნდა, ვიცი მათი პოზიცია, მაგრამ რაკი კონტრაქტი ჯე[illegible] არ გამიფორმებია, ახლა ვერაფერს ვიტყვი.

**- თქვენი სიტყვებიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ „ილიჩევეცს" თანამშრომლობის გაგრძელება სურს. ასეა?**

- იმათ კი სურთ, მაგრამ სხვა საკითხებია გადასაწყვეტი - ვთქვათ, როგორი პირობები მექნება... ხომ გესმით?

**- დაბალი ხელფასი გქონდათ?**

- მარიუპოლში იჯარით ვთამაშობდი, ჯერ მაკვირდებოდნენ და ასეთ დროს დაბალი ხელფასი ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მთავარი იყო არა ხელფასი, არამედ თავის დამკვიდრება, უკრაინელებისთვის თავის გაცნობა... თუმცა ახლა ლაპარაკია ახალ კონტრაქტზე და უკვე სხვა ვითარებაა. უკეთესი პირადი კონტრაქტის იმედი მაქვს და ვფიქრობ, ეს შესაძლებელიც იქნება. თუმცა აკვიატებული არ მაქვს, რომ მაინცდამაინც „ილიჩევეცში" დავრჩე, სხვა შემოთავაზებებიც არის.

**- ისევ უკრაინული კლუბებისგან?**

- არა, სხვა ქვეყნის გუნდებზეა ლაპარაკი. სანამ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, დაკონკრეტება არ მსურს. სიმართლე გითხრათ, ჯერ თავადაც ვერ მოვიფიქრე, სად და რომელ კლუბში ჯობია, რომ ვითამაშო. 1 ივნისამდე ვისვენებ, მანამდე ბევრი რამ გაირკვევა და იმედია, საუკეთესო ვარიანტი გამოჩნდება.

**- უკრაინულ ფეხბურთს თუ შეეჩვიეთ?**

- ყველაზე[illegible] შევეჩვიე და რომ იცოდეთ, არანაირად არ გამჭირვებია.

**- ჩვენთან შედარებით, უკრაინაში გაცილებით ტემპიან ფეხბურთს თამაშობენ და ამასაც იოლად შეეგუეთ?**

- არანაირი პრობლემა არ მქონია. ჯანი და გამძლეობა არ მაკლია, კარგად მოვემზადე და რატომ უნდა გამჭირვებოდა? ხასიათი მაქვს ასეთი - რაც უფრო მეტ სირთულეს ვაწყდები, მით უფრო მეტად მობილიზებული ვხდები და მეტი სტიმულიც მიჩნდება. ანუ, რაც უფრო მეტი მოგეთხოვება, მით მეტი უნდა გააკეთო - ეს ფეხბურთის მთავარი მოთხოვნაა. თუ ასე არ იცხოვრებ, ვერაფერსაც ვერ მიაღწევ.

**- და მაინც, უკრაინაში ყველაზე დიდი სირთულე რა იყო?**

- ბუნებრივია, საქართველოს შემდეგ 90 წუთის ჩატარება ბევრად რთულია, უდიდესი დატვირთვა და სისწრაფეა, გაცილებით ხისტად და ახლოს გეთამაშებიან, [illegible] საშუალებას არ გაძლევენ. უცებ ასეთ დონეზე გადართვა პრობლემაა და ცხადია, ვილლებოდი, თუმცა მოედნიდან „[illegible]ასატანი" არასდროს ვყოფილვარ. ხომ გეუბნებით, ასეთ პირობებში თამაში ჩემთვის სტიმული იყო და ამის ხარჯზე ძალიან მოტივირებული ვთამაშობდი.

**- ფეხბურთელი ჩვენთან ერთ მატჩში რომ ენერგიას ხარჯავს, ის უკრაინაში ერთ ტაიმს თუ ეყოფა...**

- მართალი ხართ. ბევრად მეტი დატვირთვაა, ყველა მოძრაობაშია, გაჩერებული ფეხბურთელი არავის სჭირდება.

**- ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 3 შეხვედრა ჩაატარეთ. მწვრთნელი ბოლომდე არ გენდობოდათ?**

- რომ მენდობოდა, იმიტომაც დამაყენა სამჯერ ძირითადში. უბრალოდ, თავიდან შესაგუებლად დროს მაძლევდა და შეცვლებზე შევყავდი.

**- უკრაინულ ფეხბურთს სანახაობრივს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. თავდამსხმელისთვის ასეთი სტილი რამდენად მისაღებია?**

- ეს ტენდენცია ბოლო დროს არა მხოლოდ უკრაინაში, მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ასე რომ, უნდა ითამაშო იქ, სადაც საშუალება მოგეცემა. ეჰ, ჩვენს არჩევანზე რომ იყოს... თუმცა, სიმართლე გითხრათ, მე ნამდვილად არ მიჭირს და ეტყობა, უკრაინაში საჩემო ფეხბურთია...

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

# ქართული ფეხბურთი

## სახალისო ფეხბურთი



ბავშვები ოლეგ ბლოხინმა (მარცხნივ) დააჯილდოვა

# უკრაინაში, ქართველთა წინამძღოლობით...

ამას წინათ უკრაინაში ფეხბურთის დღე აღინიშნა და ქართველებისთვის ეს ღონისძიება იმით იყო გამორჩეული, რომ უკრაინაში საჩვენებელი გამოსვლა ჩვენში უკვე 7 წლის წინათ დამკვიდრებული „ღია სახალისო ფეხბურთის სკოლების“ ქართველ ინსტრუქტორთა შეფის **ბადრი მაჭავარიანის** ხელმძღვანელობით ჩატარდა. ამიერკავკასიაში ამ ორგანიზაციას სფფ-ის ყოფილი გენმდივანი **ვალერი ჩოლარია** ხელმძღვანელობს და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გარდა, მას უკვე „ჩააბარეს“ მოლდოვა და აგერ - უკრაინაც.

დანიელი **ანდერს ლევინსენის** მიერ წამოწყებული ეს ფანტასტიკური ღონისძიება ძალიან პოპულარული გახდა სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და 50-მილიონიანი უკრაინის შემოერთებაც ამის დასტურია. წლეულს უკრაინაში 16 სკოლა გაიხსნება და მათ ქართველი ინსტრუქტორები უხელმძღვანელებენ, ამასობაში კი უკრაინელი მწვრთნელებისა და ინსტრუქტორების მომზადებაზე თბილისის ოფისი იზრუნებს. ორიოდე დღეა, რაც ჩაქვში უკვე დაიწყო სემინარი, რომელშიც 50-მდე უკრაინელი ახალგაზრდა კადრი მიიღებს განათლებას...

უკრაინული მედიის თქმით, ამ ქვეყანაში ძალზე დაინტერესებულან პროგრამით, რაშიც ლომის წილი ბადრი მაჭავარიანმა დაიდო. იგი ისეთი ენთუზიაზმითა და მონდომებით ცდილობდა უკრაინელთათვის პროგრამის საფუძვლების ახსნას, რომ უკრაინული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდები - **ოლეგ ბლოხინი** და **ვლადიმირ მუნტიანიც** კი აღფრთოვანდნენ - უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის შენობის წინ მდებარე **ვიქტორ ბანიკოვის** საფეხბურთო არენაზე თავად ვიყავი ამ დიადი ფეხბურთელების აღტაცების მოწმე...

**ნოდარ ჩოლარია**
კიევიდან

## ფუტსალი

# იბერიამ ჩემპიონობას თასი მიაყოლა

ფუტსალის სეზონი 28 მაისს, თასის ფინალით დასრულდა. გლდანის დარბაზში ერთმანეთს „იბერია“ და თსუ დაუპირისპირდნენ. ფინალის წინ კი ჩემპიონატის პრიზიორების დაჯილდოვება გაიმართა. „იბერიამ“, რომელმაც სეზონი 17 გამარჯვებით და ერთადერთი ფრით დაასრულა, ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი ჩაიბარა. იბერიელებს ერგოთ ორი ინდივიდუალური პრიზიც - **სიდნეი რობერტო როსას** საუკეთესო ბომბარდირობისთვის (31 გოლი), ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშისთვის კი - **ალექსანდრე ძაბირაძეს**. საუკეთესო მეკარედ ალგოელი **ანდრეი პოპკოვი** დასახელდა, მის გუნდს კი ჩემპიონატის ვერცხლის მედლები გადაეცა. მესამე ადგილზე თსუ გავიდა.

თასის ფინალი კი იბერიელთა უპირატესობით წარიმართა. პირველი ტაიმი 4:1 დასრულდა და მეორე ტაიმში სტუდენტებმა მეკარე მეხუთე მოედნის მოთამაშით შეცვალეს. ამან არ გაჭრა და საბოლოოდ, „იბერიამ“ დუბლი შეასრულა. ძაბირაძე კი ფინალის საუკეთესო მოთამაშეც გახდა.

ახლა „იბერიას“ უეფას თასზე თამაში ელის და შარშანდელ სეზონს თუ გავიხსენებთ, იბერიელებისგან სერიოზულ შედეგს უნდა ველოდოთ. შეგახსენებთ, რომ 2009 წელს „იბერია“ ევროპის 12 საუკეთესო გუნდს შორის გავიდა.

**იბერია-თსუ 7:4**

**1:0 სიდნეი (7), 2:0 ძაბირაძე (9), 3:0 ძაბირაძე (10), 4:0 ვაშინგტონი (14), 4:1 ბოკერია (20), 4:2 ბოკერია (23), 5:2 რონი (25), 6:2 ალთუნაშვილი (27), 7:2 სიდნეი (33), 7:3 სებისკვერაძე (37), 7:4 ბოკერია (38)**

იბერია: აკოფოვი, კუბლაშვილი, ცნობილაძე, ძაბირაძე, ვაშინგტონი, რონი, სიდნეი, ჯამბურია.

მწვრთნელი: ვახტანგ წერეთელი

თსუ: გაბუჩია, ნიკოლეიშვილი, სოზაშვილი, დარჩია, ბოკერია, მაისაია, ბობოხიძე, სებისკვერაძე, კობაიძე, ასათიანი, კაკაშვილი

მწვრთნელი: ბესო არველაძე

## მინიფეხბურთი

# სლავა მეტრეველის ხსოვნას მიეძღვნა...

სახელოვან ქართველ ფეხბურთელს, თბილისის „დინამოს“, მოსკოვის [illegible] „ტორპედოსა“ და საბჭოთა ნაკრების თავდამსხმელ სლავა მე[illegible] [illegible]ქულს ხვალ 74 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღს მიეძღვნა 57-[illegible] სკოლის დირექტორის **იოსებ ხუციშვილის** და ამავე სკოლის [illegible]ტისა და ესთეტიკის სწავლების ხელმძღვანელის **ვახტანგ ბა[illegible]ქანიძის** ინიციატივით საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა ტრადიციული ტურნირი მინიფეხბურთში. საასპარეზოდ 8 გუნდმა მოიყარა თავი. წრიული შეხვედრების შემდეგ კერძო „მოძღვარის“ ფეხბურთელებმა ფრანგული კოლეჯის წარმომადგენლებს სძლიეს, ხოლო 57-ე სკოლელებმა 55-ე სკოლის გუნდს 6:5 მოუგეს.

ფინალურ პაექრობაში ვახტანგ ბაქანიძის შეგირდებმა აშკარად დაჯაბნეს (12:5) მეტოქე და მთავარი პრიზიც დაიმსახურეს.

**ვაჟა დანელია**

## საქართველოს ჩემპიონატი

სეზონის შეჯამება. სიონი

# კერკეტი კაკალი ფავორიტებისთვის

უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ სტაჟიან გუნდს, ბოლნისის „სიონს“ გასულ სეზონში ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუხდა ბრძოლა და ეს ამოცანა დადებითად გადაჭრა. ქვემოქართლელთა ეს გუნდი ერთხელ უკვე იყო ქვეყნის ჩემპიონი. გასულ სეზონში ამბიციური გეგმებით ვერ წარდგა - უმთავრესად იმიტომ, რომ სათანადო დაფინანსება აკლდა. ბოლნისელებს კარგი შემადგენლობა ჰყავდათ, მაგრამ მათი ასპარეზობისთვის მაინც დამახასიათებელი იყო არასტაბილურობა. აღსანიშნავია ისიც, რომ გასულ ჩემპიონატში „სიონს“ სამი მწვრთნელი ხელმძღვანელობდა. სეზონი თემურ მახარაძემ დაიწყო, რომელმაც 11 ტურში უხელმძღვანელა გუნდს და მთლიანად მოპოვებული 38 ქულიდან, მესამედზე მეტი, 14 ქულა მოუტანა გუნდს. მერე მახარაძეს რუსთავის „ოლიმპი“ ჩააბარეს და ეს გუნდი ჩემპიონი გახადა, „სიონში“ კი თავკაცად მახარაძის თანაშემწე გიორგი ყიფშიძე გახდა. ყიფშიძეს 7 ტურში მოუწია გუნდის გაძღოლამ და მოკრძალებულად, მხოლოდ სამი ქულა აიღო ამდენივე ფრით. შესაბამისად, კლუბის ხელმძღვანელობამაც ახალი მწვრთნელის ძიება დაიწყო და არჩევანი ხვიჩა ქასრაშვილზე შეაჩერა.

**ბოლნისელთა ჩემპიონობა ზემოთ ტყუილად არ გვიხსენებია. „სიონმა“ ოქროს მედლები რომ მოიპოვა, იმ სეზონის პირველ ნახევარში გუნდს სწორედ ქასრაშვილი ხელმძღვანელობდა. თუმცა ამჯერად ხვიჩა ქასრაშვილს სხვა მდგომარეობა დახვდა ნაცნობ კლუბში - ლიგაში ადგილი უნდა შეენარჩუნებინა. მისი მწვრთნელობისას „სიონმა“ ქულათა მარაგი 38-მდე შეავსო და სეზონის დასრულებამდე 3 ტურით ადრე გაინაღდა უმაღლეს ლიგაში დარჩენა.**

ზემოთ „სიონის“ არასტაბილური ასპარეზობა ვახსენეთ, რომელსაც გამონათებებიც თან სდევდა. ბოლნისელთა გუნდი მოწინავე ოთხეულისთვის ერთგვარი „კერკეტი კაკალი“ იყო. თავად განსაჯეთ, პირველ ორ წრეში „სიონმა“ ვიცე-ჩემპიონ „დინამოს“ შინ ქულა აართვა, სტუმრად კი 2:0 მოუგო. ბრინჯაოს პრიზიორი „ზესტაფონი“ ჯერ შინ ფრეზე დაითანხმა და ბოლნისში, მეორე შეხვედრაშიც 2 ქულას დააკარგვინებდა, მატჩის მიწურულს **ჯაბა დვალს** რომ არ გაეტანა. თასის მფლობელ და მეოთხე ადგილზე გასულ „ვიტ ჯორჯიას“ ქასრაშვილის ფორმაციის გუნდმა ბოლო ორ წრეში 2 ქულა წაართვა და ორჯერ მეტი დააკარგვინა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლნისელებმა ჩემპიონი „ოლიმპი“ შინ უგოლო ფრეზე დაითანხმეს. ცხინვალის „სპარტაკთან“ კი ბოლნისელებმა 4 ქულა მოიპოვეს. „სიონის“ კიდევ ერთი უცნაურობაც უნდა აღვნიშნოთ - მთელი სეზონის განმავლობაში „სამტრედია“ ქვემოქართლელთა გუნდზე წინ იყო, მაგრამ დასკვნით ტურში ქასრაშვილის გუნდმა შინ „გაგრა“ დაამარცხა (არადა, რომც წაეგო, მაინც არ ვარდებოდა ლიგიდან) და სამტრედიელებს ქულითა და საფეხურით გაუსწრო. სხვათა შორის, გასულ ჩემპიონატში ბოლნისელებმა ყველაზე დიდი ანგარიშით, 3:0 სწორედ სამტრედიას“ მოუგეს. ასევე ყველაზე დიდი ანგარიშით კი უკვე ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპთან“ (0:6) დამარცხდნენ, თანაც შინ.

### მეკარეები

ბოლნისელთა მთავარი მეკარე **მინდია ბობღიაშვილი** იყო, მაგრამ **ვლადიმერ ზუხბაიასაც** საკმაოდ მოუწია თამაშმა. [illegible] მეტიც, ზუხბაიას შანსი გაუჩნდა თუ არა, იმდენად კარგად წარმოჩნდა, რომ საბოლოო ჯამში 15 მატჩში მოუხდა კარის დაცვა. მან მთავარ კიპერად აღიარებულ ბობღიაშვილს აგრძნობინა, რომ მოდუნების უფლება არ ჰქონდა. მთლიანობაში ორივე მეკარემ ერთად 43 ბურთი მიიღო, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა ნამდვილად არ არის. მაგრამ გაშვებულ გოლებში მხოლოდ გოლკიპერების დადანაშაულება გამართლებული ნამდვილად არ იქნება.



დინამო-სიონი 0:2

### მცველები

გასულ სეზონში „სიონს“ გამოცდილი ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებული დაცვის ხაზი ჰყავდა: **გივი დიდავა, რევაზ ქემოკლიძე, ლაშა ჭელიძე და თემურ რაქვიაშვილი** - მხოლოდ ამ 4 მცველს ჩამოვთვლით... თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბოლნისელთა მცველებს ტრავმები ხშირად აწუხებდათ, თორემ... ისიც აღსანიშნავია, რომ ამ გუნდის მიერ გატანილი 27 გოლიდან 2 მცველებზე მოდის და ორივე ლაშა ჭელიძეზე, რომელიც ყაზახეთიდან დაბრუნების შემდეგ, ზამთარში შეუერთდა ხვიჩა ქასრაშვილის გუნდს.

### ნახევარმცველები

ნახევარდაცვის ლიდერი **ალექსანდრე გოგობერიშვილი** მთლიანად გუნდის მთავარ გამწევ ძალად მოგვევლინა. რევაზ ქემოკლიძის დარად, მან ყველაზე მეტი, 29 მატჩი ჩაატარა ბოლნისელთა გუნდში და „სიონში“ ყველაზე მეტი, 6 გოლი გაიტანა. სამი გოლი მიითვალა **ვლადიმერ უგრეხელიძემ**, რომელიც შუა ხაზზე ასევე გამორჩეული იყო და არაერთი საგოლე გადაცემაც მიითვალა. 2 გატანილი ბურთით შეეშველა ბოლნისელებს ნახევარმცველი **გიორგი მელქაძე**, რომელიც ზამთრის პაუზისას „ვიტ ჯორჯიიდან“ იჯარით გადაიყვანეს ქვემოქართლელებმა. **ირაკლი შენგელიამ** მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა, მაგრამ უდავოდ დიდი სამუშაო გასწია. გოლი არ გაუტანია, მაგრამ გიორგი დეკანოსიძემ ბოლნისელთა რიგებში ჩატარებულ 14 მატჩში გუნდს საკმაო სარგებელი მოუტანა - საგოლე პასებით შეეწია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზამთარში დამატებული დეკანოსიძისგან ბოლნისელები მეტს ელოდნენ, მაგრამ მასაც ტრავმებმა შეუშალა ხელი.

### თავდამსხმელები

გუნდის შედეგიანობას თავდამსხმელთა შედეგიანი თამაში მნიშვნელოვანწილად განაპირობებს. შესაბამისად, გასულ სეზონში ბოლნისელი გულშემატკივარი გაცილებით მეტს მოელოდა „სიონის“ თავდასხმის ხაზისგან, მაგრამ... ბოლნისელ ქომაგებს უპირველესად ფორვარდ **ლევან მელქაძისა** ეიმედებოდათ, რომელიც ზამთარში დაემატა გუნდს. მელქაძე თავის დროზე თბილისის „დინამოში“ შედეგიანი თამაშით გამოირჩეოდა, მაგრამ აშკარად დაეტყო, რომ ფორმა ვერ აღიდგინა, თორემ 15 მატჩში მხოლოდ 2 გატანილი ბურთი, მისი შესაძლებლობების მქონე თავდამსხმელისთვის ნამდვილად ცოტაა. თავდასხმის [illegible] ახალგაზრდა **ჯაბა უგულავაც** კარგად წარმოჩნდა. მართალია, მან მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ საკმაოდ ამწვავებდა ბოლნისელთა შეტევებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ **ჯაბა უგულავა** მომდევნო სეზონში უფრო დახვეწილად წარმოჩნდება. მანამდე კი ვიტყვით, რომ 1992 წელს დაბადებულ ამ თავდამსხმელს, ასაკით 19-წლამდელთა ნაკრებში თამაში შეუძლია და ვიმედოვნებთ, ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელებიც დააკვირდებიან.

**დავით ცაბაძე**

სიონის ყველა მატჩი

**ადგილი XXI ჩემპიონატში: 6**

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 36 | 8 | 14 | 14 | 27-43 | 38 |

**I ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | სიონი-სპარტაკი | 1:4 |
| II ტური | სიონი-დინამო | 0:0 |
| III ტური | ვიტ ჯორჯია-სიონი | 2:1 |
| IV ტური | სიონი-ზესტაფონი | 0:0 |
| V ტური | ოლიმპი-სიონი | 3:0 |
| VI ტური | სიონი-ბაია | 1:0 |
| VII ტური | ლოკომოტივი-სიონი | 0:0 |
| VIII ტური | სიონი-სამტრედია | 3:0 |
| IX ტური | გაგრა-სიონი | 1:1 |
| X ტური | სპარტაკი-სიონი | 1:1 |
| XI ტური | დინამო-სიონი | 0:2 |
| XII ტური | სიონი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| XIII ტური | ზესტაფონი-სიონი | 3:0 |
| XIV ტური | სიონი-ოლიმპი | 0:6 |
| XV ტური | ბაია-სიონი | 2:0 |
| XVI ტური | სიონი-ლოკომოტივი | 0:0 |
| XVII ტური | სამტრედია-სიონი | 1:1 |
| XVIII ტური | სიონი-გაგრა | 1:1 |

**II ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| XIX ტური | სიონი-სპარტაკი | 0:1 |
| XX ტური | სიონი-დინამო | 0:1 |
| XXI ტური | ვიტ ჯორჯია-სიონი | 0:0 |
| XXII ტური | სიონი-ზესტაფონი | 0:1 |
| XXIII ტური | ოლიმპი-სიონი | 0:0 |
| XXIV ტური | სიონი-ბაია | 0:0 |
| XXV ტური | ლოკომოტივი-სიონი | 0:1 |
| XXVI ტური | სიონი-სამტრედია | 2:2 |
| XXVII ტური | გაგრა-სიონი | 1:2 |
| XXVIII ტური | სპარტაკი-სიონი | 1:3 |
| XXIX ტური | დინამო-სიონი | 4:0 |
| XXX ტური | სიონი-ვიტ ჯორჯია | 2:2 |
| XXXI ტური | ზესტაფონი-სიონი | 1:0 |
| XXXII ტური | სიონი-ოლიმპი | 1:2 |
| XXXIII ტური | ბაია-სიონი | 0:0 |
| XXXIV ტური | სიონი-ლოკომოტივი | 1:0 |
| XXXV ტური | სამტრედია-სიონი | 2:1 |
| XXXVI ტური | სიონი-გაგრა | 2:0 |

მეკარეები: მინდია ბობღიაშვილი - 25, ვლადიმერ ზუხბაია - 10;

მცველები: რევაზ ქემოკლიძე - 29, მიხეილ კობაური - 21, ლაშა ჭელიძე - 16, თემურ რაქვიაშვილი - 15, გივი დიდავა - 14, მურმან ქურასბედიანი - 11, ლევან მერებაშვილი - 7, გიორგი კვანტალიანი - 4, ოთარ ნაყოფია - 2;

ნახევარმცველები: ალექსანდრე გოგობერიშვილი - 29, ლაშა ნოზაძე - 26, ვლადიმერ უგრეხელიძე - 23, ირაკლი შენგელია - 15, გიორგი დეკანოსიძე - 14, გიორგი მელქაძე - 13, ლევან ჩხეტიანი - 7, გიორგი ოქროპირიძე - 5, ბექა ნოზაძე - 3, გიორგი სილაგავა - 3, შოთა გაბრიჩიძე - 2, მანუჩარ ოქროპირიძე - 1, არჩილ ალავიძე - 1, ლევან უგულავა - 1;

თავდამსხმელები: ლევან მელქაძე - 15, ჯაბა უგულავა - 15, გიორგი მაისურაძე -13, ლაშა რუსეიშვილი - 5, გიორგი ჯოხაძე - 3;

# საქართველოს ჩემპიონატი

## თვის ნომინანტები. მაისი

### სატურნირო მდგომარეობა. მაისი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 5 | 4 | 1 | 0 | 13-2 | 13 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 2 | 0 | 7-1 | 11 |
| 3. გაგრა | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 4. ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| 5. სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 7 |
| 6. ზესტაფონი | 5 | 2 | 0 | 3 | 9-7 | 6 |
| 7. სამტრედია | 5 | 2 | 0 | 3 | 7-10 | 6 |
| 8. სპარტაკი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |
| 9. ლოკომოტივი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |
| 10. ბაია | 5 | 0 | 3 | 2 | 2-9 | 3 |

საქართველოს თასის საიუბილეო, XX გათამაშების ფინალური მატჩით 2009-10 წლების ქართული საფეხბურთო სეზონი დასრულდა! რალა თქმა უნდა, უკვე იმის დროც დადგა, სეზონი რომ შევაჯამოთ; ანუ, „ლელოს“ ვერსიით ჩემპიონატის ნომინანტები გამოვავლინოთ: საუკეთესო მეკარე, საუკეთესო მცველი, საუკეთესო ნახევარმცველი, საუკეთესო თავდამსხმელი, საუკეთესო დებიუტანტი, საუკეთესო მწვრთნელი, საუკეთესო ფეხბურთელი, სეზონის აღმოჩენა და ასე შემდეგ. თუმცა, მანამდე ხომ მაისის ნომინანტები უნდა დავაფასოთ, მით უფრო, რომ სეზონის უკანასკნელ თვეში ჩვენს ფეხბურთში არაერთი დასამახსოვრებელი ფაქტი მოხდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სწორედ მაისში გამოვლინდა საქართველოს ჩემპიონი - რუსთავის „ოლიმპმა“ ვადაზე ადრე, ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე მოიპოვა ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდის სახელი! ასევე მაისში გაირკვა საბოლოოდ იმ ორი გუნდის ვინაობაც, მომავალ სეზონს უმაღლესის ნაცვლად პირველ ლიგაში რომ დაიწყებენ: თბილისის „ლოკომოტივის“ და განსაკუთრებით „გაგრას“ საფინიშო გააქტიურება დაგვიანებული აღმოჩნდა...

არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ისიც, რომ ხანმოკლე პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგას ქუთაისის „ტორპედო“ და ფოთის „კოლხეთი“ დაუბრუნდნენ!

### მწვრთნელი — გელა გომელაური (ვიტ ჯორჯია)



სეზონის უკანასკნელი თვე პარადოქსებით აღსავსე გამოდგა - ყველაზე მეტი ქულა იმ გუნდებმა მოაგროვეს, წესითა და რიგით, ჩემპიონატში მოტივაცია საერთოდ რომ არ უნდა ჰქონოდათ. ანუ, „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ უკვე განაღდებული ჰქონდათ ევროპის ლიგის საგზური, ამასთან, ორივე გუნდისთვის მაისის თვეში ჩასატარებელი მატჩები საქართველოს თასის ფინალისთვის მოსამზადებელ ეტაპად უნდა გამომდგარიყო. მოკლედ, ბევრს ეგონა, რომ თასის ორივე ფინალისტი სეზონის უპრინციპულესი მატჩისთვის ჩემპიონატის შეხვედრებს ზერელედ მიუდგებოდა, ან მთელი თვის განმავლობაში ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი ძირითადი შემადგენლობის ხშირ როტაციას მიმართავდა. ყველაფერი კი პირიქით მოხდა: მაისში ყველაზე კარგი შედეგი „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ ჰქონდათ! თუმცა, კიდევ რჩებოდა 2009-10 წლების სეზონის უკანასკნელი მატჩი, საქართველოს თასის მფლობელი რომ უნდა გამოერკვია.

შესაბამისად, ამ შეხვედრას ჩვენი არჩევანიც უნდა გაეადვილებინა - გამარჯვებული გუნდის თავკაცს ხომ „თვის მწვრთნელობაზე“ სამართლიანი პრეტენზია ექნებოდა! საბოლოოდ რა და როგორ მოხდა, ყველამ კარგად ვიცით: კლუბის 12-წლიანი ისტორიის განმავლობაში „ვიტ ჯორჯიამ“ პირველად შეძლო საქართველოს თასის მოპოვება! გუნდის ეს წარმატება კი, რალა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელის - **გელა გომელაურის** უდიდესი დამსახურებაა. სეზონის დასაწყისიდან პირველად რომ ერგო ამ ნომინაციაში გამარჯვება; თანაც, აბსოლუტურად დამსახურებულად...

გელა გომელაურის ხელმძღვანელობით „ვიტ ჯორჯიამ“ მაისში ექვსი მატჩი (თასის ფინალის ჩათვლით) ჩაატარა და მართლაც ჩინებული შედეგი აჩვენა: ოთხი გამარჯვება, ორი ფრე და არც ერთი წაგება; ამასთან, იმ ექვს შეხვედრაში მეტოქეებმა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს „ვიტ ჯორჯიას“ კარში გოლის გატანა.

... გელა გომელაური „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ მწვრთნელად გასული წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში დაინიშნა; თუმცა, მანამდე ეს გუნდი მისთვის უცხო არ იყო - დუბლშემადგენლობის თავკაცი გახლდათ და „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელებს ახალი მწვრთნელის მოძებნა „სხვაგან“ არ დაუწყიათ. სხვათა შორის, გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ გომელაურის წინამორბედის, **მერაბ კოჭლაშვილის** კვლავაც გუნდის სამწვრთნელო შტაბში დატოვებაც აბსოლუტურად გამართლებული ნაბიჯი იყო კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან.

კოჭლაშვილი გამოცდილი სპეციალისტია, არც გომელაურს დაუწყია სამწვრთნელო საქმიანობა გუშინ თუ გუშინწინ, მაგრამ პატარებთან მუშაობასა და უმაღლესი ლიგის ამბიციური გუნდის გაწვრთნას შორის ხომ უდიდესი სხვაობაა; მოკლედ, გამოცდილმა და ახალგაზრდა მწვრთნელებმა ჩინებული „ტანდემი“ შექმნეს და ყველაფერი ეს შედეგზეც აისახა: გომელაურის სადებიუტო შეხვედრაში „ვიტ ჯორჯიამ“ ნამდვილი სენსაცია შემოგვთავაზა, როცა თასის განმეორებით ნახევარფინალში „ზესტაფონს“ 4:0 მოუგო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არსებობის ისტორიაში „ვიტ ჯორჯიამ“ პირველად მოიპოვა თასი ფინალში ასპარეზობის უფლება! ამას სულ მალე მორიგი წარმატება მოჰყვა: 17 დეკემბერს „ვიტ ჯორჯიამ“ ასევე პირველად შეძლო საქართველოს სუპერთასის მოპოვება, როდესაც დამატებით დროში თბილისის „დინამოს“ მოუგო.

...გომელაურის მოსვლის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას“ ტაქტიკური განლაგება შეიცვალა და გუნდი თითქმის ყველა მატჩში ერთი და იმავე სქემით (4-3-2-1) ასპარეზობდა. „ვეტერინართა“ წარმატების კიდევ ერთი „საიდუმლო“ სრულფასოვანი რეზერვის არსებობაც იყო: მატჩი არ გავიდოდა, „ვიტ ჯორჯიას“ რომელიმე წამყვანი ფეხბურთელი არ გამოჰკლებოდა, მაგრამ ახალგაზრდები ღირსეულად ცვლიდნენ ძირითადის მოთამაშეებს. ზოგიერთი ახალბედა კი გუნდის შეუცვლელ ფეხბურთელად იქცა - სწორედ გელა გომელაურის მოსვლის შემდეგ დაიმკვიდრა ადგილი ძირითადში **გიორგი ვასაძემ**, ამ ჩემპიონატის ერთ-ერთმა აღმოჩენამ.

..."ვიტ ჯორჯია" სამართლიანად მიიჩნევა ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და წარმატებულ ქართულ კლუბად. თუმცა, უნდა ვაღიაროთ: შარშანდელი ჩემპიონობის შემდეგ ბევრი ელოდა, რომ ამ სეზონში „ვეტერინარები“ ღირებულს ვერაფერს მიაღწევდნენ; მით უფრო, როდესაც ამ სეზონის სტარტზე გუნდიდან წასვლა მოუხდა შარშანდელი ჩემპიონობის მთავარ შემოქმედს **რამაზ მუმლაძეს**. თუმცა, საქართველოში ამ გამორჩეული სპეციალისტის შეცვლა მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ მოხდა: „ვიტ ჯორჯიამ“ სეზონი საქართველოს თასისა და სუპერთასის მოპოვებით დაასრულა. ამაში კი ლომის წილი გუნდის მთავარ მწვრთნელს, გელა გომელაურს მიუძღვის!..

### ფეხბურთელები — ვიტ ჯორჯია



2009/10 წლების სეზონში „თვის ფეხბურთელი“ შვიდჯერ გამოვავლინეთ; აქედან, მხოლოდ ორი შემთხვევა იყო, კონკრეტულმა ფეხბურთელმა ამ ნომინაციაში ერთპიროვნულად რომ გაიმარჯვა: რუსთავის „ოლიმპის“, ალბათ, უკვე ყოფილი ფეხბურთელი **ანდერსონ აკინო** აგვისტოსა და მარტში უდავოდ საუკეთესო იყო. სხვა თვეებში კი ამ ნომინაციაში ორ-ორი გამარჯვებული გვყავდა: **ნიკოლოზ გელაშვილი** და **ალექსანდრე კოშკაძე** (სექტემბერში), **თორნიკე აფციაური** და ანდერსონ აკინო (ოქტომბერში), **გურამ კაშია** და **დავით იმედაშვილი** (ნოემბერ-დეკემბერში), **გიორგი ბერიაშვილი** და **გურამ კაშია** (თებერვალში), **ჯორჯ აკირემი** და **დავით იმედაშვილი** (აპრილში). თუმცა, მსგავსი პრეცედენტი წინა წლებშიც არაერთხელ ყოფილა, როცა „თვის ფეხბურთელ(ებ)ად“ ერთდროულად ორი მოთამაშე დაგვისახელებია. აი, ისეთი რამ, როცა ერთი, ან ორი ფეხბურთელის ნაცვლად ამ ნომინაციაში... გუნდი გველიარებინოს, ნამდვილად არასდროს მომხდარა!

ჰო, ვაღიაროთ, რომ, შესაძლოა, მართლაც „უცნაური“ გადაწყვეტილებაა; მაგრამ, მეორე მხრივ, მაისის ტრიუმფატორ გუნდში ვინმე კონკრეტული ფეხბურთელის გამოყოფა რთულზე რთული საქმე იქნებოდა: თითოეულმა მათგანმა უდიდესი წვლილი შეიტანა „ვიტ ჯორჯიას“ წარმატებულ ასპარეზობაში. საერთოდაც - „ვიტ ჯორჯია“ ხომ ყოველთვის გუნდურ თამაშს ანიჭებდა უპირატესობას და კლუბის ისტორიის განმავლობაში ერთეულ ინდივიდუალისტებს თუ გაუბრწყინებიათ (ამ შემთხვევაში, რალა თქმა უნდა, **ოთარ მარცვალაძეს** ვგულისხმობთ); ასე იყო მაისშიც: დაწყებული **გრიგოლ ბედიაშვილით** და ახალგაზრდა გიორგი ვასაძით დამთავრებული, ყველამ თანაბრად დაიმსახურა „თვის ნომინანტობა“.

თუმცა აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ყველაფერი მაინც შედარებითია და მაისის სიმბოლურ ნაკრებშიც სხვა გუნდის ფეხბურთელებიც ამიტომ მოხვდნენ. თუმცა, ისევ „ვიტ ჯორჯიას“ გუნდურ სიძლიერეს დავუბრუნდეთ, რისი ერთ-ერთი გარანტიც მეკარე გრიგოლ ბედიაშვილის საიმედო ასპარეზობა იყო. იმავეს ვიტყოდით დაცვის ხაზზეც: **ალექსანდრე კვახაძე, დავით ლომაია, ლაშა ჯაფარიძე** და **გიგა ბეჟვაია** უკვე მეოთხე სეზონია ერთად თამაშობენ და გუნდის მეკარესთან ერთად მათი დიდი დამსახურებაც არის, „ვიტ ჯორჯიამ“ მაისში ჩატარებული ექვს მატჩში მხოლოდ ერთი გოლი რომ გაუშვა („ბაიას“ ახალგაზრდა ფორვარდის **ირაკლი ეხვაიასგან**). იმავეს ვიტყოდით ორ ახალგაზრდა მცველზეც - **დავით ხურცილავასა** და **გურამ ადამაძეზე**, გელა გომელაურისგან ყოველთვის უდიდეს ნდობას რომ გრძნობდნენ.

რა თქმა უნდა, გუნდის „ხერხემალიც“ უნდა აღვნიშნოთ - **ლუკა რაზმაძე, გიორგი დათუნაიშვილი** და გიორგი ვასაძე ნახევარდაცვის ცენტრში მართლაც გაუვალ „სამკუთხედს“ ქმნიან და მათ ენერგიული თამაშზე დიდად არის დამოკიდებული „ვიტ ჯორჯიას“ წარმატება-წარუმატებლობა. უმეტეს შემთხვევაში, „ვიტ ჯორჯია“ ერთი გამოკვეთილი ცენტრფორვარდით ასპარეზობს და პირველ ეტაპზე ამ მისიას თავი ჩინებულად გაართვა **ვახტანგ კვარაცხელიამ**, შემდეგ კი იგი გუნდისთვის უმტკივნეულოდ ჩაანაცვლა **გიორგი ბერიაშვილმა**. აღსანიშნავია, რომ ორივე ცენტრფორვარდი აბსოლუტურად განსხვავებული სტილისა და ფიზიკური მონაცემების მქონე ფეხბურთელია; თუმცა გელა გომელაური მაქსიმალურად იყენებდა ტანმაღალი და ათლეტური კვარაცხელიას, ასევე ტანმორჩილი და კრეატიული ბერიაშვილის შესაძლებლობებს.

ვინლა დაგვრჩა? რალა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯიას“ წარმატებების ორი არანაკლებ მთავარი შემოქმედი: **ჯაბა ლიპარტია** და **ირაკლი კლიმიაშვილი**! ამ ორივე ინსაიდს მოედანზე ხშირად უყვარს პოზიციების შეცვლა, ტექნიკასთანაც არ არიან მწყრალად და, რაც მთავარია, თავიანთ მეურვეებს მუდამ უამრავ პრობლემას უქმნიან. ამას გარდა, ლიპარტია და კლიმიაშვილი ისეთი ტიპის ფეხბურთელები არიან, საკუთარი ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლიათ.

### მაისის სიმბოლური ნაკრები




გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

ინგლისი

# კაპელოს ჟრუანტელი და ევრობრაზილიელები



ინგლისის ნაკრების ბანაკში

**სტივენ ჯერარდმა** ინგლისელები ძალიან შეაშინა - „ლივერპულის“ კაპიტანმა ხუთშაბათს მხოლოდ 30 წამი ივარჯიშა. ეს ავსტრიის ალპებში ნაკრების ბაზაზე მოხდა, სადაც **ფაბიო კაპელომ** ის-ის იყო, ფეხბურთელები ორ გუნდად გაყო და ერთმანეთთან თამაში დააწყებინა... ჯერარდიც დაშავდა. ფიზიკური მომზადების მწვრთნელი **სტეფანო ტირელი** დაუყოვნებლივ მივარდა, მთელი 20 წუთის განმავლობაში მარჯვენა ფეხსა და ზურგზე მასაჟს უკეთებდა. ჯერარდმა მთელი ვარჯიში მოედნის მიღმა გაატარა და მხოლოდ ბოლოს შეუერთდა თანაგუნდელებს, ოღონდ უკვე ძუნძულისას. ინგლისელთა ვარჯიშს ესწრებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც ლივერპულელს ეკითხებოდნენ, რა მოუვიდა და როგორ არის, რაზეც მან ცერა თითის აწევით, კარგად ვარო, უპასუხა.

ვარჯიშიდან სასტუმროში დაბრუნებულ ჯერარდს ექიმები კიდევ უტრიალებდნენ გარშემო. ფაბიო კაპელოს ბანაკში ამბობენ, რომ კვირას, ქალაქ გრაცში დაგეგმილ ამხანაგურ შეხვედრას იაპონიის ნაკრებთან ჯერარდი, სავარაუდოდ, გამოტოვებს. სხვათა შორის, ვარჯიში, რომელიც ჯერარდმა გამოტოვა, გამოტოვა მისმა ლივერპულელმა თანაგუნდელმა **გლენ ჯონსონმაც**, რომელმაც მექსიკის ნაკრებთან შეხვედრაში საზარდული იტკინა. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრებმა ის თამაში 3:1 მოიგო. კოჭი გადაუბრუნდა „ასტონ ვილას“ განაპირა მცველ **სტივენ უორნოკსაც**, მაგრამ ექიმები ამბობენ, რომ ის იაპონიასთან თამაშისთვის მზად იქნება. კიდევ ამბობენ, რომ კაპელოზე კარგი შთაბეჭდილება „ვესტ ჰემის“ ნახევარმცველმა **სკოტ პარკერმა** დატოვა.

ხოლო ხალხი, ვინც ფიქრობს, რომ იტალიელი მწვრთნელის ინგლისისადმი ერთგულება „ინტერის“ შეთავაზებულმა მილიონებმა შეამონწმა, კიდევ ერთხელ დარჩებოდა კმაყოფილი - მწვრთნელმა თავის ფეხბურთელებსა და გუნდზე დიდი ენთუზიაზმითა და სიყვარულით ილაპარაკა. ამჯერად მან ინტერვიუ მშობლიურ, იტალიურ ტელევიზიას მისცა და, შესაბამისად, იტალიურადაც ლაპარაკობდა. ალბათ, სწორედ ამიტომ გამოვიდა ეს ინტერვიუ ემოციური, რაც ხშირად აკლია კაპელოს ინგლისურენოვან გამოსვლებს - სავარაუდოდ, ემოციის გამოხატვაში ხელს ენის მწირი ცოდნა უშლის. ხსენებულ ინტერვიუში კაპელომ აღწერა, როგორ უვლის ჟრუანტელი ჰიმნის God Save the Queen-ის მოსმენისას (რომელსაც ვერ მღერის, რადგან ის მაინც არ არის იტალიის ჰიმნი და ეთიკური პრობლემა ექმნება) და როგორ მოსწონს ინგლისელი ფეხბურთელების სამუშაო ეთიკა და პროფესიონალიზმი. თქვა, რომ მისი გუნდი მხოლოდ ერთი ფეხბურთელის **უეინ რუნის** ნიჭსა და უნარზე არ არის აწყობილი, მაგრამ ამ ნიჭსა და უნარს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლის თამაში შეუძლია. ამავე ინტერვიუში კაპელომ დაადასტურა, რომ „მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველი **გარეთ ბერი** მოსალოდნელზე სწრაფად გამოჯანმრთელდა და დიდი შანსია, სამხრეთ აფრიკაში გაემგზავროს.

*„ორი დღის წინ ჩატარებულმა ტესტებმა და სკანირებამ აჩვენა, რომ ბერის კოჭი გამოკეთების გზაზეა და შესაძლოა, ის მწყობრში სულ მალე ჩადგეს. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. წავიყვან თუ არა ბერის სამხრეთ აფრიკაში, ამ კვირის ბოლოს გადაწყდება“.*

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ნაკრების ბოლო შვიდ შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, იტალიელი ამტკიცებს, რომ უეინ რუნის ფორმით ძალიან კმაყოფილია. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი, მოგეხსენებათ, ბოლო დროს კოჭსაც მკურნალობდა და საზარდულსაც, ხოლო მექსიკასთან თამაშის შემდეგ კისრის ჩივილიც დაემატა. კაპელომ თქვა:

*„მართალია, რუნის ბოლო შეხვედრებში გოლი არ გაუტანია, მაგრამ ყველაფერი, რასაც ის ვარჯიშებზე აკეთებს, კმაყოფილების საბაბს იძლევა. მას ბომბარდირის მონაცემები აქვს და მე ყოველთვის ცენტრში თამაშს ვავალებ. ადრე ის თანაგუნდელების დახმარებაზე ზრუნავდა, დარბოდა მარჯვნივ და მარცხნივ, ყველგან, რაშიც დიდი ენერგია ეხარჯებოდა. ახლა ის უფრო ხშირად მეტოქის კარის წინ ტრიალებს, ნაკლებად იღლება და შესაბამისად გოლებიც გააქვს. თუმცა, ზოგადად მე არ მჯერა, რომ ერთ ფეხბურთელს, თუნდაც ის უეინ რუნი იყოს, ყველაფრის გადაწყვეტა შეუძლია. გამარჯვებით, ყოველთვის გუნდი იმარჯვებს, განსაკუთრებით მსოფლიოს ჩემპიონატზე. გუნდისთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი ერთსულოვნება და საბრძოლო სულისკვეთებაა. სწორედ ამიტომ მომწონს ჩემი ინგლისელი ფეხბურთელები. მათი ვარჯიშები ძალიან დამუხტულია, ისინი მართლა მონადინებულები არიან. მოედანზე ინგლისელები ყოველთვის ნაკლებად ჭირვეულები არიან, ვიდრე სხვები. გარდა ამისა, ისინი ტექნიკურადაც ძლიერები არიან და იციან მოედანზე როგორ გადაადგილდნენ. ერთი სიტყვით, იმ სამუშაოთი, რომელიც აქამდე გავწიე, ძალიან კმაყოფილი ვარ. ახლა, შეკრებაზე, ჩვენ აღვიდგინეთ ყველაფერი, რაც შესარჩევი მატჩების დროს დავამუშავეთ. ჩვენ ხომ, ფაქტობრივად, რამდენიმე დღის გარდა, ბოლო შვიდი თვის განმავლობაში ერთად არ ვყოფილვართ. ამიტომ, ახლა ყველაფრის აღდგენა და გამეორება მოგვიხდა“.*

შემდეგ იტალიელმა ჟურნალისტებმა კაპელოს ინგლისის ნაკრების მთავარი ფავორიტის დასახელება სთხოვეს. მწვრთნელმა უპირველეს ყოვლისა ესპანეთი და ბრაზილია დაასახელა, თუმცა არგენტინა და იტალიაც დააყოლა.

*„ყველაზე კომპაქტური და სოლიდური გუნდი ბრაზილიაა - თქვა კაპელომ - რომელიც ბრაზილიურად თითქმის აღარ თამაშობს. ეს გუნდი აშკარად ევროპულ ფეხბურთზეა გადასული. ესპანეთი ევროპის ჩემპიონია და ის გუნდი გახლავთ, რომელსაც კარგად შეუძლია თამაში. ამ გუნდის ფეხბურთელები ძალიან დიდი ხანია, ერთად არიან და დიდი ხანია, არ დამარცხებულან. ესპანელები ძალიან საშიში არიან. არგენტინა კი, ჩემი აზრით, არის გუნდი, რომლესაც ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავს. არ მავიწყდება მსოფლიოს ჩემპიონი იტალიაც. სხვათა შორის, ბევრს რატომღაც გერმანია აღარ ახსოვს, მაგრამ, მოდი, სიმართლეს თვალებში შევხედოთ - ეს ის ქვეყანაა, რომელსაც მსოფლიოს უმეტეს ჩემპიონატში აქვს ნათამაშები და მეოთხედფინალზე ადრე არასდროს ვარდება. და არის კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს - ჰოლანდიაა. ჰოლანდიელებსაც ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავთ. ბოლოს კი ერთსაც გეტყვით: ელოდეთ აფრიკულ სიურპრიზსაც“.*

კითხვაზე, რას განიცდის კაპელო, თუკი მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთმანეთს ინგლისი და იტალია შეხვდება, მწვრთნელმა უპასუხა:

*„ჩემი ფორმა ინგლისის ნაკრების ფორმაა. მე ლიპის ადგილს არ გავუცვლიდი. ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა მირჩევნია“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

ამხანაგური მატჩები

# დაუმარცხებელი ბაფანა ბაფანა სიურპრიზებს გვპირდება

## დანიამ კიაერი დაკარგა?

| ბელარუსი-ჰონდურასი | 2:2 |
|---|---|

**ჰონდურასი:** ვალადარესი, ბერნარდესი (77. ალვარესი), ჩავესი (57. პალასიოსი), ისაგირე, მენდოსა, გარსია (70. ალვარესი), ტომასი, ლეონი (83. ესპინოსა), მარტინესი (58. ნუნიესი), პავონი (69. ველკომი), სუასო.

**გოლები:** 0:1 ლეონი (25), 1:1 პუტილო (57), 2:1 პუტილო (60), 2:2 ველკომი

**მაყურებელი:** 1 000

| სამხ. აფრიკა-კოლუმბია | 2:1 |
|---|---|

**სამხ. აფრიკა:** ხუნე (46. ჯოზეფსი), გაქსა, მასილელა (52. ტჰვალა), ხუმალო, მოკოენა, ჩაბალალა, მოდისე, ხუბონი (46. დიკგაკოი), ლეტჩოლონიანე (46. პიენაარი), მორირი (64. მაკარტი), მფელა (84. ნომვეტე).

**კოლუმბია:** ოსპინა, იეპესი, საპატა, არმერო, სუნიგა, აგილარი, გუარინი (32. ვალენსია), ჯ. მორენო (84. პაბონი), რამოსი (78. როდალეგა), იბარბო (46. ანჩიკო), მარტინესი (84. დ. მორენო).

**გოლები:** 1:0 მოდისე (18-პენ), 1:1 ჯ. მორენო (21-პენ), 2:1 მფელა (58-პენ)

**მაყურებელი:** 76 000

| დანია-სენეგალი | 2:0 |
|---|---|

**დანია:** კრისტენსენი (46. კრისტიანსენი), აგერი, კვისტი, კიაერი, კ. პოულსენი (46. იორგენსენი), რომედალი (73. ერიქსონი), ი. პოულსენი (61. ენევოლდსენი), კალენბერგი, ს. პოულსენი (46. მტილიგა), ბეკმანი (67. კრონ-დელი), ტომასონი.

**გოლები:** 1:0 კ. პოულსენი (27), 2:0 ენევოლდსენი (90)

**მაყურებელი:** 14 112



ტრავმირებული სიმონ კიაერი მოედნიდან გაჰყავთ

**მსოფლიოს** ჩემპიონატის მასპინძელმა იოჰანესბურგში 2:1 მოუგო კოლუმბიის ნაკრებს, რითაც „სოკერ სიტიზე“ შეკრებილი 80 ათასამდე გულშემატკივარი შინ იმედიანად გაუშვა. ვუვუზელას სამშობლოში უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ მუნდიალზე სამხრეთ აფრიკის ნაკრების სავარაუდო გაბრწყინებაზე. სამივე გოლი ამ შეხვედრაში პენალტით გავიდა, მათ შორის გადამწყვეტი კი **კატლეგო მფელას** პენალტი გამოდგა.

ნოემბერში სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ისევ დაუბრუნდა ბრაზილიელი თავკაცი **კარლოს ალბერტო პარეირა**, მას მერე უკვე ათი თამაშია „ბაფანა ბაფანა“ დაუმარცხებელია. პარეირამ ამჯერად თითქმის ის შემადგენლობა გამოიყვანა, რომელსაც ალბათ მექსიკას მუნდიალის გახსნით მატჩში დაუპირისპირებს. სათადარიგოთა სკამზე ლიდერთაგან მხოლოდ **სტივენ პიენაარი** და **ბენი მაკარტი** ისხდნენ, თუმცა კოლუმბიასთან თამაშმა მათაც მოუწიათ.

მე-18 წუთზე ანგარიში გაიხსნა, **ჩაბალალამ** კუთხური ჩამოაწოდა. კოლუმბიელმა **ფრედი გუარინმა** კი საჯარიმოში ხელით ითამაშა. **ჩოლოფელო მოდისემ** პენალტი ააცილა, მაგრამ მასპინძლები რეფერიმ იხსნა, რომელმაც ჩათვალა, რომ მეკარე **დავიდ ოსპინა** სასტვენამდე გადახტა. გამეორებითი დარტყმა უკვე ზუსტი გამოდგა - 1:0.

სამ წუთში კიდევ ერთი პენალტი დაინიშნა, **გუსტავო რამოსი** აფრიკელთა გოლკიპერმა **იტუმელანგ ხუნემ** წააქცია. **ჯოვანი მორენოს** არ გასჭირვებია გოლის გატანა - 1:1

პირველ ტაიმში კარგად გამოჩნდა, რომ კოლუმბიამ მოედნის ცენტრი მოიგო, ამიტომ შესვენებაზე პარეირამ პიენაარი და ფულჰემელი **დიკგაკოი** მიახმარა გუნდს. შესვენებიდან 12 წუთში ისევ „ბაფანა ბაფანა“ დაწინაურდა. ჩაბალალა საჯარიმოში **ჯონ ვალენსიამ** წააქცია. ბენი მაკარტიმ ბოლო 20 წუთი ითამაშა, თუმცა თავი ვერაფრით გამოიჩინა, რადგან „ბაფანა ბაფანა“ ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდა და შეტევებისთვის ვერ იცლიდა. ჩემპიონატის მასპინძლებს მუნდიალამდე კიდევ ორი ამხანაგური მატჩი აქვთ გასამართი, ორშაბათს გვატემალასთან, ხოლო 5 ივნისს დანიის ნაკრების წინააღმდეგ.

სწორედ დანიის ნაკრებმაც გამართა სპარინგი, ოლბორგში სენეგალის ნაკრები 2:0 დაამარცხა. ანგარიში „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა **კრისტიან პოულსენმა** გახსნა პირველ ტაიმში, ბოლო წუთზე კი აფრიკელებს „გრონინგენის“ დანიელმა ლეგიონერმა **ტომას ენევოლდსენმა** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

დანიელებს ეს გამარჯვება ჩამწარდათ, რადგან მცველმა **სიმონ კიაერმა** სერიოზული ტრავმა მიიღო და მას ალბათ მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვება მოუწევს. *„მუხლის ჯვარედინი იოგები დაიზიანა. წესით, ასეთ ტრავმას დიდი ხანი ესაჭიროება მოსარჩენად, თუმცა ჩვენ მაინც დაველოდებით სკანირების შედეგებს, არის შანსი, რომ სერიოზული დაზიანება არ არის“*, - განაცხადა დანიის ნაკრების ექიმმა **სიორენ კაალუნდმა**.

გუშინ **მორტენ ოლსენმა** დანიის ნაკრების 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, მასში ტრავმირებული სიმონ კიაერი დარჩა, მისი შეცვლა მწვრთნელს მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე 24 საათით ადრეც შეეძლება. ოლსენმა გუნდიდან გაუშვა მეკარე **კიმ კრისტენსენი, მიქაელ სილბერბაუერი, მიქაელ კრონ-დელი** და **მორტენ რასმუსენი.**

ბელარუსმა და მუნდიალის მონაწილე ჰონდურასმა ავსტრიაში ისპარინგეს. მატჩი უხვგოლიანი გამოდგა, **ანტონ პუცილოს** დუბლს ამერიკელთაგან გოლებით **ხულიო ლეონმა** და **ჯორჯი ველკომმა** უპასუხეს. ჰონდურასს ჯგუფში მეტოქეებად ესპანეთი, შვეიცარია და ჩილე ჰყავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია

# გარკვეულია: ლამი და ნოიერი

მორჩა: გერმანიის ნაკრებში სამიდან ორ მთავარ კითხვას პასუხი გაეცა. გუშინ ბუნდესგუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** და მეკარეების მწვრთნელმა **ანდრეას კიოპკემ** პრესკონფერენცია გამართეს და საფეხბურთო გერმანიას ამცნეს, თუ ვინ იქნება მუნდიალზე გერმანიის ნაკრების კაპიტანი და პირველი მეკარე. როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც ორი დღის წინ გაზეთი „ბილდი" საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით იუწყებოდა, ტრავმირებული **მიხაელ ბალაკის** სამკლავური მიუნხენის „ბაიერნის" მცველ **ფილიპ ლამს** გადაეცა. ლევერკუზენელი მეკარე **რენე ადლერი** კი, რომელიც საოპერაციო გახდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე **მანუელ ნოიერმა** (შალკე) უნდა შეცვალოს. ამ უკანასკნელთან ერთად, პირველობისთვის ბრემენელი **ტიმ ვიზე** და მიუნხენელი **ჰანს-იორგ ბუტი** იბრძოდნენ. მესამე და არანაკლებ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას (რომელი მოთამაშეები უნდა ამოვარდნენ გაფართოებული სიიდან) ლიოვი პირველ ივნისამდე მიიღებს.

იოგის თქმით, კაპიტნის შერჩევისას მან შემდეგი კრიტერიუმები გაითვალისწინა: *„ბუნდესგუნდის თავი ნებისმიერ სიტუაციაში ინტეგრირებადი და კომუნიკაბელური უნდა იყოს. კაპიტანი მხოლოდ თავის თავზე არ უნდა ზრუნავდეს. მას უნდა შეეძლოს აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელის პრობლემების გათავისება, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის მოედანზე მთავარი მწვრთნელის მარჯვენა ხელი უნდა იყოს! კაპიტანმა ყურადღება უნდა მიაქციოს მთელ გუნდს და უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ფეხბურთელებმა მოედანზე მწვრთნელის დავალებები შეასრულონ. ფილიპ ლამი ყველა ამ კრიტერიუმს იდეალურად აკმაყოფილებს."*

26 წლის ლამს დაცვის ორივე ფლანგის გარდა, საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია. ფილიპი „ბაიერნში" ვიცე-კაპიტანია (რეკორდმაისტერის კაპიტანი **მარკ ვან ბომელი** გახლავთ), რაც გუნდის თავისთვის ყველაზე აუცილებელია. მიუხედავად ჯერ კიდევ ახალგაზრდული ასაკისა, ლამს უკვე უდიდესი გამოცდილება აქვს. გერმანიის ნაკრებში მან უკვე 64 მატჩის ჩატარება მოასწრო. გერმანიის ნაკრების კაპიტნის სამკლავური პირველად 2009 წლის ნოემბერში, კოტ დ'ივუართან ტესტმატჩში (2:2) მოირგო, რადგან იმ შეხვედრაში ბუნდესგუნდის თავი ბალაკი და მისი შემცვლელი **მიროსლავ კლოზე** ტრავმის გამო არ თამაშობდნენ.

*„ფილიპი არის ფეხბურთელი, რომელიც მოედანზე და მოედანს მიღმაც ძალიან ბევრს ფიქრობს და ყოველთვის გულახდილია. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ფილიპი მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი გუნდის ღირსეული კაპიტანი იქნება,"* - განაცხადა ლიოვმა.

აღსანიშნავია, რომ ბუნდესგუნდის ვიცე-კაპიტანი კლოზე აღარ იქნება. იოგიმ ლამის შემცვლელად **ბასტიან შვაინშტაიგერი** დანიშნა – ფეხბურთელი, რომელსაც ასევე უწინასწარმეტყველებდნენ კაპიტნობას. თუმცა ლამთან და შვაინშტაიგერთან ერთად, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელთა ხუთკაციან საბჭოში კლოზეც მოხვდა. ამ სამეულის გარდა, საბჭოში **არნე ფრიდრიხი** („ჰერტა") და **პერ მერტეზაკერი** („ვერდერი") შევიდნენ. ლიოვი: *„ბალაკის ტრავმის შემდეგ, თითოეული ფეხბურთელის შემართებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩემი აზრით, მიხაელის პასუხისმგებლობები მხოლოდ ლამზე ან შვაინშტაიგერზე კი არა, მთელ გუნდზე უნდა გადანაწილდეს."*

რაც შეეხება მეკარის საკითხს. მიმომხილველთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ ლიოვი უპირატესობას ნოიერს მიანიჭებდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ფიქრობდა, რომ მუნდიალზე ბუნდესმეკარე ბრემენელი ტიმ ვიზე უნდა ყოფილიყო – პირველ რიგში იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს ნოიერზე დიდი გამოცდილება აქვს. იყო ლაპარაკი იმის შესახებაც, რომ შეიძლებოდა პირველ მეკარედ



მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების კარს მანუელ ნოიერი (მარცხნივ) დაიცავს, გუნდის კაპიტანი კი ფილიპ ლამი იქნება

ბუტი აერჩიათ, რომელმაც „ბაიერნში" შესანიშნავი სეზონი ჩაატარა. მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ლიოვმა და კიოპკემ უპირატესობა „შალკეს" ახალგაზრდა კიპერს მიანიჭეს, რომელსაც გერმანიის ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ სამი მატჩი აქვს ჩატარებული. თუმცა ნოიერსაც აქვს საკმაოდ დიდი მიღწევები. კერძოდ, 2009 წელს ის გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად, ევროპის ჩემპიონი გახდა და იმ ტურნირზე თავისი შესაძლებლობები იდეალურად დაამტკიცა. ცხადია, ლიოვისთვის ესეც ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი იყო, როცა მანუელს ბუნდესმეკარედ ირჩევდა. ამასთან ერთად, 24 წლის ნოიერმა „შალკესთან" ერთად საკმაოდ კარგი სეზონი ჩაატარა. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გასულ სეზონში არანაკლებ ეფექტური და წარმატებული იყო მისი კონკურენტი და ახლა მეორე მეკარედ დასახელებული ვიზეც, რომელსაც გერმანიის ნაკრებში ორი მატჩი აქვს ჩატარებული.

*„გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაგვიჭირდა. მუნდიალზე პირველი მეკარე ადლერი უნდა ყოფილიყო და იმიტომ. ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, ყველაფერი დეტალურად გავაანალიზეთ და გულახდილად გეტყვით, მანუელმა ტიმს ძალიან მცირე კრიტერიუმებში აჯობა. ბუტი კი მესამე მეკარე იქნება,"* - აღნიშნა კიოპკემ.

ამრიგად, დღეს, უნგრეთთან ამხანაგურ შეხვედრაში გერმანიის კარს ნოიერი დაიცავს. აღსანიშნავია, რომ ბუნდესგუნდს უნგრეთში ბუტი, შვაინშტაიგერი, ლამი და **თომას მიულერი** არ გაჰყვებიან. ლიოვმა გადაწყვიტა, რომ ეს კვარტეტი დაასვენოს, რადგან „ბაიერნის" ფეხბურთელებმა ამ სეზონში ისედაც ძალიან ბევრი მატჩი ჩაატარეს. ამრიგად, უნგრეთთან მატჩში გერმანიას კლოზე უკაპიტნებს.

*„უნგრეთთან მატჩს ძალიან სერიოზულად ვუდგებით, რადგან გვინდა, რომ ვარჯიშებზე დამუშავებული რამდენიმე კომბინაცია გამოვცადოთ. ამასთან, მინდა, რამდენიმე ფეხბურთელი სერიოზულად გამოვცადო,"* - თქვა იოგიმ და იქვე დასძინა, რომ განსაკუთრებით ჰამბურგელ **მარსელ იანსენს** დააკვირდება. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი სამუნდიალო განაცხადიდან ამოვარდნის კანდიდატია. გერმანიის ნაკრების თავკაცმა პრესკონფერენციაზე ისიც აღნიშნა, რომ აზრი არ შეუცვლია და თუ სასწაული არ მოხდა, სამხრეთ აფრიკაში ექვსივე თავდამსხმელს (გომესი, კლოზე, **პოდოლსკი**, მიულერი, **კაკაუ**, **კისლინგი**) წაიყვანს.

**გოტფრიდ ლენცი**

სერბეთი

# ჩვენ ბევრი მილიტო გვყავს!

## სტანკოვიჩი და კომპანია ყველას და ყველაფერს ემუქრებიან



სერბებს დიდი ამბიციები აქვთ

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სერბეთის ნაკრები გამალებით ემზადება. ფეხბურთელები, მწვრთნელი და გულშემატკივრები საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილები და ასე განსაჯეთ, იმასაც კი არ გამორიცხავენ, რომ სერბეთმა მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. როგორც იცით, ეს გუნდი ჯგუფში გერმანიასთან, განასთან და ავსტრალიასთან ერთად მოხვდა და რა გასაკვირია, რომ სერბები ყველაზე მეტად გერმანიის ნაკრებს ემუქრებიან. ამ მხრივ განსაკუთრებით გუნდის ლიდერი, **დეიან სტანკოვიჩი** გამოირჩევა.

მილანის „ინტერის" ფეხბურთელი, რომელმაც წელს „ნერაძურისთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ჯგუფის ფავორიტ გერმანიასთან შეხვედრაში გულშემატკივრებს მაქსიმალურ თავდადებას ჰპირდება. სტანკოვიჩი პირდაპირ ამბობს: სერბეთის ნაკრები გერმანიას ზუსტად ისე მოუგებს, როგორც „ინტერმა" დაამარცხა „ბაიერნი".

*„ვისაც არ სჯერა, ამაში უშუალოდ თამაშის დროს დარწმუნდება. ჩვენ საკმარისად ბევრი მილიტო გვყავს გუნდში იმისათვის, რომ ისეთ მნიშვნელოვან შეხვედრებში, როგორებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე გველის, წარმატებებს მივაღწიოთ. ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენი გუნდი სამხრეთ აფრიკაში კარგად იასპარეზებს,"* - აცხადებს სტანკოვიჩი.

სერბები გერმანიას 18 მაისს შეხვდებიან. სტანკოვიჩის ოპტიმიზმს თითქმის მთელი გუნდი იზიარებს. ასე, მაგალითად, თავდამსხმელი **ნიკოლა ჟიგიჩი** დარწმუნებულია, რომ სერბეთის ნაკრები ჯგუფურ ეტაპს გადალახავს და მინიმუმ მერვედფინალში ითამაშებს. *„ჩვენ ჯგუფიდან გავალთ და იმედი მაქვს, რომ გერმანია ჯგუფში ჩარჩება. პლეი ოფიდან კი უკვე ყველაფერი შესაძლებელია,"* - ამბობს ჟიგიჩი.

აღსანიშნავია, რომ სერბეთის ნაკრები არსებობის მანძილზე გერმანიას მხოლოდ ერთხელ შეხვდა (2008 წლის 31 მაისს) და სერბებმა ბუნდესგუნდთან ის ერთადერთი მატჩიც წააგეს (1:2). მაშ რაზეა დამყარებული ბალკანელთა ასეთი ოპტიმიზმი? როგორც ჟიგიჩის მეწყვილე **მარკო პანტელიჩი** ამბობს, სერბეთის ნაკრების მთავარი პლუსი გუნდური სულისკვეთების უმაღლესი ხარისხია.

ფაქტია, რომ 2006 წლის მუნდიალის შემდეგ, მთავარმა მწვრთნელმა **რადომირ ანტიჩმა** უშანსო და უდისციპლინო ინდივიდუალისტებისგან შემდგარი ჯგუფისგან, ბრძოლისუნარიანი, მუდმივად მებრძოლი და ბოლომდე დამხარჯველი კოლექტივი ჩამოაყალიბა. თვითონ განსაჯეთ: სერბებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საფრანგეთის ნაკრები უკან მოიტოვეს, მაგრამ არის თუ არა ეს ყველაფერი საკმარისი იმისათვის, რომ სერბებმა მუნდიალზე ყველა, პირველ რიგში კი გერმანია გააოცონ, ამას დრო გვიჩვენებს. ფაქტია, რომ ანტიჩის განკარგულებაში ძალიან ბევრი მაღალი კლასის ოსტატია. ზემოთ ხსენებულებს თავი რომ დავანებოთ, სერბეთის ნაკრების დაცვის ბურჯი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი **ნემანია ვიდიჩი** გახლავთ, რომელიც მიიჩნევს, რომ სერბეთს ასეთი ძლიერი გუნდი ძალიან დიდი ხანია, აღარ ჰყოლია.

*„ჩემი ბიჭები გერმანიას ძალიან კი ემუქრებიან, მაგრამ ფაქტია, რომ ბუნდესნაკრების დამარცხება ურთულესი ამოცანა იქნება. შესაძლოა, გერმანია არ ბრწყინავს, მაგრამ ალემანები დიდ ტურნირებზე ყოველთვის ძალიან კარგად გამოიყურებიან ხოლმე,* - ეს ანტიჩის სიტყვებია, რომელიც იქვე დასძენს, - *ვფიქრობ, მას მერე, რაც გაირკვა, რომ მიხაელ ბალაკი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებს, ჩვენი შანსები გაიზარდა. სამწუხაროა, რომ მიხაელის დარი ფეხბურთელი მუნდიალს გამოტოვებს, მაგრამ მეორე მხრივ, მიხარია, რომ ჩვენი მთავარი მეტოქე შესუსტდა."*

*„განას და ავსტრალიასაც ძალიან ძლიერი და ამბიციური გუნდები ჰყავთ. შესაბამისად, ჩემი აზრით, ვინც ამ ჯგუფიდან გავა, ნამდვილად შეეძლება მსოფლიოს ჩემპიონობა,"* - ამბობს პანტელიჩი.

**გოტფრიდ ლენცი**

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

ევრო 2016

# საფრანგეთმა იტალია თამაშგარეში დატოვა

რა თქმა უნდა, წინ ჯერ კიდევ ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო ეტაპია და ჩვენი ახალი მწვრთნელის, **თემურ ქეცბაიასიც** დიდად გვეიმედება, მაგრამ ჩვენს ეროვნულ გუნდს ეგრევე ფინალურ ეტაპზე თამაშს ვერ მოვთხოვთ, მიზანი უფრო რეალური უნდა დავუსახოთ, თუმცა ვინ იცის, რა იქნება 2016 წლისათვის, ანუ 6 წლის შემდეგ, როცა პირველად ისტორიაში 24-გუნდიანი ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება (ახლანდელი 16-გუნდიანია). ლოგიკურად, იქ მოხვედრა უფრო გაიოლდება ჩვენთვის, მით უფრო, რომ ის ნიჭიერი თაობა, რომელიც ქართულ ფეხბურთში მოდის იმ დროისთვის დალვინდება. **ლევან ყენია** 2016 წლის ზაფხულში 25 წლისა იქნება, **ჯანო ანანიძე** - 23-ის...

ეს ყველაფერი კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ გუშინ უეფამ ევრო 2016-ის მასპინძელი ქვეყანა შეარჩია - საფრანგეთი. უეფას ალმასკომის შეკრება ჟენევაში შედგა, საბოლოო გადაწყვეტილება თავად უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** გამოაცხადა და თანამემამულეებსაც პირველმა მან მიულოცა. ევროპის ჩემპიონატის გამართვაზე პრეტენზიას სამი ქვეყანა აცხადებდა, საფრანგეთი, იტალია და თურქეთი. იტალიამ პირველი რაუნდი ვერ გაიარა: 43 ქულა საფრანგეთმა მოაგროვა, 38 თურქეთმა, ხოლო იტალიამ მხოლოდ 23. მეორე გადამწყვეტ ეტაპზე კი ხმას მხოლოდ ალმასკომის წევრები აძლევდნენ, 13 ხმიდან 7 საფრანგეთმა აიღო, 6 - თურქეთმა.

*„უპირველესად, მინდა ვანუგეშო ჩვენი იტალიელი და თურქი მეგობრები, მესმის რასაც ისინი ამ წუთას გრძნობენ. იტალიურ და თურქულ ფეხბურთს წარმატებას ვუსურვებ, მათ ხომ თვეების შრომა წყალში ჩაეყარათ. ჩვენ ახლა დიდი ემოციის ქვეშ ვართ, ბედნიერები ვართ ამ გადაწყვეტილებით. ჩვენ შევასრულებთ ყველაფერს, რასაც უეფას, ფეხბურთელებს და გულშემატკივრებს ვპირდებით. დღეს საფრანგეთისთვის უბედნიერესი დღეა“*, - განაცხადა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის შეფმა **ჟან-პიერ ესკალეტმა.**

საფრანგეთის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი წარმომადგენელი თვით **ზინედინ ზიდანი** იყო. ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთის 11 ქალაქის 12 სტადიონზე გაიმართება. ევრო 2016 წლის მასპინძელი ქალაქები იქნებიან: პარიზი („სტად დე ფრანსი“ და „პარკ დე პრენსი“), ბორდო, ლანსი, ლილი, ლიონი, მარსელი, ნანსი, ნიცა, სენტ ეტიენი, სტრასბურგი და ტულუზი. 1984 წელს საფრანგეთმა უკვე უმასპინძლა ევროპის ჩემპიონატს და გაიმარჯვა კიდეც.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ხარობენ საფრანგეთის წარმომადგენლები (მარჯვნივ ზინედინ ზიდანი)

პოსტფაქტუმ...

# პელეგრინი: აგვისტოს მერე პერესი არ მელაპარაკებოდა

მადრიდის „რეალის“ აწ უკვე ყოფილმა თავკაცმა **მანუელ პელეგრინიმ** მკაცრად გააკრიტიკა „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელობა. კლუბში ერთი სეზონის მუშაობის შემდეგ ჩილელი სპეციალისტი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის ნაცვლად **ჟოზე მოურინიოს** მიყვანა სურთ. პელეგრინიმ „კადენა სერთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელობისგან საჭირო მხარდაჭერას ვერ ხედავდა და ვერც „რეალის“ ამბიციური პროქეტის წევრად მიიჩნევდა თავს.





*„ვერ მივაღწიე იმას, რომ სპორტული საკითხების განხილვას მწვრთნელიც დასწრებოდა. ძალიან მინდოდა გუნდში ვესლი სნეიდერი და არიენ რობენი შემენარჩუნებინა, ვამტკიცებდი, რომ მათ წარმატების ერთ-ერთ შემოქმედებად მოვიაზრებდი, მაგრამ ვინ მისმინა“*, - იხსენებს პელეგრინი.

*„ფლორენტინო პერესს შესანიშნავი და ექსტრაორდინალური პროექტი აქვს, მაგრამ ის თავადვე ლუპავს ამ წამოწყებას. მასზე ბევრს ვერ ვიტყვი, ვერც კარგს და ვერც აუგს. წარმოიდგინეთ, აგვისტოს მერე კლუბის პრეზიდენტთან საუბარის საშუალება არ მომცემია“*, - განაცხადა ჩილელმა, რომელიც მის შემცვლელსაც უწუნებს საქციელს:

*„კლუბი ძალზე არაეთიკურად მოიქცა, როცა გუნდის თავკაცი ჯერ კიდევ მე ვიყავი, მათ კი მოლაპარაკებები გამართეს ჟოზე მოურინიოსთან და ეს მედიაშიც ხმამაღლა გააჟღერეს. თავად მოურინიოც მოურიდებლად საუბრობდა მომავლის გეგმებზე, როცა მწვრთნელი ჯერ კიდევ მე ვიყავი. ეს ძალზე არაეთიკური საქციელია, თუმცა ის, რა თქმა უნდა, ძლიერი სპეციალისტია. მან ბევრ კლუბში დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის სპეციალისტია“*, - დასძინა მანუელ პელეგრინიმ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გარიგება

## მალაგას ყატარის შეიხი ყიდულობს

„მალაგას“ პრეზიდენტმა **ფერნანდო სანსმა** მიაღწია წინასწარ შეთანხმებას ყატარის შეიხ **აბდულა ბინ ნასერ ალ-ტანისთან** კლუბის გაყიდვის თაობაზე. ორივე მხარე შეთანხმდა თანხაზეც, რაც არცთუ დიდია - 25 მილიონი ევრო. შეიხი აბდულა აქამდე საცხენოსნო რბოლებით იყო დაინტერესებული. „მალაგა“ ძლივს გადაურჩა ლა ლიგიდან გავარდნას. ფერნანდო სანსი გასულ თვეში იყო ჩასული ყატარში მოსალაპარაკებლად, თუმცა არაბები ჯერ ჩემპიონატის დასრულებას დაელოდნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იუვენტუსი



ალესანდრო დელ პიერო და ჯანლუიჯი ბუფონი

# დელ ნერი შემადგენლობასა და ტაქტიკაზე

## ბუფონი და დელ პიერო რჩებიან

იტალიელ ჟურნალისტებს **ლუიჯი დელ ნერისთან** რომ უამრავი კითხვა აქვთ, არახალია. „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი აქამდე დუმდა და თითქოს ემალებოდა არა მარტო მასმედიას, საკუთარ ფეხბურთელებსაც კი. ამად არის, რომ გუნდში სრული ქაოსია და არავინ იცის, რა ბედი ელის, რას უპირებენ. ამის გამო, არაერთმა ფეხბურთელმა გამოთქვა საჯაროდ უკმაყოფილება და სხვაგან წასვლითაც კი დაიქადნა. და აი, როგორც იქნა, დელ ნერი მედიას გაესაუბრა და საკმაოდ ვრცელი კომენტარები გააკეთა. თავდაპირველად სწორედ შემადგენლობაზე მოუხდა საუბარი:

*„გუნდში მოხდება გარკვეული ცვლილებები, მაგრამ არა ისეთი რევოლუციური, როგორც ამაზე ხშირად საუბრობენ. ამას წინათ დაიწერა, „იუვედან“ ალესანდრო დელ პიეროს და ჯანლუიჯი ბუფონს უშვებენო, რაც სრული აბსურდია. ალექსი და ჯიჯი გამარჯვებული მენტალიტეტის ფეხბურთელები არიან და მათი გუნდში ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ისინი უნდა გაუძღვნენ ახალგაზრდა ფეხბურთელებს დიდი გამარჯვებებისკენ. დიახ, განვლილი სეზონი არ იყო მათთვის საუკეთესო, მაგრამ ასე ერთი ხელის მოსმით, ასეთი დონის ფეხბურთელებს ვერ შეველევით. აი, რაც შეეხება სხვა ვარსკვლავებს, მათთან დაკავშირებით უმჯობესია რამდენიმე დღეში ვისაუბროთ, კონკრეტული პოზიცია ჯერ კიდევ არ მაქვს“.*

მიუხედავად დელ ნერის სიტყვებისა, რევოლუციურ ცვლილებებს არ ელოდოთო, აშკარაა, რომ ტურინიდან არაერთ ფეხბურთელს მოუწევს აბარგება. მან მხოლოდ **დელ პიეროს** და **ბუფონს** მისცა გუნდში დარჩენის გარანტიები, დანარჩენი კი კითხვის ნიშნის ქვეშ დატოვა, მათ შორის **ფაბიო კანავარო.** იტალიის ეროვნული ნაკრების კაპიტანმა დაიწუწუნა კიდეც, ჩემს კონტრაქტს ვადა მალე ეწურება, ახალს კი არავინ მთავაზობსო. დელ ნერიმ რამდენიმე დღე ითხოვა და კანასაც მოცდა მოუწევს.

სინიორ ლუიჯიმ ტაქტიკა-სტრატეგიაზეც ისაუბრა. სანამ სიტყვას გადავცემდეთ, ჩვენი მხრივ, დავძინოთ, რომ დელ ნერი კლასიკური 4-4-2-ის მოყვარულია. მისმა „სამპდორიამ“ სწორედ ამ სქემით იასპარეზა განვლილ სეზონში და ჩემპიონთა ლიგის საგზურიც მოიპოვა. ეგ კი არა, მისი „კიევოც“ ასეთი ტაქტიკით თამაშობდა, როდესაც მთელი ევროპა გააოცა. „კიევო“ იქით იყოს და „სამპასთან“ დაკავშირებით, მართლაც უპრეცედენტო მოვლენასთან გვქონდა საქმე - მთელი სეზონის განმავლობაში, ვერ ვიხსენებთ შეხვედრას, როდესაც ლუიჯიმ ტაქტიკა შეცვალა. ტაქტიკასთან ერთად, იშვიათად იცვლებოდა გუნდის შემადგენლობა - ხუმრობენ კიდეც იტალიაში, დელ ნერიმ ლიგის საგზური თერთმეტი ფეხბურთელით მოიპოვაო. როდესაც **ანტონიო კასანომ** ტრავმა მიიღო და გარკვეული პერიოდით ჩამოშორდა ფეხბურთს, აი მაშინ კი ბევრმა იფიქრა, რომ „სამპა“ 4-5-1 სქემაზე გადაეწყობოდა. ანუ, ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ჯამპაოლო პაცინი** იმოქმედებდა, მის უკან კი ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი განლაგდებოდა. ასე არ მოხდა - დელ ნერიმ ბევრისთვის უცნობი ფორვარდი **ნიკოლა პოცი** დააყენა ძირითად შემადგენლობაში და ისიც შესანიშნავად გაისარჯა. არაერთი გოლი გაიტანა და თავისი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებებში. ანუ, მთლად ისეც არ არის, რომ ვხოლოდ თერთმეტი ფეხბურთელის დამსახურება იყოს გენუური ტრიუმფი. დროა, დელ ნერის გადავცეთ სიტყვა:

*„ჩემი საბაზო სქემა 4-4-2-ია და ტურინშიც ამ ტაქტიკას დავამკვიდრებ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გარკვეულ ვარიაციებზე უარს ვიტყვი. მაგალითად, ძალიან მომწონს სქემა, რომელსაც გასულ სეზონში ჟოზე მოურინიო იყენებდა. 4-2-3-1-ს ვგულისხმობ, რომელმაც „ინტერში“ ბოლომდე გაამართლა. თუმცა, ამ სქემას შემსრულებლები სჭირდება, ამ მხრივ კი პორტუგალიელს იდეალურად ჰქონდა საქმე - მილიტო ბრწყინვალე ცენტრფორვარდია, სნეიდერი შესანიშნავი გამთამაშებელი, ეტოომ და პანდევმა კი ფლანგებზე უდიდესი სამუშაო გასწიეს. განსაკუთრებით, ეტოო მინდა გამოვარჩიო, რომელიც დღეს საუკეთესო შემტევად მიმაჩნია მსოფლიოში. მასთან ერთად მხოლოდ უეინ რუნის თუ დავაყენებდი, რომელიც კამერუნელის მსგავსად, მოედნის თითოეული მონაკვეთისთვის თავგამოდებით იბრძვის. ერთი სიტყვით, არ არის გამორიცხული, „იუვენტუსმა“ აღნიშნული სქემით არაერთი პრინციპული შეხვედრა ჩაატაროს. ერთი, რისი თქმაც დანამდვილებით შემიძლია, გახლავთ ის, რომ ვერასდროს იხილავთ სამი მცველით მოასპარეზე დელ ნერის ფორმაციის „იუვენტუსს“. ჩემი გუნდები ყოველთვის ოთხი უკანახაზელით ასპარეზობენ“.*

დელ ნერის ასეთი კითხვაც დაუსვეს: „ხომ არ აპირებთ დელ პიეროსთვის კაპიტნის სამკლავურის ჩამორთმევას“? - აქვე პასუხი: *„ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია, რადგან, როგორც აღვნიშნე, დელ პიერო „იუვენტუსში“ უნდა დარჩეს და კარიერა მშობლიურ გუნდში გააგრძელოს. ისე კი, სამომავლოდ კლაუდიო მარკიზიოზე გავაკეთებდი აქცენტს. ყველა ის თვისება აქვს, რომელიც ნამდვილ კაპიტანს უნდა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდაა, ემოციებს კარგად აკონტროლებს და მისგან სწორი ემოცია და ტემპერამენტი მოდის. კლაუდიოს ხშირად ფლანგზე ათამაშებენ, მაგრამ ჩემი აზრით, ის ტიპური ცენტრალური ნახევარმცველია. იერიშების ჩაშლაც ეხერხება, წამოწყებაც, განვითარებაც და პასის კულტურაც განვითარებული აქვს. რა დამასალია და, მასზე დიდ იმედებს ვამყარებ“.*

ბოლოს დელ ნერიმ „სამპდორიასა“ და მისი ყოფილი გუნდის ახალ თავკაცზე ისაუბრა: *„ძალიან დამწყდა გული, რომ გენუა დავტოვე, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება. ღმერთის მადლობელი ვარ, რომ ასეთი არჩევანის წინაშე ვიდექი - დავრჩენილიყავი გუნდში, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვაპოვებინე, ან ევროპული ფეხბურთის გრანდს ჩავდგომოდი სათავეში. არჩევანი ტურინზე შევაჩერე და არც ვნანობ, რადგან ასეთი შანსი შესაძლოა მხოლოდ ერთხელ მოგეცეს ცხოვრებაში. რაც შეეხება „სამპდორიას“, კარგად დაყენებული გუნდია და ნამდვილად შესწევს იმის ძალა, რომ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას მიაღწიოს. დომენიკო დი კარლოს კარგად ვიცნობთ, გამოცდილი სპეციალისტია და შესანიშნავად ერკვევა ტაქტიკურ ნიუანსებში. მისი მთავარი ამოცანაა, როგორმე გადაანაწილოს ძალები, რათა გუნდმა ორ ფრონტზე თანაბარი წარმატებით ითამაშოს. დომენიკოს პირველი მოთხოვნა შემადგენლობის შენარჩუნება იყო, მაგრამ ეს არ არის საკმარისი - გაძლიერება და რამდენიმე კვალიფიციური ფეხბურთელის დამატება საჭირო. იმედია, გენუური კლუბის მესვეურები ამას გაითვალისწინებენ“.*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ინგლისური რეალობა

რაკი ამ დღეებში სულ ინგლისის ნაკრებისა და „ჩელსის“ მარცხენა მცველ **ეშლი კოულზე** ვწერთ, ბარემ კვირაც მისი ამბებით დავასრულოთ. გაბრაზებულ კოულს თანაგუნდელებისთვის უთქვამს, ვერ წარმოვიდგენდი, შერილი ოდესმე თუ გამცილდებოდაო - მოგეხსენებათ, „კვირის გმირი“ პრესის ყურადღების ცენტრში იმიტომ მოექცა, რომ პოპვარსკვლავმა მეუღლე **შერილმა** სასამართლოში განქორწინების თაობაზე განცხადება შეიტანა. 29 წლის ვარსკვლავი ავსტრიაში, ინგლისის ეროვნული გუნდის შეკრებაზე საძაგელ გუნებაზე გაემგზავრა. მიუხედავად იმისა, რომ შერილს ნათქვამი ჰქონდა, უნდა დაგშორდეო, მას მაინც სწამდა, რომ ოჯახს შეინარჩუნებდა. ეშლი კოულის ახლო მეგობარმა გაზეთ „სანს“ (რომლის ატეხილიცაა მთელი ეს ხმაური და რომლის პუბლიკაციების გამო სცილდება პოპვარსკვლავი მეუღლეს) უთხრა:

*„ცოლთან დაცილებამ ეშლი დაზაფრა. მას თავი შეუცვლელი ეგონა, შერილმა კი დაუმტკიცა, რომ ასე არ არის. ამწუთას ის მთელ დედამიწაზე გაბრაზებულია და საშინელ გუნებაზე დადის. იმედია, რომ შეკრებაზე ბიჭები გამოაფხიზლებენ და მსოფლიოს ჩემპიონატზე სალად იქნება“.*

შეგახსენებთ, რომ შერილი ეშლის ოლონდ დროულად გაცილდეს და ერთ პენსსაც არ სთხოვს. ყველას ეგონა, რომ ქალი მათ 6 მილიონ ფუნტად შეფასებულ ვილაზე განაცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ მას ესეც კი არ უნდა. შერილ კოული სატელევიზიო კარიერის გაგრძელებას აპირებს. როგორც ამბობენ, ფულზე პრეტენზიის გარეშე გაყრა მას სწორედ ტელევიზიაში ურჩიეს. კერძოდ, ეს მის კოლეგას, მასავით შოუ „X ფაქტორის“ ჟიურის წევრს **საიმონ კოუელს** უთხოვია.

ასე და ამგვარად, ეშლი კოული ცოლს აღარ უნდა და ამ ამბავმა ფეხბურთელი შეძრა, მაგრამ მისი თავისთან ხილვა ძალიან სურს მადრიდის „რეალის“ მომავალ თავკაცს **ჟოზე მოურინიოს**. ამის შესახებ აქამდე ჟურნალისტები წერდნენ, ახლა კი თავად ჟოზემ განაცხადა. სხვათა შორის, ამბობენ, რომ მოურინიოს სასურველ ფეხბურთელთა სიაში ინგლისის ნაკრების კიდევ ორი ფეხბურთელიც წერია, **სტივენ ჯერარდი** და **ფრენკ ლემპარდი**. რაც შეეხება კოულს, მისი შესაძლო ტრანსფერის შესახებ გუშინდელ „ლელოში“ უფრო დაწვრილებით გელაპარაკეთ - აქაც მისი განქორწინების ამბავი თამაშობს გადამწყვეტ როლს. საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისელი პუბლიკის საყვარელ მომღერალთან განქორწინების გამო (ეშლი ცოლს ღალატობდა) მომავალ სეზონში ფეხბურთელი პრესისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში იქნება, ეს კი ინგლისში ჯოჯოხეთში ცხოვრებას ნიშნავს. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ კოულმა შესაძლოა უცხოეთში გაქცევა ამჯობინოს და „რეალის“ წინადადებას დათანხმდეს. მოურინიომ, რომელსაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სულ მალე ოფიციალურად დანიშნავენ, თქვა:

*„ძალიან მინდა შემტევი განაპირა მცველებით ვითამაშო, ისეთებით, ეშლი კოული და მაიკონი რომ არიან“.*

შემდეგ მან ზემოთ ნახსენებ სხვა ინგლისელ ფეხბურთელებზეც ილაპარაკა: *„ჯერარდიცა და ლემპარდიც დიდი ფეხბურთელები არიან, რომლებიც გუნდს ძალიან ბევრს აძლევენ. მიყვარს, როდესაც გუნდში მყავს 30 წელს გადაცილებული რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე. ეს ის ფეხბურთელებია, რომელთაც ყიდულობ, მაგრამ ველარ ყიდი და ამდენად ბევრი მათში გადახდილ ფულს გადაყრილად მიიჩნევს, მაგრამ ვფიქრობ, თუ ამ ხალხმა ორი-სამი წელიწადი კარგად ითამაშა, ხარჯი გამართლებულია“.*





ჟოზე მოურინიომ რეალში შეიძლება ჯო კოული, ფრენკ ლემპარდი და სტივენ ჯერარდი წაიყვანოს

ლემპარდმა, რომელიც ივნისში 32 წლისა ხდება, მოურინიოს ხელმძღვანელობით „ჩელსიში“ სამი წელიწადი ითამაშა და მწვრთნელის ყველაზე დაახლოებული ფეხბურთელი გახდა. 2008 წელს მას შეეძლო მოურინიოსთან „ინტერში“ გადასულიყო, მაგრამ „სტემფორდ ბრიჯზე“ დარჩენა და ახალი, კვირაში 150-ათასიანი ხელშეკრულების გაფორმება ამჯობინა. რაც შეეხება 30 წლის ჯერარდს, 2005 წელს მასაც ჰქონდა შანსი პორტუგალიელის შეგირდი გამხდარიყო - ერთი ნაბიჯი დააკლდა „ჩელსიში“ გადასვლამდე. მაშინ ჯერარდმა „ლივერპულში“ დარჩენა ამჯობინა, დღეს კი, როდესაც მერსისაიდელებთან ერთად ვერც პრემიერლიგის ჩემპიონი გახდა და ვერც ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი მოიპოვა (შესაბამისად გუნდმა მილიონებიც დაკარგა), დიდი შანსია „რეალთან“ მოლაპარაკებებზე სულაც არ თქვას უარი. ჯერარდიცა და ლემპარდიც, სავარაუდოდ, 30 მილიონი ფუნტი ღირან, მაგრამ მადრიდის გუნდს, რომელმაც გასულ ზაფხულს **კრისტიანო რონალდოში, კაკაში, ჩაბი ალონსოსა** და **ქარიმ ბენზემაში** 200 მილიონი დახარჯა, ასეთი თანხის გამეტება, წესით, არ უნდა გაუჭირდეს.

ასე მოხდება თუ ისე, ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება - 47 წლის ჟოზე მოურინიო მომავალ სეზონშივე აპირებს ევროპის დაპყრობას. პორტუგალიელმა თქვა: *„ჩემი „რეალი“ ყოველთვის კარგად ითამაშებს, შეუტევს და მოიგებს. ეს აუცილებლად იქნება დაბალანსებული გუნდი, რომელსაც თავისი, ყველასგან გამორჩეული სახე ექნება და ამ სახეს მე და ჩემი ფეხბურთელები განვსაზღვრავთ. ამქვეყნად არ ყოფილა მწვრთნელი, ვისაც ინგლისის, იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონობა მოუგია. მინდა მე გავხდე პირველი. აგრეთვე, მინდა გავხდე პირველი მწვრთნელი, ვინც ჩემპიონთა ლიგას სამ სხვადასხვა გუნდთან ერთად მოიგებს“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

გაიხსნა
სპორტლენდი სპორტ ბარი & ბუკმეკერები




სპორტლენდი-
სპორტ ბარი & ბუკმეკერები
დიდი სპორტის & აზარტის ატმოსფერო,

13 დიდი ეკრანი - პლაზმური და LSD ტელევიზორები,

ექსკლუზიური სატელიტური სისტემა,

სატელიტური არხები:
ESPN America,
Fox Sports და Sky Sports,

10 სხვადასხვა თამაშის ერთდროულად ტრანსლაცია

ფსონის დადება შესაძლებელია თამაშის მსვლელობის დროსაც!

უგემრიელესი ბარ მენიუ.

„კაზინო აჭარაში“

დამატებითი ინფორმაციისათვის და დაჯავშნისათვის დარეკეთ: (+995 32) 33 44 76

26 მაისის მოედანი № 1

# ინგლისი

ინგლისი მხოლოდ ერთხელ (1966) გახდა თავისი მდიდარი ისტორიის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონი. ორი წლის შემდეგ, მესამე ადგილი დაიკავა კონტინენტის პირველობაზე, მაგრამ სერ ალფ რამსეისა და ბობი ჩარლტონის დიადი ეპოქის დასრულების შემდეგ, ინგლისელებს ყოველთვის რაღაც აკლდებოდათ წარმატების მისაღწევად. ხან თაობა არ ვარგოდა, ხან ნაკრებს ინგლისური კლუბების იზოლაცია ვნებდა, ხან კი გერმანია... მომენტებში მართლაც ძლიერი გუნდი იკრიბებოდა, მაგრამ კარგ მწვრთნელს ვერ პოულობდნენ. თანდათანობით ეს პრობლემა ყველაზე აქტუალური გახდა.




1992 წელს შექმნილი პრემიერლიგის წარმატებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ინგლისური ფეხბურთის მაღალი დონე. კლუბებმა ევროპასა და მსოფლიოში დიდ წარმატებებს მიაღწიეს, თანაც საკუთარი მოთამაშეები საკმარისად ჰყავდათ, მწვრთნელებად კი ძირითადად უცხოელი სპეციალისტები მუშაობდნენ. ამასთან, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ჯიუტად იმეორებდა, რომ ნაკრებში მხოლოდ ადგილობრივ სპეციალისტს უნდა ემუშავა. 90-იან წლებში ოთხი მწვრთნელი გამოცვალეს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

2000 წელს ჩინოვნიკები გატყდნენ და დასახმარებლად **სვენ-გორან ერიქსონს** მიმართეს. შვედი სამწვრთნელო სამყაროს სუპერვარსკვლავი არ ყოფილა, მაგრამ ინგლისელ კოლეგებზე მაღლა იდგა და თან ენაც კარგად იცოდა. ერიქსონმა მიიღო წინადადება და მის გაწეულ სამუშაოს შეიძლება წარმატებული ეწოდოს. მან გუნდი მაღალ და რაც მთავარია, სტაბილურ დონეზე გაიყვანა - სამ დიდ ტურნირში ერიქსონმა ნაკრები მეოთხედფინალში გაიყვანა. მაგრამ სკანდინაველმა ამით მადა გაუღვიძა გულშემატკივრებს, რომლებსაც მიღწეული აღარ აკმაყოფილებდათ. ინგლისელ ფანებს გამარჯვება უნდოდათ და მათ თვალში ერიქსონი თანდათან წარუმატებელ მწვრთნელად იქცა. ბრიტანულმა პრესამ აიტაცა საერთო განწყობა და შვედის ლანძღვა დაიწყო. სვენ-გორანმაც ვერ გაუძლო თავდასხმებსა და ხელოვნურად შექმნილ სკანდალებს და გადადგა.

მხოლოდ მისთვის გასაგები ლოგიკით ასოციაციამ მთავარ მწვრთნელად ისევ ინგლისელი დანიშნა. **სტივ მაკლარენი** ხუთი წელი „მიდლსბროში" მუშაობდა, მოიგო ინგლისის ლიგის თასი და გუნდი უეფას თასის ფინალშიც კი გაიყვანა. ჩემპიონატში ის მეშვიდე ადგილზე ზემოთ არ ასულა, მაგრამ მაკლარენი იმ პერიოდში მაინც ყველაზე წარმატებულ ინგლისელ მწვრთნელად ითვლებოდა. სტივთან ერთად ინგლისმა მოახერხა რუსეთთან და ხორვატიასთან წაგება და ევრო 2008-ის მიღმა დარჩენა. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტეს ინგლისელმა სნობებმა მსოფლიო მასშტაბის მწვრთნელის მიწვევა. არჩევანი **ფაბიო კაპელოზე** შეჩერდა.

■ ■ ■

იტალიელის პროფესიონალიზმში ეჭვი არავის ეპარებოდა. ერთადერთი შემაშფოთებელი ფაქტორი ის იყო, რომ კაპელოს ნაკრებებთან არასოდეს უმუშავია, სამაგიეროდ, მისი საკლუბო კარიერა იყო უნიკალური. დონ ფაბიომ აბსოლუტურად ყველა კლუბთან უმაღლეს შედეგს მიაღწია. მან მოიგო სკუდეტო „მილანთან", „რომასთან" და „იუვენტუსთან" ერთად, ორჯერ მივიდა „რეალში" და ორივეჯერ ესპანეთის ჩემპიონი გახდა. მოგებული აქვს ჩემპიონთა ლიგა... დონ ფაბიოს არ ეშინია ვარსკვლავებთან მუშაობის, რადგან თავადაც დიდი ფეხბურთელი იყო. მან იცის, როგორ დააოკოს მათი ამბიციები, თუმცა კომპრომისზე წასვლაც ეხერხება. იტალიელს არ ახასიათებს ტაქტიკის ამოჩემება და ამ მხრივ საკმაოდ მოქნილია. მისი გუნდები განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ შედეგს ყოველთვის აღწევდნენ. მისი მთავარი პრინციპია - მკაცრი დისციპლინა მინდორზე და მის ფარგლებს გარეთ.

მაგრამ კაპელოს უპირველესი ღირსება - გამარჯვებულის ხასიათია. სადაც არ უნდა მივიდეს - იქ ყოველთვის წარმატებაა. ფორტუნაც არ არის გულგრილი დონ ფაბიოს მიმართ, თუნდაც მისი პროფესიონალიზმისა და შრომისმოყვარეობის გამო. კაპელომ ინგლისური ენა არ იცოდა და მაინც არ შეუშინდა ახალ გამოწვევას. სოლიდურ ასაკში ინგლისური შეისწავლა და უარი თქვა ვარჯიშების დროს თარჯიმნის დახმარებაზე. იტალიელი პრესკონფერენციებსაც მარტო ატარებს. ქვეყანაში მისი გადაადგილების სისწრაფე გასაოცარია. მას დაინახავთ პრემიერლიგის ყველა მნიშვნელოვან თამაშზე. თუ მატჩები პარალელურად მიმდინარეობს და დონ ფაბიოს არ შეუძლია ერთ-ერთზე დასწრება, ტრიბუნაზე აუცილებლად შენიშნავთ მის რომელიმე თანაშემწეს. სხვათა შორის, კონტრაქტის გაფორმებისას კაპელომ ერთი პირობა წამოაყენა - მას წვრთნისას იტალიური გუნდი დაეხმარებოდა. კაპელოსთან მუშაობს მეორე მწვრთნელი **იტალო გალბიატი**, მეკარეების მწვრთნელი **ფრანკო ტანკრედი**, ფიზიკური მომზადების სპეციალისტი **მასიმო ნერი**. ნაკრების გენერალური მენეჯერი გახდა **ფრანკო ბალდინი**.

კაპელოსთან ერთად ინგლისის ნაკრებმა არა მარტო დამაჯერებლად გაიარა ჯგუფური ეტაპი, არამედ წინა ციკლში „უემბლიზე" დამარცხების გამო სასტიკად იძია შური ხორვატიაზე. ზაგრებში ინგლისელებმა ოთხი გოლი გაიტანეს, ლონდონში - ხუთი. უფრო მეტიც, ბოლო ტურში, რომელიც ინგლისისთვის არაფერს წყვეტდა, კაპელოს გუნდმა უკრაინასთან წააგო და ამით ხორვატია პლეიოფს მიღმა დატოვა. ინგლისელებს ასეთი დახვეწილი შურისძიება არ შეუძლიათ - ეს სუფთა იტალიური ვენდეტაა!

■ ■ ■

შედეგის მისაღწევად საჭირო გახდა დაუღალავი და რთული მუშაობა ფეხბურთელებთან. ინგლისის ნაკრების წევრები ისტორიულად განთქმულნი იყვნენ რეჟიმის დარღვევით. დონ ფაბიომ ეს თავიდანვე აღკვეთა და მოთამაშეებს მკაცრი კონტროლი დაუწესა. გამოიმუშავეს კვების რაციონი, რომელიც არა ვარსკვლავების გემოვნებას, არამედ დიეტურ გათვლას ექვემდებარებოდა. ცოლებსა და მეგობარ გოგონებს აუკრძალეს ფეხბურთელებთან ერთად სასტუმროში დაბინავება, ტრადიციულ ქეიფსა და დროსტარებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ამასთან, კაპელომ შეინარჩუნა გუნდის ლიდერებთან კარგი დამოკიდებულება - მან ისინი დაარწმუნა ამ მკაცრი ნაბიჯებისა აუცილებლობაში.

კაპელომ არაერთხელ აღნიშნა, რომ ნაკრებში ჯანსაღი ატმოსფერო ძალიან მნიშვნელოვანია და სწორი კლიმატის შექმნისთვის არ მოერიდება ნებისმიერი ვარსკვლავის გუნდიდან გაგდებას. საკმარისია გავიხსენოთ „რომაში" მოღვაწეობის პერიოდი, როცა მან სათადარიგოთა სკამზე დასვა საუკეთესო ბომბარდირი **ვინჩენცო მონტელა**, „იუვენტუსში" **ალესანდრო დელ პიერო** გადაიმტერა, „რეალიდან" გაუშვა **ანტონიო კასანო** და **დევიდ ბექჰემი**. ინგლისის ნაკრებში დღეს არ არიან **პოლ გასკოინის** მსგავსი ბუნტისთავები, ყველა პროფესიონალი და პატრიოტია. მაგრამ სხვა პრობლემა არსებობს. ბევრი ქარიზმატული ფეხბურთელია, რომლებიც თავიანთ კლუბებში ლიდერობას არიან დაჩვეულნი. მაგრამ ერთ გუნდში არ შეიძლება ამდენი ლიდერი იყოს და ვილაცას დათმობაზე წასვლა მოუწევს. მწვრთნელისთვის აუცილებელია მოთამაშეებს შორის სწორი ურთიერთობების ჩამოყალიბება.

ცოტა ხნის წინ იტალიელს თავსატეხი გაუჩინეს **ჯონ ტერიმ**, **უეინ ბრიჯმა** და ერთმა ლამაზმანმა. ბუნებრივია, კაპელო ამ სკანდალს გვერდს ვერ აუვლიდა, რადგან ყოფილი მეგობრები - ნაკრების მოთამაშეები იყვნენ და მათი კონფლიქტი ცუდად იმოქმედებდა გუნდის მიკროკლიმატზე. ბრძენმა მწვრთნელმა ნაკრების ინტერესები მორალურ სამართლიანობზე მაღლა დააყენა. კონფლიქტის გამომწვევმა ტერიმ კაპიტნის სტატუსი დაკარგა, ბრიჯმა კი განაცხადა, რომ ტოვებს ნაკრებს. ფეხბურთელმა ეს გადაწყვეტილება მწვრთნელთან მოლაპარაკების შემდეგ მიიღო.

სხვათა შორის, კაპიტნის საკითხი ჯერ ბოლომდე არ არის გარკვეული. კაპელომ სამკლავური **რიო ფერდინანდს** გადაულოცა, მაგრამ ეს ერთ კონკრეტულ მატჩში მოხდა. არავინ იცის, მოხვდება თუ არა ტრავმებით დატანჯული რიო ძირითადში, ამიტომაც კაპიტნის საკითხი ჯერ ღიად არის დარჩენილი.

■ ■ ■

კაპელოს მოთამაშეთა ისეთი ფართო არჩევანი აქვს, რომ ფერდინანდის დანაკლისი გუნდს დიდად არ დაეტყობა. მწვრთნელისთვის მნიშვნელოვანია არა ფეხბურთელის პოვნა, არამედ საჭირო შემადგენლობის შედგენა. შესარჩევი ციკლის მსვლელობისას მწვრთნელი კონკრეტული მომენტისთვის ჯანმრთელ და ძლიერ მოთამაშეებს იწვევდა. ამასთან, კაპელო თითქმის ყოველ შეხვედრაში ექსპერიმენტებს მიმართავდა. ბევრ ფეხბურთელს ერთი-ორი მატჩით იწვევდნენ გუნდში. ასე რომ, არაერთი მოთამაშე, რომელმაც შესარჩევ ციკლში ითამაშა, საბოლოო განაცხადში ვერ ვიხილეთ.

ნაკრებს ჰყავს ბირთვი, რომელიც უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა. წარმოუდგენელია თანამედროვე ინგლისის ნაკრები ტერის, ფერდინანდის, **ეშლი კოულის**, **ფრენკ ლემპარდის**, **სტივენ ჯერარდისა** და **უეინ რუნის** გარეშე. ისინი უმაღლესი დონის მოთამაშეები არიან და ნებისმიერი საღად მოაზროვნე მწვრთნელი მათ სამსახურზე უარს არ იტყვის. ამ ჯგუფს უნდა დავუმატოთ **გარეთ ბერი**, რომელიც ჩამოთვლილ ფეხბურთელებს კლასში ჩამოუვარდება, მაგრამ ძალიან საჭირო ფიგურაა. ბერი საუკეთესო ინგლისელი საყრდენია, ამიტომაც ის აუცილებლად ითამაშებს.

დანარჩენ პოზიციებზე არჩევანი არც ისე ცალსახაა. რთული სათქმელია, ვინ დაიკავებს კარში ადგილს. დიდი ხანია ინგლისში აღარ იბადებიან მსოფლიო დონის მეკარეები და ამიტომაც კაპელო იძულებულია გამოიყენოს 40 წლის **დევიდ ჯეიმსი**. ეს მეკარე ახალგაზრდობაში დიდ იმედებს იძლეოდა, დროდადრო ბრწყინვალე მატჩებს ატარებდა, მაგრამ სტაბილურობით არასოდეს გამოირჩეოდა. დანარჩენი მეკარეებიც იმავე დონისანი არიან, თანაც ნაკრებში თამაშის გამოცდილებით ვერ დაიკვეხნიან.

პრობლემაა მარჯვენა მცველის პოზიციაზეც: კაპელოს განკარგულებაში თითქმის მთელი სეზონის გამომტოვებელი გლენ ჯონსონია. ვაკანტურია ორი პოზიცია ნახევარდაცვაში და ერთი - თავდასხმაში. მატჩების უმრავლესობას კაპელო ორი ფორვარდით ატარებს და ერთ-ერთი ადგილი რუნის აქვს დაჯავშნილი. მეორე პოზიციაზე კანდიდატები საკმარისად არიან - **ემილ ჰესკი, პიტერ კრაუჩი, თეო უოლკოტი, ჯერმეინ დეფო დარენ ბენტი**...

მსგავსი სიტუაციაა შუა ხაზში. დიდ სამეულს (ბერი-ლემპარდი-ჯერარდი) ყველაფერი აქვს, სისწრაფის გარდა. ამიტომაც მეოთხე ნახევარმცველი სწორედ ამ ნაკლის კომპენსირებისთვის ირჩეოდა. ფლანგის სწრაფი ნახევარმცველების არჩევანი საკმაოდ მდიდარია: **აარონ ლენონი, შონ რაიტ-ფილიპსი, ადამ ჯონსონი**. არიან სხვა ყაიდის მოთამაშეები - მაგალითად, **ჯო კოული** ან **ჯეიმს მილნერი**. მწვრთნელის არჩევანი კონკრეტულ მატჩისთვის შემუშავებულ ტაქტიკაზე იქნება დამოკიდებული.

წინასწარ ინგლისელთა ტაქტიკაზე ლაპარაკი სრული უაზრობაა. კაპელოს პირველად ჰქონდა ერთი თვე მოთამაშეებთან ნაყოფიერად სამუშაოდ და, ალბათ, მწვრთნელი სამხრეთ აფრიკისთვის რაიმე ახალს მოიგონებდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### ინგლისი

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია 1863 წელს დაარსდა. ფიფა-ს წევრია 1905 წლიდან. ფიფა-ს რეიტინგში მე-8 ადგილი უკავია.

მსოფლიოს ჩემპიონი (1966), მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე პრიზიორი (1990), ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1968)

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 12-ჯერ ითამაშა, ჩაატარა 55 მატჩი: +25=17-13, ბურთების შეფარდება: 74-47

მთავარი მწვრთნელი: ფაბიო კაპელო (იტალია)

ნაკრების რეკორდსმენი ჩატარებული თამაშების რაოდენობით: პიტერ შილტონი (125)

ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი - ბობი ჩარლტონი (49)

ჯგუფური ეტაპი

12 ივნისი. ინგლისი-აშშ (რუსტენბურგი)

18 ივნისი. ინგლისი-ალჟირი (კეიპტაუნი)

23 ივნისი. სლოვენია-ინგლისი (პორტ-ელიზაბეტი)

### შესარჩევი ტურნირი

06.09.08 ანდორა-ინგლისი 0:2 (ჯ. კოული-2)
10.09.08 ხორვატია-ინგლისი 1:4 (უოლკოტი-3, რუნი)
11.10.08 ინგლისი-ყაზახეთი 5:1 (ფერდინანდი, რუნი-2, დეფო, ავტოგოლი)
15.10.08 ბელარუსი-ინგლისი 1:3 (ჯერარდი, რუნი-2)
01.04.09 ინგლისი-უკრაინა 2:1 (კრაუჩი, ტერი)
06.06.09 ყაზახეთი-ინგლისი 0:4 (ბერი, ჰესკი, რუნი, ლემპარდი)
10.06.09 ინგლისი-ანდორა 6:0 (რუნი-2, ლემპარდი, დეფო-2, კრაუჩი)
09.09.09 ინგლისი-ხორვატია 5:1 (ლემპარდი-2, ჯერარდი-2, რუნი)
10.10.09 უკრაინა-ინგლისი 1:0
14.10.09 ინგლისი-ბელარუსი 3:0 (კრაუჩი-2, რაიტ-ფილიპსი)

### შესარჩევში ითამაშეს

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | | |
| დევიდ ჯეიმსი | 01.08.70 | პორტსმუთი | 6 | - |
| რობერტ გრინი | 18.01.80 | ვესტ ჰემი | 4 | - |
| ბენ ფოსტერი | 03.04.83 | მანჩესტერ იუნ | 1 | - |
| **მცველები** | | | | |
| ჯონ ტერი | 07.12.80 | ჩელსი | 8 | 1 |
| ეშლი კოული | 20.12.80 | ჩელსი | 8 | 1 |
| გლენ ჯონსონი | 23.08.84 | ლივერპული | 7 | - |
| რიო ფერდინანდი | 07.11.78 | მანჩესტერ იუნ | 6 | 1 |
| მეთიუ აპსონი | 18.04.79 | ვესტ ჰემი | 5 | - |
| უეს ბრაუნი | 13.10.79 | მანჩესტერ იუნ | 3 | - |
| უეინ ბრიჯი | 05.08.80 | მანჩესტერ სიტი | 3 | - |
| ჯოლეონ ლესკოტი | 16.08.82 | მანჩესტერ სიტი | 2 | - |
| ფილ ჟაგიელკა | 17.08.82 | ევერტონი | 1 | - |
| **ნახევარმცველები** | | | | |
| ფრენკ ლემპარდი | 20.06.78 | ჩელსი | 10 | 4 |
| დევიდ ბექჰემი | 02.05.75 | მილანი (იტა) | 9 | - |
| გარეთ ბერი | 23.02.81 | მანჩესტერ სიტი | 8 | 1 |
| სტივენ ჯერარდი | 30.05.80 | ლივერპული | 7 | 3 |
| თეო უოლკოტი | 16.03.89 | არსენალი | 6 | 3 |
| შონ რაიტ-ფილიპსი | 25.10.81 | მანჩესტერ სიტი | 5 | 1 |
| აარონ ლენონი | 16.04.87 | ტოტენჰემი | 4 | - |
| ჯეიმს მილნერი | 04.01.86 | ასტონ ვილა | 3 | - |
| ჯო კოული | 08.11.81 | ჩელსი | 2 | 2 |
| მაიკლ კერიკი | 28.07.81 | მანჩესტერ იუნ | 1 | - |
| სტიუარტ დაუნინგი | 22.07.84 | ასტონ ვილა | 1 | - |
| ეშლი იანგი | 09.07.85 | ასტონ ვილა | 1 | - |
| ჯერმეინ ჯენასი | 18.02.83 | ტოტენჰემი | 1 | - |
| **თავდამსხმელები** | | | | |
| უეინ რუნი | 24.10.85 | მანჩესტერ იუნ | 9 | 9 |
| ემილ ჰესკი | 11.01.78 | ასტონ ვილა | 7 | 1 |
| ჯერმეინ დეფო | 0[illegible].10.82 | ტოტენჰემი | 5 | 3 |
| პიტერ კრაუჩი | 3[illegible]1.81 | ტოტენჰემი | 4 | 4 |
| კარლტონ კოული | 12.11.83 | ვესტ ჰემი | 2 | - |
| გაბრიელ აგბონლაჰორი | 13.10.86 | ასტონ ვილა | 1 | - |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააარლამენტო კომიტეტში

## სტრატეგია ნათლად იკვეთება

„მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივი ჩაბმის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ — ასე ჰქვია დოკუმენტს, რომელიც დევიზით - „ჯანსაღი სკოლისათვის“ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის (თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**) თაოსნობით და განათლებისა და ჯანდაცვის წარმომადგენლების მონაწილეობით რამდენიმეთვიანი ერთობლივი მუშაობის შედეგად მომზადდა.

გუშინ ზემოხსენებული დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მთავარ ღირსებასა და შემაფერხებელ ფაქტორებზე პარლამენტის სპორტის ექსპერტთა სამეცნიერო - საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე მისმა თავმჯდომარემ **ვაჟა შუბლაძემ** ილაპარაკა. მანვე საბჭოს წარუდგინა სამოქმედო გეგმის ექსპერტთა ჯგუფების კოორდინატორები: განათლებისა – **ნათია ჯოხაძე,** ჯანდაცვისა – **დაზმირ ჯოჯუა,** სპორტისა – **თამაზ თევზაძე,** აგრეთვე ექსპერტები. პროექტის ხელმძღვანელი და კოორდინატორი თავად ვაჟა შუბლაძეა, თანაშემწე - **ნინო ქურდაძე.**

საბჭოს წევრები დოკუმენტს საფუძვლიანად გაეცნობიან და მომავალ კვირაში შენიშვნებითა და წინადადებებით დაუბრუნებენ პარლამენტს.

ვაჟა შუბლაძემ თქვა, რომ მალე თბილისში ჩამოვლენ ევროპელი ექსპერტები. მათთან ერთად შეჯერდება საქართველოს და ევროპის ქვეყნების გამოცდილება, რის შემდეგ შემუშავდება კონცეფცია, რომელიც ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილ სტრატეგიას დაედება საფუძვლად.

**თენგიზ თომაშვილი**

პლაჟბურთი




მსოფლიო ტური

## საქა-რთველო მეცხრეა, გეორ-გია მეჩვიდმეტე

პლაჟბურთის ქართულმა წყვილებმა მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ასპარეზობა დაასრულეს. პოლონეთის ქალაქ მიშლოვიცეში მიმდინარე ვაჟთა შეჯიბრებაში **გეორ-გიამ** დამამშვიდებელ ტურნირში 22-ე ნომრად განთესილ ახალზელანდიურ წყვილთან **ლოჰედ-პიტმანთან** სამ სეტში წააგო - 21:17, 6:21, 10:15.

ჩვენმა ფრენბურთელებმა მე-17 ადგილი დაიკავეს და 120 სარეიტინგო ქულა მიიღეს.

გაცილებით უკეთ იასპარეზეს სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში ქალთა შეჯიბრებაში **საქა-რთველომ.** ტურნირის მეორე დღეს ჩვენმა ფრენბურთელებმა სამი შეხვედრიდან ორი მოიგეს. შედეგად, მე-9 ადგილი დაიკავეს და რეიტინგში 240 ქულა ირგუნეს.

მორიგი ეტაპი, სადაც ჩვენი ორივე წყვილი იასპარეზებს, 7-14 ივნისს მოსკოვში გაიმართება

**ბესიკ ჯანგავაძე**

მომავალი კადრები

ინტერვიუ დარეჯან ქობელაშვილთან

# სპორტული განათლება განახლების გზით...

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტის ფაკულტეტი გაიხსნა

**უმაღლესი განათლებით სპორტის სპეციალისტების მომზადება სათავეს ჩვენში 1938 წლიდან იღებს. სწორედ მაღალკვალიფიციური კადრების დამსახურებაა, რომ საქართველო ერთ-ერთ მოწინავე სპორტულ ქვეყნად იქცა მსოფლიოში. განათლების სისტემის რეფორმამ სპორტის კადრების მომზადებაშიც მოითხოვა კორექტივების შეტანა. ძიებისა და გარდაქმნის პროცესი გრძელდება.**

**რა მდგომარეობაა დღეს, რა ცვლილებები ხორციელდება, რა პირობები და მოთხოვნებია გამოცდებზე აბიტურიენტებისთვის, როგორ ნაწილდება კონტინგენტი სპეციალობების მიხედვით? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი დარეჯან ქობელაშვილი.**



დარეჯან ქობელაშვილი

- სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ- ერთი შედეგია სასწავლო- სამწვრთნელო და სამეცნიერო- ადმინისტრაციული ერთეულის - სპორტის ფაკულტეტის შექმნა, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა.

ფაკულტეტის დანიშნულებაა, თანამედროვე სასწავლო და კვლევითი პოტენციალით შექმნას სპორტის სფეროში მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადების მიმზიდველი საუნივერსიტეტო გარემო, ფაკულტეტი ჩამოყალიბდეს ერთობლივი საგანმანათლებლო- მეთოდური საქმიანობის, ექსპერიმენტული კვლევების და სასწავლო- საწვრთნო პრაქტიკის წარმმართველ საგანმანათლებლო ინოვაციურ ცენტრად სპორტულ ორგანიზაციებთან, სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გზით, – ამბობს ქალბატონი დარეჯანი.

**- რა კრიტერიუმები მოეთხოვებათ აბიტურიენტებს?**

- ტრადიციული სპორტული ტური ჩატარდება ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის - მისაღები კონტინგენტი - 50 და გუნდური/ინდივიდუალური სპორტის სახეობების მწვრთნელის - მისაღები კონტნიგენტი - 100, სპეციალობებზე. აგრეთვე ბარდება 3 გამოცდა: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხოური ენა. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად აბიტურიენტი აბარებს ნებისმიერ არჩევით გამოცდას, ხოლო თუ მას ფაკულტეტის რეიტინგულ ჩამონათვალში, სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის ბაკალავრიატის გარდა, მითითებული აქვს სხვა აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა, მაშინ მან გრანტის მოსაპოვებლად უნდა ჩააბაროს ის არჩევითი გამოცდა, რომელსაც ეს პროგრამა ითვალისწინებს.

მასწავლებლის სპეციალობაზე სპორტული ტური ერთსაფეხურიანია - ზოგადი ფიზიკური მომზადება, მწვრთნელის სპეციალობაზე ორსაფეხურიანი - ზოგადი ფიზიკური მომზადება და სპეციალური მომზადება სპორტის სახეობების მიხედვით.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ახალი სისტემა, გნებავთ, რეფორმა ვუწოდოთ, გზას მოუჭრის უმაღლესი სპორტული განათლების მიღების მსურველ მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებს?**

- იგეგმება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შემოღება, რაც მიჩნეულია სწავლების ერთ- ერთ ეფექტურ მეთოდად სასპორტო განათლებაში. მეთოდი ინტეგრირებულია სპორტული წვრთნის პრაქტიკასთან. მის დანერგვას ისიც უწყობს ხელს, რომ ილიას უნივერსიტეტში სასწავლო კურსების არჩევის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტ- სპორტსმენს, დისტანციურად აირჩიოს სასწავლო კურსები და საწვრთნო- საშეჯიბრო საქმიანობის პარალელურად მართოს სასწავლო პროცესი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასავლეთის ქვეყნებში წარმატებული სპორტსმენები იშვიათად უთავსებენ ერთმანეთს სპორტულ კარიერასა და საუნივერსიტეტო განათლებას. ამიტომაც სტუდენტ- სპორტსმენმა უნდა გააცნობიეროს საკუთარი პროფესიული ვალდებულება - გააკეთოს ადეკვატური და გააზრებული არჩევანი...

**- ამბობენ, პირველკურსელებთან ნოვატორული პროგრამით იმუშავებენ უცხოელი პედაგოგები. ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს სამსახურიდან დაითხოვენ?**

- არ ვიცი, საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?! პირველად მესმის. თუ ის იგულისხმება, რომ სტრატეგიული განვითარების პერსპექტივაში იგეგმება სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მოდერნიზება საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, ეს მომავლის საქმეა და სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენს პროფესორ- მასწავლებლებს დაითხოვენ. მართალია, მათი უმეტესობა ხანდაზმული ასაკისაა, მაგრამ დასაფასებელია პროფესიონალიზმი და გამოცდილება, რაც ვერ გახდება სამსახურიდან მათი დათხოვნის საბაბი. მთავარი კრიტერიუმი მასწავლებელთა შერჩევა- გადახალისებაში არის პროფესიული კეთილსინდისიერება და უნარი, მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებითა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით წარმართონ სასწავლო პროცესი. მთავარია, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მომზადდეს სამეცნიერო- სასწავლო რეფორმის პოზიტიური ცვლილებების მხარდასაჭერად.

**- პროგრამა, რომლითაც ჩვენთან იმუშავებენ უცხოელები, საქართველოში გაივლის აპრობაციას?**

- თანამშრომლობა დასავლეთის უნივერსიტეტებთან ასაწყობია. კონტაქტები გააუმჯობესებს სპორტის სფეროში სამეცნიერო კვლევების განვითარებას, კვლევით მიღებული ცოდნის გავრცელებასა და დანერგვას სასწავლო პროგრამებსა და სპორტსმენთა პროფესიული მომზადების სისტემაში. თანამშრომლობა აკადემიური პერსონალის პროფესიული კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით გაცვლითი პროგრამების ამუშავებასაც გულისხმობს...

**- ახალი პროგრამის არსსა და უპირატესობაზე რას გვეტყვით?**

- პროგრამის მიზანია, მოამზადოს შემოქმედებითად მოაზროვნე კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც შეძლებს, ფიზიკური აღზრდისა და სპორტსმენთა წვრთნის პროცესში გადაჭრას სისტემური დიაგნოსტიკის პრობლემები. ჩვენ მიერ მომზადებული პროგრამები არ არის ხისტი და ის შრომის ბაზრის მოთხოვნებზეა გათვალისწინებული.

სავალდებულო ნაწილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადების პროგრამა. აკადემიური პროგრამებისთვის გადახალისდა არსებული და მომზადდა ახალი სასწავლო კურსები: სპორტული შესაძლებლობების ოპტიმიზაცია; ზეზღვრული წვრთნით გამოწვეული პათოლოგიები, პრევენცია და რეაბილიტაცია; სპორტსმენის კვება; ფიტნესი, წონის კონტროლი და რელაქსაცია; ფსიქორეაბილიტაცია სპორ-ტულ პრაქტიკაში; ფსიქოლოგიური შეფასება და ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები სპორტულ პრაქტიკაში.

**- სპორტის ფაკულტეტი რამდენწლიან სწავლებას მოიცავს?**

- 2010- 2011 სასწავლო წლიდან ამუშავდება ახალი საბაკალავრო პროგრამები, რომლებიც ოთხწლიან (240 კრედიტი) სწავლებაზეა გათვლილი. მომავალში იგეგმება შეიქმნას ისეთი აკადემიური და პროფესიული განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცე, რომელიც სრულყოფს უწყვეტ სასპორტო საგანმანათლებლო სისტემას.

**- იყო ლაპარაკი ილიას უნივერსიტეტში სპორტული ჟურნალისტიკის ფაკულტეტის გახსნაზე. არის რაიმე სიახლე?**

- ამის შესახებ არაფერი მსმენია. მაგრამ იგეგმება სპორტული ტურიზმის, მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ანიმაციური სპორტის, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ფიზიკური ვარჯიშების ორგანიზატორის, მათ შორის - სპორტის ჟურნალისტიკის უმაღლესი პროფესიული პროგრამების მომზადება. გარდა ამისა, მუშავდება პროფესიული გადამზადების - სპორტული მასაჟის საკვალიფიკაციო პროგრამის მოდული.

ახალი სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკური განათლებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობის ინტეგრაციას. ამისთვის დიდი სამუშაოები ჩაატარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომისიამ, რომლის შემადგენლობაში მიწვეულები ვიყავით ჩვენი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიც. სწორედ ჩვენ დაგვევალა ახალი საგნის - ფიზიკური განათლება და სპორტი- პილოტირების კონცეფციით სასწავლო პროგრამებისა და პედაგოგთა გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება და რეალიზება.

**- საუბრის ბოლოს, რის დამატებას ისურვებდით?..**

- სპორტის ფაკულტეტი ახლახან დაარსდა და არავის აქვს ილუზია, რომ ყველაფერი წესრიგშია. ხარისხიანი განათლების შეთავაზების მიზნით, აუცილებელია ადამიანური და მატერიალური რესურსების ოპტიმიზაცია. მთავარია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მზადაა ფაკულტეტის სამეცნიერო- სასწავლო რეფორმის პოზიტიური ცვლილებების მხარდასაჭერად.

ამდენად, დიდია დაკისრებული პასუხისმგებლობა, რაც ზრდის ფაკულტეტის მნიშვნელობასა და როლს ქართული სპორტის, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ჯანსაღი მომავალი თაობის და, ზოგადად, ქვეყანაში პოზიტიური და რადიკალური ცვლილებების პროცესში.

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**

სუმო

## გაგამარუ და იაპონური მაფია

სუმოს სამყაროში მორიგი სკანდალია - ამჯერად საქმე სპორტის ამ ტრადიციული სახეობისა და იაპონური მაფიის კავშირს ეხება. სუმოს ასოციაციამ იმსჯელა და გააუქმა სუმოს კლუბი „კისე“, ხოლო მისი თავკაცი, ანუ ოიატაკა **ჰიგონოუმი** ორი რანგით დააქვეითა. ეს სკანდალი პირდაპირ შეეხო ერთ-ერთ ქართველს - უმაღლეს დივიზიონში გადასულ **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)**, რადგან 202-კილოგრამიანი ქართველი სწორედ „კისეს“ წევრია. შარშან, ივლისში იაპონიის ციხეებში შეამჩნიეს, რომ პატიმრებში უცბად გაიზარდა ინტერესი სუმოს ტრანსლაციებისადმი. მაგრამ, როცა კარგად დააკვირდნენ, მიხვდნენ, რომ პატიმრები დოჰიოს კი არა, მის მიღმა ლოჟაში მსხდომებს აკვირდებოდნენ. აღმოჩნდა, რომ საპატიო ლოჟაში იაპონიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მაფიოზური ჯგუფის, იამაგუჩი-გუმის წევრები ისხდნენ.

როგორც გაირკვა, ნაგოიას ბაშოზე მოსაწვევებით მათ სწორედ კლუბ „კისეს“ ოიატაკა ამარაგებდა. მაფიოზებიც ხელს უქნევდნენ და ტელეეკრანებიდან ესალმებოდნენ „ნამებულ რაინდებს“.

მაშ ასე, გაგამარუ უკლუბოდ დარჩა, თუმცა მას არავინ დააქვეითებს, ნაგოიას ბაშოზე ქართველი აუცილებლად იასპარეზებს უმაღლეს დივიზიონში - გაგამარუს, **კიოსეუმის და ტოკიშინჰოს** (სულ სამი სეკიტორი იყო კლუბში) დევანოუმის დივიზიონის ერთ-ერთ კლუბში გადაიყვანენ. გაგამარუს პრობლემები მაინც შეექმნება, რადგან სავარჯიშო გარემოს შეცვლა არც ისე იოლია.



გაგამარუ

## ოქრუაშვილი: ახალგაზრდებში ოქრო, დიდებში ბრინჯაო

25-28 მაისს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში სამოყვარულო სუმოს ევროპის ჩემპიონატი გაიმართა როგორც ახალგაზრდებში, ისე დიდებში. ჯერჯერობით ყველა შედეგის მოპოვება ვერ შევძელით, თუმცა ბულგარული წყაროებით შევიტყვეთ, რომ ახალგაზრდებში გუნდურ ასპარეზობაში საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენებმა ფინალში პოლონეთის ნაკრებთან წააგეს. მესამე ადგილზე კი მასპინძლები გავიდნენ.

ინდივიდუალურ ასპარეზზე ახალგაზრდებში (23-წლამდე) ევროპის ჩემპიონი გახდა **ადამ ოქრუაშვილი.** 115 კგ-ზე მეტ წონით კატეგორიაში ჩვენებურმა ფინალში უკრაინელ **ოლექსანდრ ვერესიუკს** აჯობა. ამავე წონით კატეგორიაში მე-3 ადგილზე გავიდა **ზაზა ბალაშვილი.**

დიდებში 115 კგ-ზე მეტ წონით კატეგორიაში ადამ ოქრუაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ჩვენმა გუნდმა კი მე-3 ადგილისთვის შეხვედრა წააგო ბულგარეთის ნაკრებთან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო | საქართველოს ჩემპიონატი

# ახალგაზრდული დათვალიერება დიღომში



შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიამ ახალგაზრდა ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატის პირველ ნახევარს უმასპინძლა - გუშინ 55, 60, 66 და 73 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნებმა იჭიდავეს და მედალოსნებიც გამოავლინეს. ვინაიდან ეს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოასპარეზე გუნდების დასაკომპლექტებლად ერთ-ერთი უმთავრესი ტურნირია, მასში ყველამ იჭიდავა, ვისაც კი საამისო პრეტენზია გააჩნია. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ახალმოშუშებული ტრავმებისა თუ გადატანილი ავადმყოფობების გამო არ უნდა ეჭიდავათ, მაგრამ ისინიც კი ვიხილეთ ტატამზე, ხოლო ზოგიერთმა ეროვნულ ნაკრებში სალიცენზიო ტურნირებში გამოსვლაც კი იუარა. მხოლოდ გუშინდელ ოთხ წონაში 127 ახალგაზრდა მონაწილეობდა, ჩემპიონატის დღევანდელი ნაწილი კი სხვაა.

გუშინდელ შეხვედრებში სენსაციები არ მომხდარა - ძირითადად ფავორიტებმა გაიმარჯვეს. ერთადერთი შედარებით მოულოდნელი ჩემპიონი, ალბათ, მაინც 66-ში გამარჯვებული **ლაშა ლომიძეა,** რომელიც აქამდე დიდი წარმატებებით არ გამოირჩეოდა. აქ ფავორიტებად უფრო ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი **ირაკლი ლომიძე** და ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ბექა ტულუში** მიიჩნეოდნენ, რომელსაც თითქოს გუშინ არ უნდა ეჭიდავა, რადგან ავადმყოფობის გამო ვარჯიში აკლდა, მაგრამ მაინც იასპარეზა. აქ კიდევ ერთი გორელი - **ლაშა შავდათუაშვილიც** კარგი ბიჭია, მაგრამ ლაშა ლომიძემ ყველას აჯობა. საინტერესოა, რომ მან მეორე წრეში სწორედ მოგვარე ირაკლი ლომიძე დაამარცხა, ტულუშმა კი შავდათუაშვილთან წააგო, რომელმაც ნახევარფინალში **ფრიდონ გიგანთან** ვერ გააწყო ვერაფერი.

იმის გამო, რომ ჩემპიონატში ძირითადად ძველმა სახეებმა იყოჩაღეს, შესაძლოა, ბევრმა იფიქროს, რომ სუსტი თაობა მოდის, რადგან ყოველი ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება ახალი სახეების წარმოჩენაა, მაგრამ ამჯერად ის შემთხვევაა, როცა ფავორიტები იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს საკუთარი სიძლიერე, თორემ ვერ ვიტყვით, რომ რომელიმემ მეტოქეთა სისუსტით მოიგო. პირიქით, ყველა მათგანს დიდი ბრძოლა გადახდა გამარჯვებისთვის.

ჩემპიონთაგან განსხვავებით, მეორე-მესამე პრიზიორთა შორის ახალ სახელებსაც ამოიკითხავთ. განსაკუთრებით - ბრინჯაოს მედალოსანთა შორის. ბევრი მათგანი ჭაბუკთა ნაკრებიდან კარგად გვახსოვს, აქ კი პირველ ნაბიჯებს დგამენ.

ფინალური შეხვედრებიდან ყველაზე დაძაბული 60-ისა გამოდგა, სადაც ერთმანეთს ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორი **გიორგი ბროლაშვილი** და ჭაბუკებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **შმაგი ლაგაზაური** ჭიდაობდნენ. ლაგაზაური მეტოქეზე უმცროსია და თან ახალი გადმოსულია ამ წონაში. ბოლო წლებში მან ორჯერ მოიტეხა ხელი, რამაც მისი კარიერა საგრძნობლად დააბრკოლა და ვერც ახლა იყო ჩვეულ ფორმაში. ბუნებრივია, არც ხელებჩამოყრილი იდგა, მაგრამ ბროლაშვილი მაინც უფრო აქტიურობდა. სადავო მომენტი ლაგაზაურის გდებას მოჰყვა - ილეთი ნამდვილად მან დაიწყო, მაგრამ ბროლაშვილმა კონტრშეტევით გააგრძელა და თვითონ გადააგდო, მაგრამ გარედან ისე ჩანდა, რომ მანამდე თავად შეეხო ტატამს ბეჭებით. ამ ეპიზოდმა დიდი კამათი გამოიწვია, რადგან ნაწილი მიიჩნევდა, რომ გდება ბროლაშვილს ჩათვლოდა. ამ შეხვედრაში ლაგაზაურის სეკუნდანტად მოვლენილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ზურაბ ზვიადაურმა** ბევრი კი იბრძოლა, მაგრამ საბოლოოდ მსაჯებმა გამარჯვება მაინც ბროლაშვილს მიანიჭეს. სადავო ეპიზოდს ვიდეოთიც კარგა ხანს არჩევდნენ, თუმცა ამ საკითხზე დარბაზი ბოლომდე ვერ შეთანხმდა. ახლო წარსულის ვეტერან ძიუდოისტთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ გდება ან საერთოდ არ უნდა შეფასებულიყო, ან - ლაგაზაურს ჩათვლოდა. ფედერაციის მაღალჩინოსნებთან პირად საუბრებში შეხვედრის არბიტრმა **ია ზღულაძემაც** განაცხადა, რომ ილეთის შეფასებას საერთოდ არ აპირებდა, მაგრამ ზემდგომთა ნებას დაჰყვა...

ასეა თუ ისე, საქართველოს ჩემპიონი ბროლაშვილი გახდა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მოგება არ ეკუთვნოდა. ჯერ ერთი, ფინალამდეც კარგად იჭიდავა და იქამდე დამსახურებულად მივიდა, მეორეც - იმ საკამათო ეპიზოდამდეც უპირატესობას ფლობდა. თავის მხრივ, გული არც ლაგაზაურმა უნდა გაიტეხოს, რომელიც კვარცხლბეკზე აშკარად განბილებული ჩანდა და ვერცხლის მედალიც ისე სწრაფად მოიხსნა კისრიდან, თითქოს მძიმე ტვირთი აწუხებდა. ამ ეტაპზე ის ფორმაში რომ არაა და სატურნირო პრაქტიკაც აკლდა, ამას მისი მწვრთნელი **გუგული აბრამიშვილიც** აღიარებდა. ერთი წაგება ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **სოსო ლიპარტელიანი** შემადგენლობის დაკომპლექტებას ასე, ერთი ტურნირით არ აპირებს. ის კანდიდატებს კიდევ ერთ ტურნირზე ჩეხეთშიც წაიყვანს ახალგაზრდების ევროპის თასზე, სადაც ფინალისტები იჭიდავებენ. საევროპო ნაკრების ლიდერები იქ გამოვლინდებიან, თუმცა შესაძლოა, ყველა წონაში ეს არც მაშინ მოხდეს.

როგორ უნდა მოიგო ფინალი ისე, რომ ვერავინ მოგედავოს, ამის მაგალითი თანატოლებს ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონმა, რუსთაველმა **ზებედა რეხვიაშვილმა** (73) მისცა - **ბეთქილ აფრასიძე** ისე უზადოდ დააიპონა, ძალიანაც რომ გნდომებოდა, საკირკიმალოს ვერაფერს მოუძებნიდი. თურმე ტყუილად არ ამბობდა მისი პირადი მწვრთნელი, ახალგაზრდულის ყოფილი თავკაცი **ბორის ფირცხელიანი** რეხვიაშვილზე, საქართველოს ჩემპიონატისთვის კარგად ემზადებაო. ჭაბუკთა ნაკრებიდანაა გადმოსული კიდევ ერთი ჩემპიონი - **ოთარ კაიდარაშვილი** (55) ჭაბუკთა შორის ევროპის მესამე პრიზიორია.

როგორც გითხარით, დღეს საქართველოს ჩემპიონ-მედალოსნები დარჩენილ ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდებიან.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

55: 1. **ოთარ კაიდარაშვილი**, 2. **ლაშა გიუნაშვილი** (ორივე - შიდა ქართლი); 3. **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (კახეთი), **ლუხუმ ჩხვიმიანი** (სამეგრელო-ზემო სვანეთი).

60: **გიორგი ბროლაშვილი** (თბილისი), 2. **შმაგი ლაგაზაური** (კახეთი), 3. **თორნიკე თათარაშვილი** (მცხეთა-მთიანეთი), **გიორგი კაცია** (სამეგრელო-ზემო სვანეთი).

66: 1. **ლაშა ლომიძე** (შიდა ქართლი) 2. **ფრიდონ გიგანი** (სამცხე-ჯავახეთი) 3. **ლაშა შავდათუაშვილი** (შიდა ქართლი), **ირაკლი ჭელიძე** (რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი).

73: 1. **ზებედა რეხვიაშვილი** (ქვემო ქართლი) 2. **ბეთქილ აფრასიძე** (თბილისი) 3. **ანზორ ხმიადაშვილი** (შიდა ქართლი), **მიხეილ ჩოხელი** (კახეთი).

თავისუფალი ჭიდაობა | მაგომედოვის საქმე

# რუსებმა კბილი ოქროსაც გაჰკრეს

გუშინ ვწერდით, „მაგომედოვის საქმე" საბოლოოდ დამთავრდა და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აზერბაიჯანულ მხარეს კომენტარი არ გაუკეთებიაო. დღეს ამ თემაზე კომენტარებიც გაჩნდა და არა მხოლოდ აზერბაიჯანელთა, არამედ რუსთა მხრიდანაც. თანაც, ზუსტად იმ უცნაურობებზე, რომელზეც გუშინ „ლელოც" მიუთითებდა. კერძოდ, ხისტი გამონათქვამებით ცნობილმა რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გიორგი ბრიუსოვმა**, რომელიც, პარალელურად, საერთაშორისო ფედერაციის - FILA-ს მოხელეცაა, გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ, FILA-მ კი აღიარა, **მაჰმუდ მაგომედოვს** ევროპის ჩემპიონატზე აზერბაიჯანის ნაკრებში გამოსვლის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ ოქროს მედალი არ ჩამოართვაო. ჭიდაობის მოყვარულთ გახსოვთ, რომ რუსებმა მაგომედოვის აზერბაიჯანელთა შემადგენლობაში გამოსვლაზე განგაში ჯერ კიდევ იმ ჩემპიონატის დაწყებამდე ატეხეს, შარშან ჩვენს ნაკრებში იჭიდავა და სხვაგან გადასვლის უფლება არ აქვსო, მაგრამ FILA-მ სპორტსმენს მაინც დართო ასპარეზობის ნება და ისიც ჩემპიონი გახდა. მოგვიანებით FILA-მ განმარტა, შარშან რუსთა სახელით **მაგომედ მაგომედოვმა** იჭიდავა და არა მაჰმუდმაო, თუმცა ორიოდ დღის წინ შეცდომა აღიარა და ევროპის ახალ ჩემპიონს 2011 წლის 28 მარტამდე აზერბაიჯანის სახელით ჭიდაობა აუკრძალა - მაგომედოვს სწორედ მაშინ გაუდის ის ორწლიანი აკრძალვა, რასაც მოქალაქეობის უნებართვოდ შეცვლის შესახებ არსებული რეგლამენტი ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში სპორტსმენს ორი წლის განმავლობაში არ შეუძლია ახალი ქვეყნის სახელით ასპარეზობა. თავის კომენტარში ბრიუსოვმა გაკვირვება იმაზეც გამოთქვა, რატომ არ დაგვიჯერეს FILA-ს მაღალჩინოსნებმა და რატომ დართეს ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობის ნება, როცა არაერთხელ განვუმარტეთ, რომ მაგომედოვმა შარშან მსოფლიოს თასზე რუსეთის სახელით იჭიდავაო.

ნამდვილად არ გვინდა, რუსთა ინტერესების დამცველად გამოვჩნდეთ. მით უფრო, ბინძური მაქინაციები მათი მოგონილია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვგონებთ, მართლები არიან. მართლაც უცნაური იყო, FILA-მ საკითხის საბოლოო გარკვევამდე რატომ დართო ფალავანს ტურნირში გამოსვლის უფლება, ან ახლა თუ ირკვევა, რომ საერთაშორისო კანონი დაირღვა, რატომ არ ჩამოართვეს მედალი?! ბრიუსოვმა FILA-ს ამ ნაბიჯს ნახევრად სიმართლე და საშიში პრეცედენტი უწოდა. შეუძლებელია, ამაშიც არ დაეთანხმო - ასე გაგრძელება ნამდვილად არ შეიძლება, თორემ ჭიდაობის ნაცვლად დომხალს მივიღებთ.

რუსი კოლეგისგან განსხვავებით, FILA-ს გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებია აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **მაგომედ ალიომაროვს**. მან კანონმორჩილი კაცივით აღიარა, რადგან კანონი დაირღვა, გასაჩივრებას არ ვაპირებთო, თუმცა მათი ფედერაცია ასე იოლად თუ გადარჩება და მით უფრო, მედალიც შეუნარჩუნდება, გასაჩივრება კი არა, ათას მადლობას ეტყვიან FILA-ს. სავარაუდოდ, მათ ყველაფერი იცოდნენ - ბოლო-ბოლო, თვითონ ფალავანს ხომ კარგად ახსოვდა, იჭიდავა თუ არა შარშან თეირანში, ხოლო თუ მოიტყუა და სიმართლე დამალა, მაშინ ორმაგადაა დასასჯელი. მაგრამ ვეჭვობთ, აზერბაიჯანელებს იმთავითვე ქრთამებისა და საქმის ჩაწყობისა ეიმედებოდათ.

მაგომედოვთან დაკავშირებით ალიომაროვმა განაცხადა, რომ ის სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე მართლაც ვერ იჭიდავებს, რაკილა ორწლიანი აკრძალვა გაისად მარტში უმთავრდება, მაგრამ აუცილებლად იასპარეზებს აპრილში სტამბოლში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენი მთავარი მიზანი ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებაა, მაგომედოვი კი თავის წონაში ერთ-ერთი უძლიერესიაო. კაცმა არ იცის, მოხვდება თუ არა გაისად მაგომედოვი აზერბაიჯანის ნაკრებში, ან მოიპოვებს თუ არა ლიცენზიას, მაგრამ ეს აზერბაიჯანელებმა იდარდონ, მომხდარი კი ერთხელაც ადასტურებს, რა უვარგისი ფედერაციაა FILA და რა სიბინძურეები ხდება იქ. გასაკვირია, სოკ-ი ამდენ არაობიექტურობას როგორ ეგუება.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# რეიტინგ-ფავორიტი ერთპიროვნულად დაწინაურდა



**ანა მუზიჩუკი** უკრაინელია, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო სლოვენიის ჭადრაკის ფედერაციის სპორტულ ღირსებას იცავს. რეიტინგიც საკმაოდ მაღალი აქვს — 2529 და მსოფლიოს დიდოსტატ ქალთა ასეულის პირველ ათეულში შედის. ბოლო დროს მან მოუხშირა თბილისში სტუმრობასა და აქაურ ტურნირებში მონაწილეობას. დედაქალაქის მერიის თასზე თუ შედარებით მოკრძალებული შედეგი ჰქონდა, **მაია ჩიბურდანიძის** თასზე, რომელსაც ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს, ძალთა მოზღვავებას გრძნობს და პარტიას პარტიაზე იგებს — ოთხი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ერთპიროვნულად დაწინაურდა. ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტმა (იგი რეიტინგით უახლოეს მდევარ **ლელა ჯავახიშვილს** 47 პუნქტით უსწრებს) გუშინ თანატოლებში მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონსა და პრიზიორ **მერი არაბიძეს** სძლია.

ოთხი ქულის მოგროვების კარგი შანსი ჰქონდა **სოფიკო გურამიშვილს**, მაგრამ თეთრი ფიგურებით იგი **ნინო ბაციაშვილთან** დამარცხდა. საქართველოს ნაკრების წევრი ლელა ჯავახიშვილი **გულნარ მამადოვას** (აზერბაიჯანი) დაუზავდა. მეწინავეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **სოფიო გვეტაძე-ნარგიზ უმუდოვა** (აზერბაიჯანი) 0:1, **ნინო ხურციძე-მარიამ დანელია** 1:0, **თამარ ხმიადაშვილი-ბელა ხოტენაშვილი** 0:1, **ხაიალა ისკანდაროვა** (აზერბაიჯანი)-**ინგა ჭარხალაშვილი** 0:1, **მირანდა მიქაძე-ანა გავაშელი** 1:0, **ალექსანდრა ვახანია-მაკა ფურცელაძე** 0:1, **ლია მარტიროსიანი** (სომხეთი)-**სოფიო ტყეშელაშვილი** 0:1, **ქრისტინე მჟავია-ინგა ხურცილავა** 0:1, **სოფიო ნიკოლაძე-დეა გოგიშვილი** 1:0, **სალომე მელია-მერი ყორყოლიანი** 1:0.

ოთხი ტურის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, მუზიჩუკი ლიდერობს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ბაციაშვილი და უმუდოვა ჩამორჩებიან. 3-3 ქულა თორმეტმა მოჭადრაკემ მოაგროვა.

**დღეს მე-5 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: უმუდოვა (3,5)-მუზიჩუკი (4), ბაციაშვილი (3,5)-ხოტენაშვილი (3), ჯავახიშვილი (3)-გურამიშვილი(3), არაბიძე (3)-ხურციძე (3), ჭარხალაშვილი (3)-მამადოვა (3), ტყეშელაშვილი(3)-მიქაძე (3), ფურცელაძე (3)-ნიკოლაძე (3), ხურცილავა (3)-გვეტაძე (2,5), ჯალაბაძე (2,5)-მელია (2,5), უგულავა-ზ. მამედიაროვა (2,5), დანელია (2,5)-ტერელაძე (2,5).**

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

მშვილდოსნობა | ევროპის ჩემპიონატი

# გუნდურშიც პირველივე წააგეს

ქართველმა მშვილდოსნებმა ნაადრევად დაასრულეს გამოსვლა იტალიურ როვერეტოში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, რადგან გუშინ გუნდურ პირველობაზეც პირველივე წრეში წააგეს. ჩვენებურთა მეტოქე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ნატალია ვალეევას** მეთაურობით დარაზმული იტალიის ძლიერი გუნდი იყო და ფავორიტებადაც ისინი მიიჩნეოდნენ. სენსაცია არც მომხდარა და იტალიელებმა 211:200 მოიგეს, მერე უკრაინელთა მძლეველ დანიელებს 10 ქულით აჯობეს - 213:203 და ნახევარფინალში გავიდნენ, იქ კი რუსებთან წააგეს. ალბათ, ბევრისთვის მოულოდნელად, მეორე ფინალისტი ესპანეთის ნაკრებია, რომელმაც ფინალამდე რთული გზა გაიარა - ჯერ ბელარუსებსა და პოლონელებს მოუგო, რომლებიც, რეალურად, მათზე ძლიერები არიან, ნახევარფინალში კი სულაც ერთ-ერთი ფავორიტი - საფრანგეთი გამოაგდო, ოღონდ საამისოდ დამატებითი სერია დასჭირდა. აქ ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა - 212:212, დამატებითში კი ესპანელებმა ერთი ქულით იმარჯვეს - 27:26.

ფინალები გუნდურშიც და ინდივიდუალურშიც ხვალ გაიმართება. გუნდურში რუსები ესპანელებს გაეჯიბრებიან და პირენეელებმა ამჯერადაც სენსაცია თუ არ შემოგვთავაზეს, რუსებს მოგება არ უნდა გაუჭირდეთ. სხვა შემთხვევაში ამაზე უფრო საინტერესოდ ბრინჯაოსთვის მებრძოლ იტალია-საფრანგეთის წყვილს მივიჩნევდით, მაგრამ უკვე ფაქტია, რომ ფინალშიც ისინი გავიდნენ და ჩემპიონატსაც ამათზე უკეთესი შედეგით დაასრულებენ.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი სამეული - **ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე, ნათია ცინცაძე** პირად პირველობასაც პლეი ოფის პირველივე წრიდან გამოეთიშა. რუსები დღეს ოქროსთვის პირადშიც იბრძოლებენ. მეტიც - ეს სულაც მათი საშინაო საქმეა, რადგან ერთმანეთს თანაგუნდელები - **ნატალია ერდენიევა** და **ინა სტეფანოვა** ხვდებიან, ბრინჯაოს მფლობელი კი პოლონელი **იუსტინე მოსპინეკისა** და თურქი **ელიფ ბეგუნჰან უნსალის** პაექრობაში გაირკვევა.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი


აკადემია-აია

# გადატანილი მატჩების მიუხედავად...

საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე სამი გამოტოვებული მატჩის გამართვის შემდეგ დამთავრდება. მიუხედავად ამისა, გარკვეული წინასწარი დასკვნების გამოტანა უკვე შესაძლებელია. არასრულმა პირველმა წრემაც გამოკვეთა მოწინავე ოთხეული, რომელიც, სავარაუდოდ, პოზიციებს არც მეორე წრეში დათმობს.

საგულისხმოა, რომ „აია“, „ლოკომოტივი“, „ლელო“ და „ვისოლი/ყოჩები“ მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის გუნდები არიან, რაც მათ შორის შეხვედრებმაც ნათლად გვიჩვენა. ამიტომ ძნელია გადაჭრით თქმა, რომელს აქვს ყველაზე საფუძვლიანი საჩემპიონო ამბიცია.

გამოტოვებული შეხვედრებიდან ორი დღეს და ხვალ გაიმართება. დღეს თბილისის „არმაზი“ საკუთარ მოედანზე, ვაზისუბანში „ბათუმი XV“-ს უმასპინძლებს. შავიზღვისპირელები შარშანდელთან შედარებით წლეულს ბევრად უარესად ასპარეზობენ. ბათუმელებმა ექვსი თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგეს, ისიც პირველივე ტურში აუტსაიდერ რუსთავის „ხარებთან“, რომელთან ერთადაც, როგორც ჩანს, უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მოუწევთ ბრძოლა.

„ბათუმი XV“-ის ასეთი ცუდი ასპარეზობა, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაურია. გუნდის შემადგენლობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ერთადერთი სერიოზული დანაკლისი მთავარი მწვრთნელი **ლევან მგელაძეა.**

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა „არმაზმა“ პირველ წრეში ორი თამაში მოიგო და მესამის მოგების დიდი შანსი აქვს. არმაზელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ბრძოლისუნარიანობით. მათი თამაშის ძლიერი მხარე მძიმე შერკინებაა. აქ ლიდერი **გიორგი სოსელიაა,** რომელიც რატომღაც ვერაფრით ხვდება ეროვნული და A ნაკრების მხედველობის არეში.

„არმაზის“ უკანა ხაზის თამაში კი მნიშვნელოვნად დაალაგა და გამოასწორა მოთამაშე-მწვრთნელმა, მგეზავამა **დავით კიკნაძემ,** რომელიც გუნდის დამრტყმელიცაა.

„არმაზი“ შინაურ არენაზე ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ სტუმართა გუნდს არ ეყოლება ლიდერი **მამუკა ნინიძე,** რომელიც საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრების შემადგენლობაში ოდესაში იმყოფება.

„ლელოს“ პროგნოზით, „არმაზი“ მინიმუმ ხუთი ქულით მოიგებს.

ხვალ კი ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე, საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი „ლელო“ „აკადემიას“ დაუპირისპირდება, რომელსაც წლეულს შარშანდელთან შედარებით გაცილებით უარესი შედეგი აქვს. არადა, ცხრა ნომრის **გიორგი ქოპილაშვილის** სახით სერიოზული შევსება მიიღო.

„აკადემიას“ საკმაოდ საინტერესო ჰყავს პირველი ხაზიც, სადაც შერკინების კვაჭი **ბექა მეკოკიშვილი** სულაც უნიკალური მოვლენაა. ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიოში თუნდაც ერთი კვაჭი, რომელიც კარში ბექასავით ურტყამდეს. საკმაოდ კარგი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული უკანა ხაზიც. ერთი სიტყვით, ამ გუნდს მეტი პოტენციალი გააჩნია, გაცილებით უკეთესად თამაში და დიდი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლია.

აკადემიელებს, რომლებმაც ბოლო მატჩი ვაკეში ქუთაისის „აიასთან“ წააგეს, ხვალ არანაკლებ მძიმე მატჩი ელით. „ლელო“ ტიტულის დათმობას არ აპირებს და ჩემპიონატში განცდილი ორი მარცხის შემდეგ ყველა თამაშს მაქსიმალურად მობილიზებული ხვდება. დასტურად მე-7 ტურის მატჩში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის „ლოკომოტივის“ ძლევაც გამოდგება.

ამ გუნდების დაპირისპირება, რა მიზნებისთვისაც უნდა იბრძოდნენ ისინი, ყოველთვის დაძაბულ, უშელავათო ბრძოლაში მიმდინარეობს.

ვფიქრობთ, „ლელომ“ უკვე მიაგნო თავის თამაშს და მეტოქეს მინიმუმ შვიდი ქულით მოუგებს.

მესამე გადატანილი შეხვედრა ხუთშაბათს, 3 ივნისს გაიმართება. „ლოკომოტივისა“ და „ვისოლი\ყოჩების“ მატჩი ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე პირველი წრის გვირგვინი იქნება. ამ თამაშში მართლაც დიდი ბრძოლა გაიმართება და გამარჯვებულის წინასწარ გამოცნობა შეუძლებელია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 7 | 6 | 0 | 1 | +55 | 12 |
| 2. ლოკომოტივი | 6 | 5 | 0 | 1 | +64 | 10 |
| 3. ლელო | 6 | 4 | 0 | 2 | +86 | 8 |
| 4. ყოჩები | 6 | 4 | 0 | 2 | +44 | 8 |
| 5. აკადემია | 6 | 2 | 0 | 4 | -8 | 4 |
| 6. არმაზი | 6 | 2 | 0 | 4 | -45 | 4 |
| 7. ბათუმი XV | 6 | 1 | 0 | 5 | -84 | 2 |
| 8. ხარები | 7 | 1 | 0 | 6 | -115 | 2 |

ლეგიონერები

# კლერმონის გამარჯვების ჯერია

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“ საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფინალში ზედიზედ მეოთხედ ითამაშებს. „ვულკანებმა“ წინა სამივე ფინალი წააგეს. სულ კი კლუბის ისტორიაში გუნდმა ფინალში ათჯერ ითამაშა და ჩემპიონის ტიტული ვერც ერთხელ მოიპოვა.

საფრანგეთში ხუმრობით ამბობენ, ეს გუნდი დაწყევლილიაო. საოცარია, მაგრამ ზედიზედ სამჯერ წაგებული ფინალის მერეც კი, არც კლუბის ხელმძღვანელებს, არც მოთამაშეებს და არც მწვრთნელთა შტაბს ყურები არ ჩამოუყრიათ. კლერმონელებმა დაამტკიცეს, რომ ნამდვილი პროფესიონალები არიან და ყველაფერს ილონებენ, ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონის ტიტული რომ მოიპოვონ.

„კლერმონმა“ შარშან რეგულარული გათამაშება მოიგო, მაგრამ ფინალი „პერპინიანთან“ წააგო - 13:22. წლეულს კი რეგულარულ გათამაშებაში პირველი ადგილი არავის დაუთმო „პერპინიანმა“. თუ ლოგიკას მივყვებით, ამჯერად ფინალში „კლერმონის“ გამარჯვების ჯერია.

„პირველად ხდება, რომ ფინალში ზედიზედ ორჯერ ერთსა და იგივე გუნდს ვხვდებით. თანაც იმ გუნდს, ვისთანაც ერთხელ უკვე წავაგეთ. „პერპინიანს“ კარგად ვიცნობთ. ძალიან ძლიერი, შემოქმედებითი გუნდია. მას ყოველთვის შეუძლია სიურპრიზი შემოგვთავაზოს.

ვეცდებით, ისეთი ტაქტიკა შევარჩიოთ, რომელიც წარმატებას მოგვიტანს. შესაძლოა, თამაში კარგი სანახავი არ გამოვიდეს, მაგრამ ამჯერად ეს ჩვენ ნაკლებად გვაღელვებს. მთავარი ახლა შედეგია. მინდა აღვნიშნო, რომ პერპინიანელებს სიურპრიზს ვუმზადებთ,“ - თქვა „კლერმონის“ ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **ვერნ კოტერმა.**

ძნელი სათქმელია, რა მოულოდნელობას უმზადებს მეტოქეს ახალზელანდიელი, მით უფრო, რომ გუნდის ძირითადი შემადგენლობა აბსოლუტურად იგივეა, რაც ნახევარფინალში **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონთან“ მატჩში. ზირაქაშვილი ისევ სათადარიგოთა შორისაა, რაც გასაკვირი არ არის, რადგან ეს კლერმონელთა ტაქტიკაა. მას შემდეგ, რაც არგენტინელი **მარტინ სკელცო** მოწინააღმდეგეს გვარიანად მოღლის, საქმეში ერთვება დასვენებული „ზირაქა“, რომელიც მეტოქის პირველ ხაზს რისხვად ატყდება. ასე იყო „ტულონთანაც“, შეცვლაზე გამოვიდა და ლელოც გაიტანა.

წლეულს რეგულარულ გათამაშებაში ეს გუნდები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველ წრეში „კლერმონმა“ სტუმრად 3:26 წააგო, მეორე წრეში კი, „სტად დე მიშლენზე“ 22:17 მოიგო.

საინტერესო იქნება გუნდის ლიდერების **ორელიან რუჟერისა და ჟერომ პორისალის,** ასევე პირველხაზელების **ტომას დომინგოსა** და **ნიკოლა მასის** დაპირისპირება.


მარცხნიდან პირველ იდავით ზირაქაშვილი

**კლერმონი-პერპინიანი**

კლერმონი: 15. ენტონი ფლოში, 14. ნაპოლიონი ნალაგა, 13. ორელიან რუჟერი, 12. მარიუს ჟუბერი, 11. ჟულიენ მალზიო, 10. ბრუკ ჯეიმზი, 9. მორგან პარა

1. ტომას დომინგო, 2. მარიო ლედესმა, 3. მარტინ სკელცო, 4. ჯიმი კუდმორი, 5. ტიბო პრივა, 6. ჟულიენ ბონერი, 7. ელვის ვერმულენი, 8. ალექსანდრ ლაპანდრი

16. ბენუა კაბელო, 17. დავით ზირაქაშვილი, 18. ჟულიენ პიერი, 19. ალექსანდრ ოდობერტი, 20. კევინ სენიო, 21. ტასესა ლავეა, 22. გონსალო კანალე

პერპინიანი: 15. ჟერომ პორისალი , 14. ადრიან პლანტე, 13. დავიდ მარტი, 12. მაქსიმ მერმოსი, 11. დავიდ მანასი, 10. გევინ ჰუმი, 9. ნიკოლა დურანი

1. პერი ფრეშვეტერი, 2. გილემ ჟირადო, 3. ნიკოლა მასი, 4. ოლივიე ოლიბო, 5. რობინს ჩალე-ვათჩუ, 6. ოვიდიუ ტონიცა, 7. ჟან-პიერ პერესი, 8. ანრი ტუილაგი

16. მარიუს ტინკუ, 17. ჟერემი შუსტერი, 18. გილომ ვილასესა, 19. დავიდ მელე, 20. ფილიპ ბურგერი, 21. ნიკოლა ლარაგო, 22. ფლორინ კაზენავე

მსაჯი: კრისტოფ ბერდოსი

ზე 14

# ტიტანების ბრძოლა სოვეტოში

დღეს იოჰანესბურგთან ახლოს, პატარა ქალაქ სოვეტოს“ ორლანდო სთედიუმზე“ ტიტანების ბრძოლა გაიმართება. ზე 14-ის წლევანდელი გათამაშების ფინალში ორი სამხრეთაფრიკული გუნდი ითამაშებს. შარშანდელი ჩემპიონი, პრეტორიის „ბლუ ბულზი“ ტიტულის დაცვას კეიპთაუნის „სთორმერზთან“ მატჩში შეეცდება.

ალბათ, სადავო არაა, რომ ფინალში წლევანდელი სეზონის ორი საუკეთესო გუნდი ითამაშებს. რეგულარული გათამაშების ბოლო ტურში კეიპთაუნელებმა „ბლუ ბულზს“ შინ 38:10 მოუგეს, მაგრამ ეს აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. პრეტორიელებს პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდათ და მეტოქეს, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობით დაუპირისპირდნენ.

გამარჯვების შემთხვევაში „ბლუ ბულზი“ მესამედ გახდება ჩემპიონი და ტიტულებით ოქლენდის „ბლუზს“ დაეწევა. ყველაზე მეტი, შვიდი გამარჯვება კი ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზის“ ანგარიშზეა. „სთორმერზი“ ფინალში პირველად ითამაშებს და თუ მოიგო, მეხუთე გუნდი იქნება, ვისაც ზე 14-ის ჩემპიონის ტიტული მოუპოვებია. უკვე დასახელებული გუნდების გარდა ზეპური რაგბის საუკეთესო გუნდი კანბერის „ბრამბიზი“ ორჯერ გახდა.

თამაში მართლაც უიშვიათესი იქნება. „სთორმერზს“ წლეულს საუკეთესო დაცვა ჰყავს - 14 ტურში მხოლოდ 17 ლელო მიიღო, რაც მიმდინარე გათამაშების საუკეთესო მაჩვენებელია. კეიპთაუნელები ყველაზე დისციპლინიანებიც არიან. რეგულარულ გათამაშებაში სინბინში მხოლოდ ერთი სთორმერზელი გაუშვეს. ეს მაშინ, როცა პრეტორიელებს ხუთჯერ უჩვენეს არბიტრებმა ყვითელი ბარათი.

ყოველივე ეს, ცხადია, „სთორმერზის“ უპირატესობაზე მეტყველებს, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბლუ ბულზი“, რომელიც შინ თამაშობს, ფსიქოლოგიურად უკეთეს მდგომარეობაშია. გუნდი საკმაოდ გამოცდილი, ბრწყინვალედ განსწავლული და კარგად ორგანიზებულია. მაგრამ, გამორიცხული არ არის, ზედმეტმა თავდაჯერებულობამ პრეტორიელებს ცუდი სამსახური გაუწიოს.

საინტერესო იქნება გუნდების მგეზავების **მორნი სტეინისა** და **პიტერ გრანტის** დაპირისპირება. ისინი დამრტყმელები არიან და მათ ფეხჩუბინობაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მატჩის ბედი. სტეინი ბრწყინვალე ფორმაშია, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 243 ქულით სეზონის საუკეთესო მექულეა.

ბოლო წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ „ბლუ ბულზს“ დიდი უპირატესობა აქვს. ბოლო ხუთ მატჩში პრეტორიელებმა ოთხი მოიგეს და ერთში დამარცხდნენ, რომლის მიზეზებზეც უკვე ვთქვით.

Planetrugby-ს პროგნოზით, ჩემპიონი ტიტულის შენარჩუნებას შეძლებს და მეტოქეს მინიმუმ სამი ქულით მოუგებს.


ბლუ ბულზი

**ბლუ ბულზი-სთორმერზი**

ბლუ ბულზი: 15. ზან კირშნერი, 14. ჯერარდ ფან დენ ევერი, 13. იაკო პრეტორიუსი, 12. ვინანდ ულფიე, 11. ფრანსუა ჰაუხარდი, 10. მორნი სტეინი, 9. ფური დუ პრი

1. ხურთ სტენკამპი, 2. გარი ბოთა, 3. ვერნერ კრუხერი, 4. დენი როსუ, 5. ვიქტორ მეტფილდი, 6. დეონ სტიგმანი, 7. დიუვალ პოტხიტერი, 8. პიერ სპისი

16. ბენდის მაკუ, 17. ბის რუ, 18. ფილიპ ფან დერ მერვე, 19. დერიკ კუნი, 20. ჟაკლუი პოტხიტერი, 21. იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, 22. პედრი ვანენბურხი

სთორმერზი: 15. ჯო პიტერსენი, 14. გიო ეფლონი. 13. ჟაკ ფური, 12. იუან დე იონგი, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. პიტერ გრანტი, 9. დუვალდ დუვენაგე

1. ვიკუს ბლაავი, 2. ტიან ლიბენბერხი, 3. ბროკ ჰარისი, 4. ადრიან ფონდსი, 5. ანდრიას ბეკერი, 6. სხალკ ბუეხერი, 7. ფრანსუა ლოუ, 8. დუეინ ვერმულენი

16. დეონ ფური, 17. ჯი სი კრიცინხერი, 18. ენტონ ფან ზილი, 19. პიტერ ლოუ, 20. რიკი იანუარი, 21. ვილემ და ვაალი, 22. ტიმ ვაითპედი

მსაჯი: კრეიგ ჯუბერი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი




ინტერვიუ ლაშა ფარღალავასთან

# ნახავს კოკოშკოვი ფარღალავას?

საქართველოს ნაკრები 1 ივლისს ავსტრიაში იკრიბება. ეს შეკრების ოფიციალური ნაწილი იქნება, თუმცა უნდა გავიხსენოთ, რომ **იგორ კოკოშკოვმა** საქართველოში ჩამოსვლის პირველივე წელს წინასწარი შეკრებაც მოაწყო და არაერთ კალათბურთელს დააკვირდა. ეს აუცილებელია, რადგან მწვრთნელმა უნდა იცოდეს, რა რესურსია ქვეყანაში. იმედია, სერბი სპეციალისტი მსგავს შეკრებას წლეულსაც მოაწყობს და საქართველოში, ევროპასა (ძირითადად ესპანეთის ქვედა ლიგებში) და ამერიკაში თავგამოჩენილ კალათბურთელებს გასინჯავს.

ამერიკის კოლეჯების ლიგაში არაერთი ჩვენიანი ასპარეზობს. მათ შორის არიან **დიმა ფაცაცია** და **ლაშა ფარღალავა**, რომლებმაც NCAA-ში ჩაამთავრეს გასული სეზონი. კიდევ ერთი „ამერიკელი" **ლევან შენგელია** შარშან ნაკრებს შეკრებაზე ახლდა... ფარღალავამ სასწავლებელიც დაასრულა და თბილისში დაბრუნდა. დავინტერესდით, მასთან სანაკრებო სინჯებისთვის ხომ არავის დაურეკავს...

- არავინ შემხმიანებია. თუ შანსი მომეცა, ვეცდები, საკუთარი შესაძლებლობები სრულად გამოვავლინო. ეროვნულ გუნდში თამაში ხომ ჩემი ბავშვობის ოცნებაა.

**- ნაკრების შეკრებაზე 2008 წელსაც გამოგიძახეს.**

- მაშინ სინჯებზე რომ მიხმეს, „პენსაკოლადან" „ჰავაიში" გადავდიოდი, საზაფხულო კლასები მჭირდებოდა და ვსწავლობდი. თბილისში ჩამოსვლა ვერ მოვახერხე. საქართველოში რომ გამოვფრენილიყავი, ამერიკის კოლეჯებში სწავლას ველარ გავაგრძელებდი.

**- სწავლა დაასრულე. ახლა რას აპირებ?**

- ვფიქრობ, ამერიკაში აღარ დავბრუნდები. კარიერის გაგრძელებას ევროპაში ვაპირებ. ვეძებ შესაბამის გუნდს, სადაც დავამტკიცებ, რა შემიძლია.

**- რა სპეციალობის ფაკულტეტი დაამთავრე?**

- საერთაშორისო ურთიერთობები და სპორტული მენეჯმენტი. სპორტულ კარიერას რომ დავასრულებ, მინდა, სწავლა ისევ ამერიკაში განვაგრძო და მაგისტრატურის დიპლომი ავიღო.

**- მოკლედ გავიხსენოთ შენი ამერიკული სასწავლებლები და გვითხარი, რომელმა გუნდმა რა გავლენა მოახდინა შენს კარიერაზე.**

- თავდაპირველად ფლორიდის საჰაერო აკადემიაში ჩავირიცხე. ძალიან გამიჭირდა, უცხოეთში პირველ სეზონს ვატარებდი, თან სასწავლებელი სამხედრო იყო, მკაცრ რეჟიმში ვიყავით. თუმცა სათანადო რეჟიმს სწორედ ფლორიდაში მივეჩვიე, რაც მერე ძალიან გამომადგა.

**- შემდეგ იყო „პენსაკოლა".**

- ეს გუნდი კოლეჯების იუნიორთა ლიგაში ასპარეზობდა. სხვათა შორის, ამჟამად „პენსაკოლას" ღირსებას ძმები ჯგერენაიები იცავენ. იქ გუნდის ლიდერი ვიყავი და არაერთ წარმატებას მივაღწიეთ. შტატის ჩემპიონებიც გავხდით.

**- „პენასკოლადან" ჰავაიზე 2008 წელს გადახვედი.**

- ჰონოლულუს გუნდი კოლეჯების პირველ დივიზიონში თამაშობდა. სეზონი კარგად დავიწყეთ და ასევე რომ გაგვეგრძელებინა, მომდევნო ეტაპის საგზურს მოვიპოვებდით, თუმცა მწვრთნელი ძალიან რბილი ხასიათისა გამოდგა და გუნდში დისციპლინის დამყარება უჭირდა.

**- მასთან პრობლემები შენც შეგექმნა...**

- იგი გამთამაშებლობას მავალებდა, მეუბნებოდა, მხოლოდ პასები არიგეო. მე კი, სასროლ პოზიციაში რომ დავრჩებოდი, აბა, როგორ არ მეტყორცნა? შარშან „ჰავაიდან" „მონტანაში" გადავედი, რაც დღევანდელი გადასახედიდან სწორი ნაბიჯი იყო. მონტანელთა რიგებში კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი მქონდა. რეგულარული ეტაპის ბოლოს ტრავმების გამო გუნდს რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი გამოაკლდა და ამიტომ პლეი ოფში გასვლა ვერ მოვახერხეთ. რეგულარული მესამე ადგილზე დავასრულეთ და წინა წლების შედეგი საგრძნობლად გავაუმჯობესეთ, რითაც გუნდის მწვრთნელიც და სასწავლებლის ხელმძღვანელობაც კმაყოფილი დარჩა.

**- როგორც ყოველთვის, უნივერსიტეტის ბოლოკურსელებს გაცილების მატჩებს უწყობენ.**

- ასეთი პატივი მეც მერგო. რეგულარული ეტაპის ბოლო მატჩში გაცილება მომიწყვეს და საჩუქრები გადმომცეს.

*ბოლოს გასულ სეზონში ლაშას მონაგარს გაგაცნობთ: 23 მატჩი (18 სასტარტოში), 239 ქულა (საშუალოდ 10.4), 67 მოხსნა (2.9), 38 პასი, 16 ჩაჭრა.*

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერები

# Un grande Markoishvili

## ...და სანიკიძის ორმაგი დუბლი

**კანტუ-ვირტუსი 72:65**

მანუჩარ მარკოიშვილი: 34 წუთი, 18 ქულა (7-დან 5 ორქულიანი, 6-დან 2 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 2 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება

ვიქტორ სანიკიძე: 33 წუთი, 13 ქულა (3-დან 2 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 12 მოხსნა, 3 დაფარება

**სერია მოიგო კანტუმ 3:2**

**მანუჩარ მარკოიშვილმა** „კანტუ" იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალში შეიყვანა. ეს ფრაზა გადამეტებული რომ არ არის, ამას ციფრებიც ადასტურებს: „ვირტუსთან" მატჩში მან 18 ქულა ჩააგდო, მატჩის სნაიპერი გახდა და გამარჯვებულთა შორის მარგი ქმედების ყველაზე მაღალ მაჩვენებელსაც (22) გამოჰკრა ხელი. და იცით, ვინ იყო საუკეთესო ამ კოეფიციენტის მიხედვით? - „ვირტუსის" ფორვარდი **ვიქტორ სანიკიძე**, რომლის მქკ-მ 25-ს უწია. 2009/10 წლების სეზონი მან ორმაგი დუბლით დაასრულა - 13 ქულა, 12 მოხსნა.

მწვრთნელებმა ფრონტის ორ მხარეს მებრძოლი ქართველები კვლავ სასტარტო შემადგენლობებში დააყენეს. საწყისი 8 წუთი სწორედ ჩვენიანთა დუელად იქცა: მარკოიშვილს 9 ქულა ჰქონდა, სანიკიძეს - 5, „კანტუ" კი „ვირტუსს" 18:10-ს უგებდა. თავადაც გამოთვლიდით, რომ მე-8 წუთისთვის ქულათა ნახევარი ჩვენებურების ანგარიშზე იყო...

მეორე პერიოდში მწვრთნელებმა ისინი ცოტა დაასვენეს. მესამეში სანიკიძემ და მარკოიშვილმა 4-4 ქულა მიითვალეს, რასაც ვიქტორმა 4 მოხსნა მიამატა. ამ პერიოდის საბოლოო ანგარიში სანიკიძემ დააფიქსირა - 49:52.



მანუჩარ მარკოიშვილი

გადამწყვეტი მეოთხედი ესტონელმა **კანგურმა** ორქულიანით გახსნა და „ვირტუსმა" სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა - 51:52. თუმცა იქვე იფეთქა მარკოიშვილმა, რომელმაც **ლეუნენის** ორ საჯარიმოს 3-ქულიანი მიაყოლა და „კანტუს" უპირატესობა 6-მდე გაზარდა. შემდეგ იყო **კოლინზის** 2 ქულა და 2-წუთიანი უქმობა - გუნდებმა 34-დან 36-ე წუთამდე ქულაც ვერ მოიპოვეს...

„ვირტუსის" გამოფხიზლება სანიკიძემ იკისრა და სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა, ხოლო **დევიდ მოსმა** „ვირტუსი" სულაც პირველად დააწინაურა - 58:57. დარჩენილ დროში ქართველებმა მონაგარი მხოლოდ მოხსნებით შეივსეს, თუმცა მწვრთნელებმა ისინი ბოლო რაუნდში შეუცვლელად ათამაშეს. გადამწყვეტ მომენტში მარკოიშვილისგან ესტაფეტა **გრინმა** და **მარაცინომ** გადაიბარეს და „კანტუს" ისტორიული გამარჯვება მოუტანეს - 72:65.

გაზეთ „სპორტმედიასეტში" მატჩის მიმოხილვის სათაური ჩვენთვის ფრიად საინტერესო და საამაყოა - Un grande Markoishvili (სიტყვა-სიტყვით - „დიდი მარკოიშვილი").

შემდეგ ვკითხულობთ: *„ქართველმა კალათბურთელმა გუნდი 2003 წლის შემდეგ პირველად გაიყვანა სერია A-ს ნახევარფინალში, სადაც „კანტუ" „მონტეპასკის" დაუპირისპირდება. პირველი მატჩი 1 ივნისს გაიმართება".*

www.legabasket.it-ზე შეგიძლიათ ამ მატჩის საინტერესო ფრაგმენტების ხილვაც. ნახავთ სანიკიძის ეფექტურ დაფარებას, ჩატენვას, 3-ქულიანს... ვიდეოკოლაჟს მორბენალი სტრიქონით დაჰყვება მარკოიშვილის 3-ქულიანები და დრიბლინგები...

ვაჟა სიმონიშვილი

წყალბურთი

# მეოთხე...

დნეპროძერჟინსკში დამთავრდა 1992-1994 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა უკრაინის ღია პირველობის მე-2 ტურის 9 გუნდის მონაწილეობით. საქართველოს ნაკრებმა **რევაზ ჩომახიძის** ხელმძღვანელობით, როგორც გაუწყეთ, მეორე წრის სამ ტურში ერთი შეხვედრა ფრედ დაამთავრა და ორი მოიგო. დანარჩენ ორ ორთაბრძოლაში ლვოვის გუნდს 11:9 სძლია, გათამაშების ლიდერ კიშინიოვის „დელფინთან" კი 7:12 დამარცხდა.

რვა ტურის შემდეგ გათამაშებას 22 ქულით კიშინიოვის „დელფინი" ლიდერობს. მას ქულით ჩამორჩება ხარკოვის ოლქის გუნდით. 14 ქულით მესამე ადგილზე ოდესელები არიან, საქართველოს ნაკრებს 13 ქულით მეოთხე საფეხური უკავია.

ვაჟა დანელია

უნივერსიადა 2010

ტაბლო

**თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სპორტული პაექრობები. ახალგაზრდებმა ასპარეზობა უკვე დაამთავრეს სპორტის რამდენიმე სახეობაში. გაცნობებთ მათს შედეგებს:**

**მკლავჭიდი**

ამ სახეობაში ათლეტები ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას ორივე ხელით:

**მარჯვენა ხელით**

**65 კგ.** 1. თორნიკე სიმონია (თსუ), 2. გიორგი როსტომაშვილი (აგრარული უნივერსიტეტი), 3. პაატა რეხვიაშვილი (სოხუმის უნივერსიტეტი);

**70 კგ.** 1. ალექსი ხოდელი (აგრარული), 2. გიორგი ჯულელი (თსუ), 3. გიგა შერაზადიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი);

**75 კგ.** 1. კობა მამამთავრიშვილი (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი), 2. იაროსლავ ფალიანი (აგრარული), 3. ვანო ხარებაშვილი (თსუ).

**80 კგ.** 1. ნიკა ახალბედაშვილი (თსუ), 2. ილია ალბუთაშვილი (საქართველოს უნივერსიტეტი), 3. გიგა ზურაბიანი (აგრარული);

**85 კგ.** 1. გიორგი დემეტრაშვილი (აგრარული), 2. ზაზა თაბაგარი (ილიას უნივერსიტეტი), 3. ნოდარ ბაჭაძე (თსუ);

**+100 კგ:** 1. ვასილ დაუთაშვილი (სტუ), 2. ვალერი გობეჯიშვილი (საავიაციო ინსტიტუტი), 3. ალავერდ მათიაშვილი (აგრარული).

**მარცხენა ხელით**

**65 კგ.** 1. გიორგი როსტომაშვილი (აგრარული), 2. ლევან წურწუმია (ილიას უნივერსიტეტი), 3. თორნიკე სიმონია (თსუ);

**70 კგ.** 1. გიორგი ჯულელი (თსუ), 2. ალექსი ხოდელი (აგრარული), 3. გიგა შერაზადიშვილი (ილიას უნივერსიტეტი);

**75 კგ:** 1. ზაზა თაბაგარი (ილიას უნივერსიტეტი), 2. გიორგი რატიანი (აგრარული), 3. გიორგი კაპანაძე (გორის უნივერსიტეტი);

**80 კგ.** 1. ილია ალბუთაშვილი (საქართველოს უნივერსიტეტი), 2. ნიკოლოზ საბაშვილი (ილიას უნივერსიტეტი), 3. ნიკა ახალბედაშვილი (თსუ);

**85 კგ.** 1. გიორგი დემეტრაშვილი (აგრარული), 2. ნოდარ ბაჭაძე (თსუ), 3. დავით კილაძე (გორი);

**+100 კგ.** 1. ვალერი გობეჯიშვილი (საავიაციო ინსტიტუტი), 2. ვასილ დაუთაშვილი (სტუ), 3. გიგა ტაბიძე (სამედიცინო).

**ხელბურთი**

ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საქართველოს ტექნიკური და აგრარული უნივერსიტეტების სტუდენტი ხელბურთელები. ასპარეზობა სტუ-ს უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით დამთავრდა.

1. სტუ, 2. აგრარული უნივერსიტეტი, 3. სამედიცინო უნივერსიტეტი.

**მძლეოსნობა**

სპორტის დედოფლის წარმომადგენლებს **ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა.

**ქალები. 100 მ.** 1. სოფიო მაჭავარიანი (ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტი), 2. ლიკა დვალიშვილი (სამედიცინო უნივერსიტეტი), 3. ნანა იზორია (სოხუმის სახელობის უნივერსიტეტი). **200 მ.** 1. სოფიო მაჭავარიანი, 2. სოფიო მანუკიანი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), 3. თეონა მამულაძე (აგრარული უნივერსიტეტი). **400 მ.** 1. სოფიო მანუკიანი, 2. ნათია გელაშვილი (სამედიცინო), 3. ნანუკა თავაძე (სოხუმის უნივერსიტეტი), **800 მ.** 1. თამარ ქველიძე (ილიას უნივერსიტეტი), 2. ნათია გელაშვილი, თეონა ბინაძე (სოხუმის უნივერსიტეტი).

**ვაჟები. 100 მ.** 1. გიორგი ანთელიძე (სამედიცინო), 2. ოთარ ხაჭაპურიძე (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი), 3. გიორგი ღლონტი (აგრარული), **200 მ.** 1. გიორგი ანთელიძე, 2. გიორგი ღლონტი, 3. მერაბ ჯღარკავა (ილიას უნივერსიტეტი), **400 მ.** 1. თემურ გუგუშვილი (თსუ), 2. ბესიკ ხუსკივაძე (ილიას უნივერსიტეტი), 3. თორნიკე კაპანაძე (სამედიცინო). **800 მ.** 1. მერაბ თინიძე (ილიას უნივერსიტეტი), 2. თემურ ბაიკეევი (ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთაშორისო უნივერსიტეტი), 3. გურამ როსებაშვილი (სტუ), **1500 მ.** 1.მერაბ თინიძე, 2. ალექსანდრე ქათამაძე (სოხუმის უნივერსიტეტი), 3. ზაქრო ფოლადაშვილი (სამედიცინო), **სიგრძეზე ხტომა.** 1. ოთარ ხაჭაპურიძე, 2. ნიკოლოზ შერვაშიძე (აგრარული), 3. ნუკრი ბაძალუა (ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტი), **ბირთვი.** გიორგი კარტოზია (თსუ), 2. ლაშა ხარაიშვილი (სამედიცინო), 3. ბესიკ მარგველანი (აგრარული).

ვაჟა დანელია


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.sport.gov.ge)

კალათბურთი

NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# გადარეული არტესტი



რთულია „ლეიკერსისა“ და „ფინიქსის“ სერიის მეხუთე მატჩის ერთი სიტყვით დახასიათება. მას შემდეგი ფორმულირებაც არ მიესადაგება - „მიმდინარე პლეი ოფის საუკეთესო მატჩი“, რადგან ეს ფრაზა არასაკმარისია იმ გრძნობების გამოსახატავად, რომელიც ამ შეხვედრის შემდეგ გულშემატკივრებს გაუჩნდათ. მოდი, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

მატჩი „ლეიკერსისთვის“ არც ისე კარგად დაიწყო. „სანზმა“ ისარგებლა **კობი ბრაიანტის** ორი პერსონალურითა და მისი სათადარიგოთა სკამზე დასმით და 17:10 დაწინაურდა. „ლეიკერსმა“ **დერეკ ფიშერის** აგრესიული მოქმედებით უპასუხა (ვეტერანმა მცველმა 22 ქულიდან 11 პირველ მეოთხედში ჩააგდო) - ბრაიანტის არყოფნაში ეს მცველი დისტანციიდანაც უტევდა და საჯარიმოების უფლებასაც იღებდა. ჩემპიონების კონტრდარტყმა (31:8) პირველი მეოთხედის ბოლოს დაიწყო და მეორე მეოთხედში გაგრძელდა, როცა მოედანზე ბრაიანტი გამოვიდა. ეს გაქცევა კობის მიერ 64 წამის ინტერვალში ჩაგდებული სამი ურთულესი სამქულიანით დასრულდა - 41:25.

„ლეიკერსი“ დიდ შესვენებამდე ინარჩუნებდა რვიდან 18 ქულამდე (მაქსიმალური სხვაობა მესამე მეოთხედში დაფიქსირდა) უპირატესობას, მაგრამ „ფინიქსი“ დანებებას არ აპირებდა. 56:74-ზე **ელვინ ჯენტრის** შეგირდებმა მოულოდნელად მოუმატეს და ბოლო მეოთხედის წინ **ნეშის**, **ფრაისა** და **დადლის** ზუსტი ტყორცნებით ჰანდიკაპი 6 ქულამდე შეამცირეს. „სანზმა“ ინერციით მეოთხე მეოთხედის სტარტიც უმაღლეს დონეზე ჩაატარა. საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე სტუმრები მხოლოდ ერთ ქულას აგებდნენ (94:95) - ფარქვეშიდან **სტაუდმაიერმა** გამოიჩინა თავი.

„ლეიკერსმა“ ისევ შეძლო გაქცევა, მაგრამ ნეში ორჯერ დარჩა **გასოლთან** ერთი ერთზე და ორივეჯერ აჯობა მას. 101:98-ზე დაიწყო **რონ არტესტის** შოუ. ჩვენ ვიხილეთ, თუ როგორ შეიძლება 55 წამში ერთმა კაცმა ანტიგმირობიდან გმირობამდე მიაღწიოს. ბოლო წუთზე სკანდალურად ცნობილმა ფორვარდმა ზედიზედ ორი ტყორცნა ააცილა, თანაც მეორე მაშინ ისროლა, როცა ბურთის ფლობა და დროის გაყვანა იყო საჭირო - გუნდი სამ ქულას იგებდა და რონს, უბრალოდ, ბოლომდე უნდა ეტარებინა ბურთი, შემდეგ კი თავისუფალი ბრაიანტი მოენახა.

„ფინიქსმა“ ეს შანსი ვერ გამოიყენა - ფრაიმ ბურთი ააცილა. საპასუხო შეტევაში მასპინძლებმა ისევ ვერ ივარგეს, მოხსნა „სანზს“ დარჩა. საფინალო სირენამდე 17 წამი რჩებოდა. საკუთარ თავში დარწმუნებულმა ნეშმა სამქულიანი ისროლა და ააცილა. მოხსნა თავად კანადელმა მიითვალა და **რიჩარდსონს** მიაწოდა ბურთი. ისევ არაზუსტი სროლა. მხოლოდ მესამე ცდაზე შეძლო ჯეი რიჩმა ანგარიშის გათანაბრება. - 101:101. ოვერტაიმი? ამას არტესტი შეეწინააღმდეგა. „ლეიკერსს“ ბოლო შეტევისთვის 3,5 წამი რჩებოდა. რონმა ფარიდან მარცხნივ დაიკავა ადგილი, მარჯვნივ სამქულიანის ხაზთან ბრაიანტი დადგა. კობის ნეში და **ჰილი** მეურვეობდნენ. ბრაიანტის ნასროლმა კალათამდე ვერ მიაღწია, მაგრამ რიჩარდსონმა ზურგი არ დაუყენა არტესტს, რომელმაც ბურთი ხელთ იგდო და სირენასთან ერთად ჩააგდო. კალიფორნიელებმა სერიაში 3:2 წაიყვანეს ანგარიში.

| ლეიკერსი-ფინიქსი | 103:101 |
|---|---|

**24:21, 29:24, 25:27, 25:29**

**ლ:** ბრაიანტი (30+11 მოხსნა+9 პასი+4 დაფარება), ფიშერი (22+4 პასი), გასოლი (21+9 მოხსნა+5 პასი), ოდომი (17+13 მოხსნა+4 პასი), ვუიაჩიჩი (5), არტესტი (4+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბინუმი (2+7 მოხსნა+4 დაფარება), ბრაუნი (2), ფარმარი (0+4 პასი+2 ჩაჭრა), უოლტონი.

**ფ:** ნეში (29+11 პასი), სტაუდმაიერი (19+4 მოხსნა+3 დაფარება), ფრაი (14+10 მოხსნა), რიჩარდსონი (12+5 მოხსნა), ჰილი (10+5 მოხსნა+3 დაფარება), დადლი (10+4 მოხსნა), დრაგიჩი (3), ამუნდსონი (2), ბარბოზა (2), ლოპესი, კოლინზი.

**სერია: 3:2**

მძლეოსნობა

# ბოლტს ხელი მოეცარა

ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, სადაც თანამედროვე მძლეოსნობის უპირველესმა ვარსკვლავებმა მოიყარეს თავი.

რა თქმა უნდა, საყოველთაო ყურადღება ლეგენდარული იამაიკელის - **უსაინ ბოლტისკენ** იყო მიპყრობილი, რომელმაც ოსტავას არენაზე ცხოვრებაში პირველად დაიჭირა ხელში ჰოკეის ჯოხი - ეს საჩუქარი მას ჩეხური ჰოკეის ლეგენდამ **იარომირ იაგრმა** გადასცა.

წინასწარ იყო ცნობილი, რომ ბოლტი ოსტრავაში არატრადიციულ დისტანციას - 300 მეტრს გაირბენდა. კუნძულელს ამ დისციპლინაში ლეგენდარული ამერიკელის **მაიკლ ჯონსონის** მსოფლიოს რეკორდის (30,85 წამი, 2000 წელი) დამხობა ჰქონდა განზრახული, მაგრამ წვიმამ შეუშალა ხელი. პლანეტის უსწრაფესმა ადამიანმა კონკურენტებს დიდი უპირატესობით მოუგო, მაგრამ ჯონსონის რეკორდამდე 12 მეასედი წამი დააკლდა.

მოკლე სპრინტში უსაინის ერთ-ერთმა მთავარმა კონკურენტმა **ასაფა პაუელმა** 100 მეტრზე იასპარეზა და სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა - 9,83, რითაც ბოლტის შედეგი (9,86) გააუმჯობესა, რომელიც მსოფლიოს რეკორდსმენმა ამ თვეში სამხრეთკორეულ ტეგუში აჩვენა.

პაუელის გარდა, ოსტრავაში სეზონის საუკეთესო შედეგები დააფიქსირეს - კენიელმა **იუსუფ ბივოტმა** (3000 მ), შუბის მტყორცნელმა ჩეხმა **პიოტრ ფრიდრიხმა**, ეთიოპიელმა **მესელეშ მალკამუმ** (10000 მ) და უროს მტყორცნელმა **ანიტ ვლორადრჩიკმა**.

ფორმულა 1

# ბატონი შეყვარებულს დაშორდა

## თურქეთის გრან-პრი ბოლოჯერ იმართება?



მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ჯენსონ ბატონი** თავის მეგობარ გოგონას - იაპონელ მოდელ **ჯესიკა მიჩიბატას** დაშორდა. წყვილის ურთიერთობა ნელინად-ნახევარი გაგრძელდა. როგორც ამბობენ, 25 წლის მოდელმა და 30 წლის ავტომრბოლმა კავშირი იმის გამო გაწყვიტეს, რომ ისინი ერთმანეთისგან მოშორებით ცხოვრობენ - მიჩიბატა ტოკიოელია, ბატონს კი მონაკოში აქვს სახლი.

*„დაახლოებით ერთი კვირის წინ ჯენსონმა გადაწყვიტა, რომ რბოლები მის ცხოვრებაში პრიორიტეტი უნდა გახდეს“*, - წელს გაზეთი „სანი“ ბატონთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით.

ეს ინფორმაცია „მაკლარენის“ პილოტის წარმომადგენელმაც დაადასტურა: *„ჯენსონი ისევ თავისუფალია. ის და ჯესიკა ერთმანეთს დაცილდნენ“*.

არადა, ოქტომბერში ყვითელი პრესა წერდა, რომ ბრიტანელი ჯესიკაზე დაქორწინებას აპირებდა. *„ჩვენ არც ისე დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ საოცარია, ამ დროის განმავლობაში რამდენი გამარჯვება და მარცხი გადავიტანეთ ერთად. ჩემთვის ქორწინებაზე აზრი - ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს“*, - ამბობდა მაშინ ბატონი.

■ ■ ■

კვირას, შესაძლოა, უკანასკნელად გაიმართოს ფორმულა 1-ის თურქული ეტაპი. სამეფო სერიის ბოსები არ აპირებენ სტამბოლის ავტოდრომთან კონტრაქტის გაგრძელებას.

ტრასის ყველა ღირსების მიუხედავად, გუნდები და ჩემპიონატის ორგანიზატორები უკმაყოფილონი არიან თურქეთის გრან-პრით. ავტოდრომი ქალაქიდან მოშორებით მდებარეობს, გარდა ამისა. ფორმულა 1-მა თურქეთში პოპულარობა ვერ მოიპოვა და წლიდან წლამდე ტრიბუნებზე სულ უფრო ცოტა ხალხი იკრიბება. ნაწილობრივ ეს ბილეთებზე მაღალი ფასით აიხსნება. ყველაფერთან ერთად, ტრასა სტამბოლის აზიურ გარეუბანში - ტუზლაშია გაშენებული, სასტუმროების უმეტესი ნაწილი კი ქალაქის ევროპულ ნაწილში მდებარეობს და გუნდებს დიდი დროის ხარჯვა უწევთ სტამბოლის საცობებში.

თურქეთის გრან-პრი 2005 წლიდან იმართება და ამ სეზონში ორგანიზატორებს წელს უმთავრდებათ კონტრაქტი ფორმულა 1-თან.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ირლანდია-ალჟირი | 3:0 |
| **Under 21** | |
| ნორვეგია-უნგრეთი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იონჩოპინგი-ოსტერი | 4:3 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ესპოო-ოპს | 1:2 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-ლუშტენაუ | 1:2 |
| დორნბირნი-სტ. პოლტენი | 0:0 |
| გრატკორნი-ალტახი | 1:2 |
| ჰარტებრგი-ადმირა | 0:4 |
| ზალცბურგი A-ტიროლი | 0:2 |
| ვენა-ავსტრია A | 2:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| კანტუ-ვირტუსი | 72:65 |
| **საფრანგეთი** | |
| ლე მანი-როანი | 75:68 |

TV პროგრამა

**29 მაისი. შაბათი**

**მზე**

**13:00** იმედის ფსონი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**16:05** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. გერმანია-ისრაელი (LIVE).
**17:25** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. იტალია-რუმინეთი (LIVE).
**18:40** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. პოლონეთი-რუსეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**10:45** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**13:00** ჩოგბურთი. როლან გაროსი. VII დღე (LIVE).
**17:30** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XX ეტაპი. იტალია (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. როლან გაროსი. VII დღე (LIVE).

**30 მაისი. კვირა**

**რუსთავი 2**

**12:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**მზე**

**13:00** იმედის ფსონი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**15:50** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. გერმანია-საბერძნეთი (LIVE).
**17:19** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. პოლონეთი-რუმინეთი (LIVE).
**18:25** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. იტალია-რუსეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**13:00** ჩოგბურთი. როლან გაროსი. VIII დღე (LIVE).
**17:30** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XXI ეტაპი. იტალია (LIVE).
**20:00** ჩოგბურთი. როლან გაროსი. VIII დღე (LIVE).

ამბები

**ველოსპორტი**

**ჯირო დიტალია. XVIII ეტაპი**

**ლევიცო ბერმე-ბრეშია. 156 კმ.**

1. **ანდრე გრაიპელი** (გერ, HTC-Columbia) - 3.14,59; 2. **ჯულიან დინი** (ახ. ზელ, Garmin) - იგივე დრო; 3. **ტიციანო დალ'ანტონია** (იტა, Luqiugas) - იგივე დრო; 4. **გრეგ ჰენდერსონი** (ახ. ზელ, Team Sky) - იგივე დრო; 5. **დანილო ჰონდო** (გერ, Lampre) - იგივე დრო... 6. **გრემ ბრაუნი** (ავსტრა, Rabobank) - იგივე დრო...

**XIX ეტაპი**

**ბრეშია-აპრიკა. 195**

1. **მიკელე სკარპონი** (იტა, Androni) - 5.27,04; 2. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - იგივე დრო; 3. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, Liquigas) - იგივე დრო; 4. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Team Astana) - +3,05; 5. **ჯონ გადრე** (საფ, Ag2r La Mondiale) - იგივე დრო; 6. **კედელ ევანსი** (ასტრა, Team BMC) - +3,06; 7. **დავიდ აროიო** (ესპ, Caisse d'Epargne) - იგივე დრო; 8. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - 81.55,56; 2. **დავიდ აროიო** (ესპ, Caisse d'Epargne) - +0,51; 3. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, Liquigas) - +2,30; 4. **მიკელე სკარპონი** (იტა, Androni) - +2,49; 5. **კედელ ევანსი** (ავსტრა, BMC Racing Team) - +4,00; 6. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - +5,32; 7. **რიჩი პორტი** (ავსტრა, Saxo-Bank) - +6,00; 8. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Team Astana) - +6,22...

**ცურვა**

### რეკორდსმენს დისკვალიფიკაცია ელის

ბატერფლაით ცურვაში 50 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენსა და მსოფლიოს ჩემპიონატის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორს, ესპანელ **რაფაელ მუნიოსს** ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასჯიან.

საქმე ისაა, რომ ესპანელი რამდენიმე თვით გაემგზავრა სახლიდან და ამის გამო ალარ შეავსო ფორმულარი თავისი ადგილსამყოფელის შესახებ, არადა, ამას ანტისადოპინგო წესები ითხოვს. ესპანეთის ცურვის ფედერაციამ დიდი გაჭირვებით მიაგნო თავის ვარსკვლავს და მუნიოსმა ვარჯიშები განაახლა. მაგრამ, როგორც ჩანს, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) წესების სამჯერ უგულვებელყოფა სპორტსმენს ძვირად დაუჯდება. ახლა ის პირადად წარსდგება WADA-ის წინაშე და ახსნა-განმარტებას მისცემს.

როგორც ესპანეთის ცურვის ფედერაციაში მიიჩნევენ, მუნიოსს პირადი ხასიათის პრობლემები აქვს. ერთი წლის განმავლობაში ის მარსელში ცხოვრობდა და ვარჯიშობდა და როგორც ცნობილი გახდა, მეგობრებთან ხშირად უჩიოდა მარტოობას.

**კრივი**

### IBF უქმდება?

კრივის საერთაშორისო ფედერაციის (IBF) ხელმძღვანელობაში არსებულმა კონფლიქტმა, შესაძლოა, ამ პრესტიჟული ორგანიზაციის დახურვა გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში გაუქმდება საჩემპიონო ტიტული, რომელსაც უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** ფლობს, **რუს ალექსანდრ პოვეტკინთან** დანიშნული ბრძოლა კი აღარ გაიმართება.

კონფლიქტის მიზეზი გახდა ფედერაციის პრეზიდენტის **მერიან მუჰამედის** გადაყენება - ეს გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციის მმართველმა საბჭომ მიიღო. როგორც ეს ქალბატონი ამბობს, მის გარეშე IBF ორ თვესაც ვერ იარსებებს. პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები კი დარწმუნებულნი არიან, რომ მერიან მუჰამედმა ფედერაცია გაკოტრებამდე მიიყვანა და ამ ორგანიზაციამ მისგან თავი შორს უნდა დაიჭიროს.

IBF 1983 წელს შეიქმნა სხვა ცნობილი საკრივო ორგანიზაციის - WBA-ის გახლეჩის შემდეგ.

**ჩოგბურთი**

### გროსჟანმა კარიერა დაასრულა

მსოფლიოს ყოფილმა მეოთხე ჩოგანმა **სებასტიან გროსჟანმა** კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ამ გადაწყვეტილების ოფიციალური მიზეზი გახდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები - 2008 წლის დეკემბერში მხარზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ, გროსჟანმა მხოლოდ რვა ტურნირში მიიღო მონაწილეობა.

ფრანგ ჩოგბურთელს პროფესიულ ტურში დებიუტი 1997 წელს ჰქონდა. იქედან მოყოლებული, სებასტიანმა 341 მატჩი მოიგო და 247-ში მარცხი იწვნია. გროსჟანმა 13-ჯერ ითამაშა ATP-ის ტურნირების ფინალში და ოთხი ტიტული მოიპოვა.

2001 წელს გროსჟანმა საფრანგეთის ნაკრებთან ერთად დევისის თასი მოიპოვა. დღეს ჩოგბურთელს 32 წელი შეუსრულდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# დღეს ჟუსტინი მარიას შეხვდება

როლან გაროსის მეხუთე დღეს წვიმამ დაინდო მონაწილეები. გუშინ მეორე წრის დასრულება და მესამე წრის სანახევროდ ჩატარება მოხერხდა. შესაბამისად, ყველა ფავორიტი ვიხილეთ საქმეში. წინასწარვე უნდა ითქვას, რომ მათ უპრობლემოდ მოიგეს თავიანთი მატჩები.

ელირსა მეორე წრის მატჩის ჩატარება მთავარ ფავორიტ **რაფაელ ნადალს**. მისი მეტოქე არგენტინელი **ორასიო სებალიოსი** გახლდათ. როგორც მოსალოდნელი იყო, „თიხნარის მეფემ“ სამ სეტში მოიგო შეხვედრა. რაფამ ჯამში ექვსი ბრეიკი გააკეთა, თავად კი ერთხელ წააგო საკუთარი მოწოდება და საათსა და 45 წუთში გატეხა სამხრეთამერიკელის წინააღმდეგობა.

რაფას კარგად გამოსდიოდა პირველი მოწოდება - ქულების 80 პროცენტი აილო და თან ძალიან ცოტა - 12 უნებლიე შეცდომა დაუშვა. ნადალს ძალიან საინტერესო შეხვედრა ელის მესამე წრეში - მისი მეტოქე ცნობილი ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი** იქნება.




კიდევ უფრო დამაჯერებელი იყო მსოფლიოს პირველი ჩოგანის **როჯერ ფედერერის** გამარჯვება, რომელიც უცნობ გერმანელ **ჯულიან რაისტერს** ეთამაშებოდა. შვეიცარიელმა პირველ სეტში ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და ბოლოს გატეხა გამოუცდელი მეტოქის წინააღმდეგობა - 6:4. ამის შემდეგ როჯერმა თამაში დაალაგა და უნდა ითქვას, რომ არც პირველ პარტიაში და არც მერე რაისტერს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია.

ორი საკუთარი გეიმი წააგო **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** იაპონელ **კეი ნიშიკორთან**, თუმცა სერბმაც სამ სეტში შეძლო მატჩის მოგება. „ჯოკერმა“ ფავორიტებს შორის ყველაზე არადამაჯერებელი თამაში აჩვენა - ნოვაკის ანგარიშზე 24 უნებლიე და ცხრა ორმაგი შეცდომა მოდის.

ATP-ის ტოპოთხეულის წევრთაგან ყველაზე რთული მეტოქე ბრიტანელ **ენდი მიურეის** ჰყავდა - კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი**. ენდი თანდათან შედის ფორმაში და მისთვის ყველაზე უხერხულ საფარზე - თიხნარზე საკმაოდ კარგ ჩოგბურთს აჩვენებს. პირველ წრეში **რიშარ გასკესთან** პრაქტიკულად წაგებული მატჩის გადარჩენის შემდეგ, ბრიტანელმა ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო ოთხ სეტში - არგენტინელი **ხუან იგნასიო ჩელას** შემდეგ, მიურეიმ ბაღდატისიც დაამარცხა. თუ მესამე სეტს არ ჩავთვლით, რომელიც კვიპროსელმა 6:0 მოიგო, მიურეის ამ მატჩში პრობლემა არ ჰქონია. თანაც ენდი რევანშზეც ფიქრობდა - აქამდე ის სამჯერ შეხვდა მარკოსს და სამივე წააგო.

მიურეის რეალურ ძალას მეოთხე წრეში შევაფასებთ, სადაც ის ჩეხ **ტომაშ ბერდიხს** შეხვდება. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, კარგ ფორმაშია, რადგან გუშინ მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო ამერიკელ გიგანტ **ჯონ ისნერს**.

თუ მამაკაცების გუშინდელ შედეგებს გადავავლებთ თვალს, იქ ერთადერთ სენსაციურ შედეგს მაინც აღმოვაჩენთ. როლან გაროსის დებიუტანტმა უკრაინელმა **ალექსანდრ დოლგოპოლოვმა** შარშანდელი ნახევარფინალისტი - ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** გამოთიშა ბრძოლას, თანაც ეს ძალიან დამაჯერებლად, სამ სეტში გააკეთა - 6:3, 6:4, 6:3.

ფერნანდოს ამ მარცხს ერთადერთი ახსნა მოეძებნება - გონსალესს ამ სეზონში ტრავმები აქვს და ამის გამო მან თითქმის სრულად გამოტოვა სათიხნარო სეზონი.



■ ■ ■

განსაკუთრებული მოულოდნელობა არც ქალებს შორის დაფიქსირებულა. ნამდვილი საჩემპიონო თამაში აჩვენა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **სერენა უილიამსმა**. ამერიკელმა ორი გეიმი დაუთმო გერმანელ **ჯულია გორჯესს**, თანაც 55 წუთის განმავლობაში მხოლოდ 4 (!) უნებლიე შეცდომა დაუშვა.

დღეს ერთი სუპერმატჩი გველის მესამე წრეში. **ჟუსტინ ანენი მარია შარაპოვას** წინააღმდეგ. მომავალ მეტოქეებს წვიმის გამო ორ დღეედ გაეწელათ მეორე წრის მატჩები და ორივემ ერთნაირი ანგარიშით დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები - ჩეხი **ზაკოპალოვა** და ბელგიელი **ფლიპკენსი**.

ანენი და შარაპოვა აქამდე ცხრაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და უპირატესობა ბელგიელის მხარესაა - 6:3, თუმცა მათი ბოლო შეხვედრა 2008 წელს, ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში მარიამ 6:4, 6:0 მოიგო.

**P.S.** გვიან ღამით ქალებში ერთი სენსაცია მაინც მოხდა. ტურნირს გამოეთიშა მოქმედი ჩემპიონი **სვეტლანა კუზნეცოვა**, რომელსაც თანამემამულე **მარია კირილენკომ** სამ სეტში მოუგო. ამ მატჩმა დაადასტურა, რომ კუზნეცოვა ცუდ ფორმაში შეხვდა როლან გაროსს. შეგახსენებთ, რომ წინა წრეში რუსმა ოთხი მატჩბოლი მოიგერია გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩთან** მატჩში, ამჯერად კი კირილენკოს ვერაფერი მოუხერხა.

### კაცები

#### II წრე

**იურგენ მელცერი (ავსტრია, 22)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:1, 3:6, 7:6(7), 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 9)**-ქსავიერ მალისე (ბელ) 6:2, 6:2, 2:0 მალისეს უარი; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 16)**-პერე რიბა (ესპ) 7:6(5), 6:7(13), 6:2, 6:2; **რობი ჯინეპრი (აშშ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 3:6, 6:4, 6:3, 6:3; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ, 31)**-იური შჩუკინი (ყაზ) 6:3, 6:4, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:1, 6:4, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 7)**-ფლორან სერა (საფ) 6:2, 6:2, 0:6, 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 30)**-ანდრეას სეპი (იტა) 7:6(5), 6:3, 7:5; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 19)**-სტივ დარცისი (ბელ) 6:3, 6:0, 7:5; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 12) 6:3, 6:4, 6:3; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 14)**-მარდი ფიში (გერ) 6:2, 6:7(8), 4:6, 6:2, 10:8; **ტომაშ ბელუჩი (ბრა, 24)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 1:6, 6:3, 2:6, 6:4, 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა 28)**-დენის ისტომინი (უზბ) 1:6, 6:3, 6:4, 2:6, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ორასიო სებალიოსი (არგ)6:2, 6:2, 6:3.

#### III წრე

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ჯულიან რაისტერი (გერ) 6:4, 6:0, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 20)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:3, 6:4, 6:1; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 10)**-ლეონარდო მაიერი (არგ) 6:4, 3:6, 7:5, 6:7, 6:4; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ, 29) 6:4, 7:5, 2:6, 6:3; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 25) 6:2, 6:3, 0:6, 6:2; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 15)**-ჯონ ისნერი (აშშ, 17) 6:2, 6:2, 6:1; მიხაილ იუჟნი (რუს, 11)-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 2:6, 7:6(4), 6:2, 3:1 შეწყდა; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 8)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 6:7, 7:6, 6:3, 6:4.

### ქალები

#### II წრე

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ჯულია გორჯესი (გერ) 6:1, 6:1; **ანასტასია პალიუჩენკოვა (რუს, 29)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 13)**-ოლივია სანჩესი (საფ) 7:5, 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 12)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) 6:3, 6:3; **ჟუსტინ ანენი (ბელ, 22)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:3, 6:3; **ანასტასია პივოვაროვა (რუს)**-ჟიე ჟენგი (ჩინ, 25) 6:4, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 7)**-როხანა დე ლოს რიოსი (პარ) 4:6, 6:1, 6:0; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 23)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 7:5, 6:3; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 16)**-სიბილ ბამერი (ავსტრია) 7:6(4), 1:6, 7:5.

#### III წრე

**მარია კირილენკო (რუს, 30)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 6) 6:3, 2:6, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 17)**-ნა ლი (ჩინ, 11) 6:4, 6:2; **ფლავია პენეტა (იტა, 14)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:3, 6:0; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 3)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ, 31) 6:3, 6:4; **ელენა დემენტიევა (რუს, 5)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 6:7(2), 6:3, 6:4; **შანელ სხეპერსი (ს. აფრ)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:3, 6:3; ნადია პეტროვა (რუს, 19)-არავან რეზაი (საფ, 15) 6:7(2), 6:4, 7:7 შეწყდა; **ვ. უილიამსი (აშშ, 2)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 26) 6:3, 6:4.

გია თვალაბეიშვილი




